# საარბიტრო

სპორტული გაზეთი — შაბათი 21 ოქტომბერი 2000 №204 (1226) — ფასი 50 თეთრი


2

## თქვენ არასტაბილური ხართ!



ექსდინამოელმა ლეონენკომ დინამოელი დემეტრაძე გააკრიტიკა

3

## ქალაქში ანგელოზები დადიან

საკალათბურთო კაუნასის არასაფეხბურთო ვნებანი

8

## ლეგეში ცხოვრებაშიც მცველია



ჩელსელს ქურდიც ვერ გაექცა

12

საქართველოს ჩემპიონატი

## ბათუმში დაწყებული თბილისში ოფიციალურად დაიწყება

დღეს და ხვალ საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი და მეორე ტურების რვა მატჩია

# ჯოჯოხეთი არსებობს!



## დღეს ფიგუ „კამპ ნოუზე“ ბრუნდება!

ფიგუსი ნამდვილად არ მშურს. არაფრით ვისურვებდი მის ადგილზე ყოფნას — ამბობს ბერნდ შუსტერი.

ვერ ვიტყვი, როგორ გაუძლებს ფიგუ ამას, მაგრამ დახვედრას რომ ამაზრზენს მოუწყობენ, ამის გარანტიას ვიძლევი — ადასტურებს მიქაელ ლაუდრუპი.

ეს ორივე თავის დროზე „ბარსელონადან“ „რეალში“ გადავიდა. ამათ იციან...

დღეს ფიგუ „კამპ ნოუზე“ ბრუნდება!



საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი წრე

## 9 ტური

21 ოქტომბერი, შაბათი

ტორპედო — გორდა
დინამო — მერანი
ბათუმი — დილა
თსუ — ვიტ ჯორჯია
სიონი — იბერია

22 ოქტომბერი, კვირა

ლოკომოტივი — კოლხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 8 | 0 | 0 | 15:2 | 24 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 19:5 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 17 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:12 | 13 |
| მერანი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| გორდა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:12 | 11 |
| თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| კოლხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| დილა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | 7 |
| ბათუმი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | 6 |
| იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 1:14 | 1 |

## მინუს ხიზანიშვილი, პლუს ფოცხვერია

თუ დღეს ეროვნული სტადიონის სიახლოვეს მოხვდით, გირჩევთ, გვერდს ნუ აუვლით — ორი უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი მუხინი, ნიკოლაი ბოდლესნი და უკრაინაში გაზრდილი მიხეილ ფოცხვერია... დიდი შანსია, დღეს სამივემ „მერანის“ მაისურით მოსილმა სცადოს თბილისის „დინამოს“ ბექებზე გაკვრა. საქართველოს ნაკრების კანდიდატი მიხეილ ფოცხვერია უკრაინიდან თბილისს ან გვიან ღამით, ანაც დღეს უნდა ჩამოფრენილიყო. თუმცა „მერანის“ განაცხადში ის უკვე არის და აგჭალელებს სრული უფლება აქვთ, დღესვე ათამაშონ.

თუ ასე მოხდა, როსტოვში, ლუგანსკში, ზაპოროჟიეში, ბრემენში, დონეცკში, ვლადიკავკაზსა და დნეპროპეტროვსკში ნათამაშევ ქართველს საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ექნება. „დინამო“ — „მერანის“ გარდა ტურს ხვალინდელი „ლოკომოტივი“ — „კოლხეთიც“ გაამძაფრებს. გუშინ ბრიტანეთის ვიზამიღებული და ლონდონის „არსენალში“ ორშაბათს ჩასასვლელად აბარგებული ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე რკინიგზელები სოსო ფილიას ხელში მადაზე მოსულ ფოთელებს დაუხვდებიან.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ასლან ბალაძის პირველი ნაბიჯი: ბათუმს მაჭუტაძე და ტულუში დაუბრუნდნენ

— ძველი დრო გავიხსენე. სასტუმრო „ინტურისტში" შეკრებაზე ვარ — პირველი ეს იყო, რაც ბათუმის ახალმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ გუშინ გვითხრა, როცა ბათუმში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ.

ალბათ, მოგეხსენებათ, „ბათუმი" იტალიელი ჯანი კარნევალის სამშობლოში წასვლის შემდეგ, დაახლოებით ორ კვირას უმწვრთნელოდ იყო და კარნევალის მაგივრობასაც რამდენიმე დღით მისივე ყოფილი თანაშემწე ამირან გოგიტიძე ასრულებდა.

თითქმის გადაწყვეტილიც კი გახლდათ, რომ იტალიელის მემკვიდრე, „ბათუმის" უწინდელი მწვრთნელები ვალერიან ჩხარტიშვილი ან შოთა ჭეიშვილი იქნებოდნენ, მაგრამ... გასულ პარასკევს აჭარის მთავრობამ სხვაგვარად თქვა და გუნდი წარსულში ცნობილ მეკარე ასლან ბალაძეს ჩააბარა.

— დავიბენი, როცა გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზეს — ამბობს ასლან ბალაძე — არ ველოდი, ვფიქრობდი, რომ ამ თანამდებობაზე ან ჩხარტიშვილს ანაც ჭეიშვილს დანიშნავდნენ. შიშით არ მეშინია, უმაღლესი ლიგის გუნდის გაწვრთნის გამოცდილება მართალია არ მაქვს, მაგრამ მეორელიგელ გუნდებში კი ვმუშაობდი. ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდებოდა. ახლა ჩემი საფიქრალი სხვა არის, გუნდი ფაქტობრივად მოშლილია, ბიჭები ფსიქოლოგიურად გატეხილები არიან.

**— მერედა ასეთი ვითარება თუ იყო, მწვრთნელობას რატომ დათანხმდით?**

— იცით, მე ბათუმელი კაცი ვარ და როცა მშობლიური გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზეს, უარს ვერაფრით ვიტყოდი. მჯერა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და „ბათუმიც" თავის სახელს დაიბრუნებს. მე ოპტიმისტი ვარ.

**— პირველი რა გააკეთეთ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ?**

— უფრო სწორად, ვაკეთებ, რომ გუნდს ბრძოლისუნარიანობა დავუბრუნო და ფსიქოლოგიურად მოვამზადო. როცა მწვრთნელად დამნიშნეს, გუნდში ერთსულოვნება არ იგრძნობოდა, თითქმის ყველა თავისთავის იყო, არ იყო დისციპლინა. მე კი საკმაოდ მკაცრი ვარ და დამნაშავეს არაფერს ვაპატიებ. მსურს, რომ „ბათუმს", თავის ბათუმური თამაშის სტილი დავუბრუნო.

**— მკაცრი ვარო, თქვით, ვინმე ხომ არ გაგიშვიათ გუნდიდან?**

— გაგვშვებით ჯერ არავინ, პირიქით — დავიმატეთ.

**— ვინ?**

— პაატა მაჭუტაძე და თემურ ტულუში, რომლებიც კარნევალის დროს წავიდნენ გუნდიდან. მიმაჩნია, რომ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი გუნდში ყოველთვის უნდა იყოს, ახალგაზრდებს სწავლა სჭირდებათ. მთლად 17-18 წლის ბიჭებით ბევრსაც ვერაფერს მიაღწევ.

**— ბათუმური სტილი რომ ახსენეთ, ამაში რა იგულისხმეთ?**

— პირველ ყოვლისა, შემტევი ფეხბურთი, ბრძოლისუნარიანობა... აი რა არის ბათუმური სტილი. ყველა გუნდი თავისებურად თამაშობს, „ბათუმი" კი ყოველთვის შემტევი ფეხბურთის მიმდევარი იყო. მეც ასე ვარ, თუმცა დაცვასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**— ამჟამად ყველაზე სუსტი რგოლი გუნდში რომელია?**

— დაცვა. ჩვენ ახლა დრო არ გვაქვს, რომ ყველა ნაკლი გამოვასწოროთ. თითქმის ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ვთამაშობთ და ასეთი შუალედისას ძნელია ფეხბურთელებს ის ასწავლო, რაც შენ გსურს.

**— მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ბიჭებს პირველად რა უთხარით?**

— ის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, ერთმანეთისა უნდა გვჯეროდეს და მიზანსაც მივაღწევთ-მეთქი. ამ ფეხბურთელების უმრავლესობასაც ბათუმის „კოლეჯში" და „ბათუმი 2"-ში მე ვავარჯიშებდი. მათ კარგად ვიცნობ.

**— მათი პოტენციისაც გეცოდინებათ. შეძლებთ კი ამ გუნდით ექსეულში მოხვედრას?**

— უნდა შევძლოთ. თუმც გაგვიჭირდება. პოტენცია კი ბიჭებს მართლაც დიდი აქვთ, მთავარია მოინდომონ და კარგ ფეხბურთს ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, მე ვპირდები „ბათუმის" ქომაგთ, რომ გუნდი, ისევე როგორც ადრე, ლამაზად ითამაშებს.

**— და მაინც, გამოუცდელი ბრძანდებით, ემანდ რომ უმაღლესი ლიგიდან...**

— მჯერა, ამ ბიჭებით უმაღლეს ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ. ჩემს რეპუტაციაზე კი რა ვთქვა... იცით, როცა მწვრთნელად დავინიშნე, ჩემთან ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა და ბოლოს იძულებული ვიყავი ტელეფონი გამომერთო. მილოცავდნენ, მაიმედებდნენ, მთავრობა სტიმულს მაძლევს, მე კი მათი მჯერა, ბათუმლებისა და ყველა ჩვენი ქომაგის, რომ ისინი გვერდით დამიდგებიან. მეც ვეცდები მათ მოლოდინი არ გავუცრუო. დანარჩენი ვნახოთ. ისე, სხვათა შორის ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული.

**ქოჩა ინასარიძე**



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

ასლან ბალაძე



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

„ბათუმის" მეგოლე პაატა მაჭუტაძე (№9) დაუბრუნდა

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი წრე. 11 ტური

20 ოქტომბერი, პარასკევი

**ხობი 0:0 თორი**

**ცხინვალი 4:0 ოკეანე**

**მილანი 3:1 ზუგდიდი**

**ივერია 2:1 შუქურა**

**გურია 1:0 სამგურალი**

**მეტალურგი 1:0 თბილისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 11 | 7 | 1 | 3 | 31:11 | 22 |
| შუქურა | 11 | 6 | 2 | 3 | 15:7 | 20 |
| ზუგდიდი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 19 |
| მეტალურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:10 | 18 |
| გურია | 10 | 5 | 3 | 2 | 11:13 | 18 |
| მილანი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:6 | 17 |
| სამგურალი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:10 | 17 |
| თორი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:10 | 17 |
| ხობი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:9 | 13 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 4:19 | 7 |
| ოკეანე | 11 | 1 | 3 | 7 | 8:22 | 6 |
| ივერია | 10 | 1 | 2 | 7 | 5:19 | 5 |

# დინამოს საბჭო: მოადგილეთა გადაადგილება

**გუშინ** გაიმართა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" საბჭოს კრება და ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც გადაწყდა — თანამდებობიდან გაათავისუფლეს რობინზონ თუშურაშვილი, რომელიც საკმაო ხანს „დინამოს" საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძისგანაც სწორედ მას ჰქონდა დავალებული „დინამოს" საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა და ფაქტობრივად საბჭოს შეფიც თუშურაშვილი გახლდათ, მისი მოადგილე კი რევაზ მაჭავარიანი.

გუშინდელ კრებაზე თუშურაშვილის პოსტიც დროებით რევაზ მაჭავარიანს ჩააბარეს და ალბათ რამდენიმე თვეს ის უხელმძღვანელებს „დინამოს" საბჭოს, რომელიც საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი მოწილე-დამფუძნებელია.

დინამოელები კი ძველებურად განაგრძობენ მზადებას დიღმის ბაზაზე. ახლა უკვე მთავარ მწვრთნელ რევაზ არველაძის ხელმძღვანელობით, რომელიც რამდენიმე დღით გერმანიაში, ფრანკფურტის მწვრთნელთა კონფერენციაზე გახლდათ.

**ქოჩა ინასარიძე**

# ლეონენკომ დემეტრაძე გააკრიტიკა

**კიევის** „დინამოს" ბელგიურ „ანდერლეხტთან" მარცხმა დიდი რეზონანსი გამოიწვია უკრაინაში. იქაურებმა ერთგვარი კონსილიუმი მოიწვიეს და ქვეყნის უპირველესი გუნდის მარცხის დიაგნოზი დასვეს. ჩვენთვის რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, უკრაინელებმა მთავარ დამნაშავედ გიორგი დემეტრაძე გამოიყვანეს შაცკიხთან ერთად.

მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი დუმს, ჯიუტად არაფერს ამბობს, ყველანაირ კომენტარს ერიდება, კიევის „დინამოს" ყოფილი ფორვარდი ვიქტორ ლეონენკო კი ამტკიცებს, რომ ბელგიური მარცხი გიორგი დემეტრაძის არასტაბილურობის ბრალია.

„პარალელი გავავლოთ ორი წლის წინანდელ და დღევანდელ „დინამოს" შორის. იმ გუნდს გამოკვეთილი ლიდერები ჰყავდათ შევჩენკოს და რებროვის სახით და ყველასათვის ნათელი იყო, რომ გუნდის ტაქტიკა ამ ფეხბურთელების ოსტატობაზე იყო დაფუძნებული. დღეს კი რა ხდება... ნუ ეწყინებათ შაცკიხს და დემეტრაძეს, მაგრამ ფორვარდის მისია გაცილებით მრავლის მომცველია. თქვენ შეგიძლიათ შემახსენოთ, რომ დემეტრაძემ სამი კვირის წინ ორი გოლი გაუტანა „ანდერლეხტს", მაგრამ თავდამსხმელის მთავარი ღირსება ხომ სტაბილურობაა. ეს კი ქართველ ლეგიონერს ერთობ აკლია" — განუცხადა რუსულ „სპორტ ექსპრესს" ლეონენკომ.

რატომღაც ლეონენკოს საკუთარ კარში გოლის გამტანი ვაშჩუკი არ გახსენებია, ეს ფეხბურთელი მძაფრად გააკრიტიკა მეორე ექსდინამოელმა ანდრეი ბალმა, მაგრამ ყოველივე დემეტრაძისთვის ვერაფერი ნუგეშია, გიორგი კიევში გადასვლის დღიდან პირველად მოხდა კრიტიკის ამგვარ ქარცეცხლში.

**ლუკა თალაკვაძე**

## აზიის თასი

C ჯგუფი. III ტური

**ყატარი 1:1 იაპონია**

**საუდის არაბეთი 5:0 უზბეკეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 13:3 | 7 |
| საუდის არაბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ყატარი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| უზბეკეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:14 | 1 |

## ჰოლანდია

IX ტური

**აიაქსი 4:2 როდა**

1:0 გალაშეკი (16), 2:0 კოვუ (36მ), 3:0 ვან დერ ფაარტი (67), 3:1 ვან დერ ლუერი (73), 4:1 მოზე (86), 4:2 ჩუტანგი (90)

## იტალია

სერია B

VII ტური

**სიენა 0:0 პესკარა**

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XVI ტური

**ლავალი 0:0 სოშო**

## პორტუგალია

VIII ტური

**კამპომაიორენსე 0:0 ბოავიშტა**

## გერმანია

IX ტური

**კაიზერსლაუტერნი 2:0 ვერდერი**

1:0 პეტერსონი (14), 2:0 კლოზე (85)

II ბუნდესლიგა

IX ტური

**არმინია 0:0 ვალდჰოფი**

**ქემნიცი 1:3 ზანქტ პაული**

## ჩეხეთი

XI ტური

**ჟიჟკოვი 1:2 სლავია**

## თურქეთი

IX ტური

**ადანა 1:1 ფენერბახჩე**

## ავსტრია

XV ტური

**გრაცერი 2:0 რაპიდი**

## ბელგია

X ტური

**სტანდარდი 4:0 შარლერუა**

1:0 მეისენი (7), 2:0 აარსტი (19), 3:0 ფოლის (53), 4:0 გუსენსი (86)

გაძევება: კურე (65, შარლერუა)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალაქში ანგელოზები დადიან

## საკალათბურთო ცენტრის არასაფეხბურთო ვნებანი

*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ლიტვურ-იტალიური ტურნე კვირაზე მეტის ჩავლილია. ოთხშაბათს „სარბიელის“ კორესპონდენტის ანკონური შთაბეჭდილებები გაგაცანით, დღეს კი კაუნასური წაიკითხეთ.*

**რომ** მკითხონ, თავისუფალ დროს სად ისურვებდი დასვენებასო, დაუფიქრებლად კაუნასს ავირჩევდი და შევცდებოდი თუ არა, თავად განსაჯეთ. მე ჯერჯერობით არ გამიგია სხვა ადგილი, სადაც შეგიძლიათ საკუთარ ოცნებებს ლაგამი არ ამოსდოთ. ლიტვის ამ კოხტა ქალაქიდან, დავუშვათ, მალიორკაზე მოხვედრა, სამ კვირას ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება, იქით-აქეთ გზა და სავიზო პრობლემების მოგვარება სულ რაღაც 500 ლარი დაგიჯდებათ.

მალიორკა იქით იყოს და რაც შეეხება, კანარებს, ჰავაის თუ ტაიტის, ბევრად მიუწვდომელი არც მათი ფასია.

ახლა დასასვენებელ პირობებს თავი ვანებოთ და იმაზე ვთქვათ, რა უჯდება უბრალო ლიტველს ერთ თვეს ცხოვრება-გამოკვება. ბაზარში წაუსვლელად, მრავალფეროვნებით ჭკუიდან შესაშლელი სუპერმარკეტის (იქ მხოლოდ ნატვრისთვალს არ ჰყიდიან) საოცრად დაბალი ფასებით კაუნასელი ორკაციან სუფრას 7-8 ლარად გაიშლის. ამის გაკეთება კი თვით უმუშევარს, რომელიც ყოველთვიურად 80 დოლარის ექვივალენტს იღებს ლიტვურ ლიტებში სახელმწიფოსგან, სულ მცირე, 40-ჯერ შეუძლია.

მასვი, მაჭამე, მაკოტრიალეს პრინციპით კაუნასზე თხრობის დაწყება თავში აზრად იმ ადგილით ხბოს აღფრთოვანების გამო არ მომსვლია, სადაც არც შუქი ქრება, ცენტრალიზებული გათბობაცაა და ცხელი წყალიც თავზე სასხმელად.

ლიტვაში მართლა უფრო იოლია ცხოვრება ვიდრე, დავუშვათ ჩვენთან. და თქვენ გგონიათ, იქაური ამას დაგიდევთ?

ვერცერთი ჩვენებური ოპოზიციური პარტიის ლიდერი თუ ნებისმიერი ჯურის ქართველი „ისტი“ ვერ შეედრება, ვთქვათ, რომელსაც გნებავთ, კაუნასელ ტაქსის მძღოლს, ვინც ლიტვური ცხოვრებით აუტკივარ თავს საკუთარ მთავრობაზე წუწუნით გატკენთ.

ჩვენს მასპინძლებს ლიტვა — საქართველოს მატჩის დღეს სეიმის არჩევნები ჰქონდათ და წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე ვნებებიც ერთი-ორად გამძაფრებულიყო. თუმცა ისეთსაც ბევრს შეხვდებოდით, ვისაც არ აინტერესებს, როდისაა არჩევნები, რას აშავებს ბრაზაუსკასი, სადაა ლანდსბერგისი და არც ის, ვინ გააკეთებს არჩევანს მის ნაცვლად.

ლიტველებს მთავარი არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ. რაც შეიძლება, შორს რუსეთიდან და რაც შეიძლება ახლოს ამერიკასთან — ასეთია ახალ-ლიტვური დევიზი.

ერთხელ ხომ უკვე მომიწია იმის აღნიშვნა, რომ ნატოს პირველი, იტალიური/პოლკის ერთ-ერთი რაზმის დემონსტრირება ჩვენი ეროვნული გუნდების მატჩის შესვენებისას „დარიუსის და გირენასის“ სტადიონზე მოხდა.

ეს, ცხადია, ლიტვის ამჟამინდელი პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის დამსახურებაა. დამოუკიდებელი ლიტვიდან ამერიკაში მეორე მსოფლიო ომისას გაქცეული 74 წლის ლიტველი სამშობლოს შარშანწინ დაუბრუნდა და მთავარი მისია შეასრულა, ლიტვას ნატოს აბჯარი ჩააცვა. ამიტომაც მის ძვირს ლიტველები ძვირად ამბობენ.

ნატოს აბჯარი ერთია და კაუნასელ ახალგაზრდობას, ცხადია, ხაკისფერი ქსოვილით ვერ შემოსავ. ტყავი მოდაშია, ბევრს აცვია და დღისით ქონების დემონსტრირებას არც არავინ ერიდება, მაგრამ ღამით ქუჩაში მარტო გასვლას კეთილი კაუნასელი მტერსაც არ ურჩევს.

ნაშუაღამევს, შესაძლოა, ქუჩაში ლუდით გამომთვრალი ახალგაზრდების მოხულიგნო ჯგუფს გადეყაროთ და ასეთ დროს წინააღმდეგობის გაწევა იმ შემთხვევაშიც არ ღირს, თუკი თქვენი იდეალი ცხოვრებაში ჟან კლოდ ვან ვანდამია.

ბელგიელ მსახიობზე ჭკუა არასდროს დამკარგვია, მაგრამ რამდენჯერმე ნაშუაღამევს გასეირნება მაინც ვცადე და მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. ასე რომ, ტაქსისტებმა, მგონი აქაც გადააჭარბეს.



ლიტველებმა დიდი ხანია გაჭრეს ფანჯარა დასავლეთისკენ





მდინარე ნემუნასი

კაუნასზე უფრო ლიტვური ქალაქის პოვნის შანსი მთელს ლიტვის რესპუბლიკაში იმაზე უფრო მცირეა, ვიდრე რუსულის მოსმენისა ამ შაუგულ ლიტვაში. ეს ინტერნაციონალური ვილნიუსი არ გეგონოთ, კაუნასში თუ რუსული მოგესმათ, არ გაგიკვირდეთ, ეს პირველ რიგში ალბათ თქვენი საკუთარი ხმაა.

მას ვინც კაუნასელ ახალგაზრდობასთან ფონს გასვლას მხოლოდ რუსულით შეეცდება, ამ ჩვენთვის ჯერაც ახლობელი ენის კაუნასურ მდინარე ნემუნასივით ღრმა, არცოდნის მორევში აღმოჩნდება. არცერთმა 20 წლამდე კაუნასელმა არ იცის რუსულ ენაში იმაზე მეტი, რამდენიც იცის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

კარგია თუ არა რუსულის არცოდნა? რა თქმა უნდა, ცუდია და არა იმიტომ, რომ რუსეთი ჩვენი უახლოესი მეზობელი და უფროსი, სტარატეგიული მეგობარია. უბრალოდ, კაცმა რაც მეტი ენა იცის, ურთიერთობაც მით უფრო უადვილდება. დედამიწის ერთ მეექვსედთან გარდაუვალი ურთიერთობის უმარტივეს საშუალებაზე უარის თქმა კი ბრიყვობა მგონია.

მეტსაც გეტყვით, თუკი ქართველმა გოგო-ბიჭებმა რუსულის როლი ინგლისურს მიანიჭეს, ლიტველები არც ინგლისურად სხლავდნენ. თუმცა 400-ათასიან კაუნასში ცოდნასმოწყურებული იმაზე ნაკლები ნამდვილად არაა, ვიდრე მილიონნახევრიან თბილისში — ყოველ კუთხეში უნივერსიტეტი თუ გიმნაზია კაუნასშიც ისევე იოლი სანახავია, როგორც იქიდან გამომავალი ქერა ლამაზმანი.

„ლაისვეს ალეია“ — თავისუფლების ხეივანი. ამ რამდენიმე კილომეტრიან ფეხით სასიარულო ორფრთიან ქუჩაზე ორივე მიარფულებით ისე მძლავრ ნაკადად მიმოედინება ტანკენარ ქალთა უწყვეტი მწკრივი, გეგონებათ, პარტერში ვზივარ და პოდიუმზე კი ჯანი ვერსაჩის თუ კრისტიან დიორის ქალები დადიანო.

კაუნასელ ბიჭებს იაფი და ხარისხიანი ლუდის გარდა ხშირ შემთხვევაში სხვა მეგობარიც ჰყავთ. ძვირად ნახავთ კენტად მოსეირნე კაუნასელ მამაკაცს, მაშინ, როცა თავისუფლების ხეივანში შერეულ წყვილებს აშკარად სჭარბობენ შეჯგუფული მანდილოსნები. ლიტვური პოვინციის დედაქალაქი, რომელსაც სხვაგვარად ვილნიუსის დასაც უწოდებენ მეტწილად სწორედ მდედრობითი სქესისაა.

კაუნასელები პირჯვარს ორი თითით იწერენ, რადგან აქ კათოლიკური, საამო ხმის გადმომღვრელი ორღანიანი ტაძრები სჭარბობს, თუმცა ქუჩაში დღისით-მზისით ფეხმორთხმული სიტარიანი კრიშნაიდების ნახვა და მოსმენაც შეგიძლიათ.

ლიტვაში სხვაც ბევრი რამაა შესაძლებელი. შესაძლებელია, რომ სოფელში ნაკვეთს არ ჰქონდეს ღობე. ამაში კაუნასიდან შაულიაისკენ მგზავრობისას დავრწმუნდით. თუ თქვენ გყავთ ფრინველები ანაც შინაური ცხოველები, ეს არ გაიძულებთ საკუთარ სახლს ალყა შემოარტყათ და იქ გამაგრდეთ. ეტყობა, ქალაქებში მოთარეშე ღამის ხულიგნები სოფლამდე მისასვლელად თავს არ იწუხებენ და არც იქაურებს აწუხებენ. ესეც თავაუტკივარი ცხოვრების კიდევ ერთი მაგალითი.

კაუნასში უამრავი სტადიონია, უფრო მეტი ტაძარი და არაერთი რატუშა, მარტო სამი მდინარეა: ნევეჟისი, ნერისი და ნემუნასი. მაგრამ არაფერი ამ ქალაქში იმაზე ბევრი, ვიდრე საპარიკმახერო და აფთიაქი. „კირპიკლა“ და „ვაისტინე“ ის ორი ლიტვური სიტყვაა, რომელსაც კაუნასის სტუმარი ყოველგვარი ლექსიკონის გარეშე ნახევარ საათში დაისწავლის.

კალათბურთი უფრო პოპულარულია თუ ფეხბურთი, ამას კაუნასში კითხვა არ უნდა — უმაღლესი ლიგის სამი საფეხბურთო კლუბი ვერ კრებს ყოველწლიურად იმდენ მაყურებელს, რამდენსაც საკალათბურთო „ჟალგირისი“ იზიდავს ევროლიგის ერთ-ორ მატჩზე.

ქალაქის სიმწვანეში საკუთარ მნიშვნელოვან როლს თამაშობს აქაური „ჟალგირისის“ მწვანე ატრიბუტიკა. ერთი შეხედვით დაუჯერებელიც კია, როგორ შეიძლება ამ პატარა ქალაქის გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი იყოს კალათბურთში. მაგრამ ეს უახლოესი წარსულის რეალობაა.

სულ ახლახან კი, ლიტვაში ქართველთა ჩასვლამდე სულ რაღაც კვირით ადრე „ლაისვეს ალეია“ ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ქომაგებს იავარუყვიათ. ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლების მოგების შემდეგ სიხარულით გონდაკარგულ ფანებს ერთბაშად ძირს ჩამოუშვიათ ხეივნის ორთავ მხარეს მდგარ შენობათა ვიტრინები.

ვერ გეტყვით რა იქნებოდა, ლიტვას ნახევარფინალში ამერიკასთან ორი ქულით რომ არ წაეგო და ჩემპიონიც გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია, კაუნასს კვირისწინანდელი ექსცესების კვალი ოდნავადაც არ ეტყობოდა.

საკალათბურთო კაუნასის ღირშესანიშნაობა, ცხადია, „დარიუსის და გირენასის“ სპორტული ცენტრის გვერდით მდებარე არვიდას საბონისის სახლია, რომელსაც დღემუდამ დაცვა დარაჯობს. ამერიკაში მოთამაშე საბასი ლიტვას იშვიათად სტუმრობს, მაგრამ როცა ჩადის კაუნასში აჟუოლინასის პარკის ნაპირას ისვენებს. ტყე-პარკის გადაღმა კი ზოოპარკია, რომელიც ეგზოტიკურ ცხოველთა თუ ფრინველთა მდიდარი არჩევანითაა განთქმული.

კაუნასის ზოოპარკის ყველაზე ხანდაზმული მცხოვრები აზიური გრძელბეწვა ცხვარ-ხარია, რომელიც ძალიან წააგავს კაუნასის თილისმას ბიზონს, ვისი ძეგლიც სწორედ ზოოპარკთან ახლოს შუა ტყეში დგას.

ბიზონისა თუ სათაურის რითმის თარგში გარეული პრეისტორიული დინოზავრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კაუნასში ქერა ანგელოზები კი მართლა ურიცხვი დადიან..

მოდით, და გამამტყუნეთ ამის შემდეგ, თავისუფალ დროს კაუნასში დასვენებაზე რომ ვოცნებობ. იქიდან მალიორკაზე მოხვედრა ხომ მხოლოდ 500 ლარი ღირს...

**ვახტანგ ბზიკაძე**
**კაუნასი — ანკონა — თბილისი**



7 ოქტომბრის ლიტვა — საქართველო 8000-მა ქომაგმა იხილა. სულ მცირე, ორი ამდენი „ჟალგირისის“ ყველა მატჩზე დადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

9 ტური ანონსი

# ეროვნულიდან ეროვნულამდე

## რატომ სჯობს 4 600 ლარი 4 600 გულშემატკივარს

**ოთხიათას** ექვსასამდე მაყურებელი შეწუხდა ეროვნული ჩემპიონატის გასული მერვე ტურის მატჩების სანახავად და არა გვგონია, ამაზე მეტმა მეცხრე ტურისთვისაც მოიცალოს.

ბევრია თუ ცოტა ოთხიათასექვსასი? გააჩნია რა შემთხვევაში. ლარებში თუ ავიღებთ, ჩემი მდგომარეობის კაცისთვის (და ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ბევრი ფეხბურთელისთვის) ერთობ შთამბეჭდავი თანხაა, მატჩებზე დასწრების მხრივ კი რა გითხრათ. აგერ, ბელარუსებმა დაიანგარიშეს (ორიოდე დღეა, იქ ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა) და თურმე იქაური პირველობის მატჩებს მაშუალოდ 2766 მაყურებელი ადევნებდა თვალს, ჩვენთან კი, გასული ტურით თუ ვიმსჯელებთ, საშუალოდ 766 გულშემატკივარს დაუფასებია უმაღლესი ლიგა. და რა გამოდის, ორიათასიანი ჩამორჩენა გვქონია კორეა-იაპონიაზე მეოცნებეთ ბელარუსებთან. ვიცი, იტყვით, მეტს არც იმსახურებს ჩვენი ჩემპიონატიო და ვერც შეგედავებით.

თუმცა, ისე არც მასეა საქმე, თქვენ რომ ფიქრობთ, ჩვენ თუ არ ვწყალობთ ჩვენსას, აგერ, უცხო დამფასებელი გამოგვიჩნდა.

არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინელი ანდრეი მუხინი ჩაება ეროვნულის ფერხულში. მუხინს ამას წინათ თანამემამულე პოდლესნიც მოჰყვა. აგერ ორიოდ დღის წინ ჩემპიონატი და ჩემპიონი ისევ უკრაინელმა დააფასა — სალორიაზე „ტორპედოს" კიროვოგრადელი ანდრეი პორიშინი შეუერთდა. ვერაფერს იტყვი, დაინტერესდა ხალხი, ლეგიონერები გაჩნდნენ ჩვენს ჩემპიონატში, მაგრამ შეიძლება კი ამით ეროვნულ პირველობაზე შთაბეჭდილების შექმნა? რა ვქნა, უნებურად ბრაზილიულ ყავაზე გაზრდილი დესოუზა და თბილისური ბენზინგასამართი სადგურის დამაშვენებელი ნიგერიელი ბარი სალამი მახსენდება. ერთი კია, ასეთი ფიქრის საფუძველს ანდრეი მუხინი ნამდვილად არ მაძლევს. პოდლესნის და პორიშინს კი ჯერაც ბევრი აქვთ დასამტკიცებელი. ისე, საიდუმლოს გაგანდობთ, ლეგიონერთა ნაკადი ამით არ შეწყდება ჩვენს ჩემპიონატში.

პირველად ავჭალელთა ახალწვეულები ვახსენეთ და მეცხრე ტურის ანონსი „დინამო" — „მერანით" დავიწყოთ.

წლეულს პირველი შემთხვევაა, როცა ამ ორ გუნდს თითქმის ერთთვიანი მეზობლობა უწევს სატურნირო ცხრილში. „დინამო" მეოთხეა, „მერანი" მეხუთე და მათი დღევანდელი დაპირისპირება ერთობ პრინციპული და ორივესთვის მნიშვნელოვანია. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა დინამოელები 4-5 ბურთიანი სხვაობით ამარცხებდნენ ავჭალელებს. რამდენადაც წლეულს უკან-უკან მიდის ათგზის ჩემპიონის საქმე, იმდენად სასიკეთოდ იცვლება „მერანი". სერგო გაბელაიას გუნდის პროგრესი აშკარაა და უეჭველია ფიცხელ ბრძოლასაც გაუმართავს წინა ტურში „დილასთან" ბოლო წუთებში გადარჩენილ მეტოქეს.

ტრანსპორტელთა გუნდის განწყობილებას ისიც ამაღლებს, რომ „მერანის" მესვეურებმა გუშინ მიხეილ ფოცხვერია შეიყვანეს საჩემპიონატო განაცხადში და შესაძლებელია, ეს ფეხბურთელი დღესვე ათამაშონ. ასე რომ, „ეროვნულზე" იქნებ არც მოიწყინოს გულშემატკივარმა.

ბოლოს ხავერდოვან სეზონში გამარჯვებულ „ბათუმს" აგერ უკვე თითქმის თვენახევარია მოგების გემო არ უნახავს. ზღვისპირელებს დღეს გამარჯვების კარგი შანსი აქვთ „დილასთან", მით უფრო, რომ ქართლელებს ლაგოდეხში „ჭაბუკიანთან" სათასო მატჩში დაშავებული ოლგესაშვილი გამოაკლდებათ, თანაც გორელთა რიგებში სათუოა მაჯამტკივანი რამაზ სოლოლაშვილის თამაშიც, მაგრამ „დილამ" იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა „დინამოსთან" მატჩში, რომ ეგებ სიურპრიზიც შემოგვთავაზოს, მაგრამ ზღვისპირელები მაინც ფავორიტები არიან. გუნდის ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძეც ალბათ ყველაფერს გააკეთებს ამ მატჩის მოსაგებად. ისე, ზღვისპირელებს ბოლო სამი წლის განმავლობაში შთამბეჭდავი მაჩვენებელი აქვთ ქართლელებთან. ამ ხნის მანძილზე „დილას" გოლიც კი არ გაუტანია ბათუმში. სამ მატჩში სამჯერ დამარცხდა (შარშანწინ 0:6) და საერთო ჯამში 12 გოლიც გაუშვა.

სტუმრის რანგში მყოფი „ვიტ ჯორჯია" ყოველთვის იმარჯვებს ძმობილ თსუ-სთან და სავარაუდოდ ამ ტრადიციას ამჯერადაც გააგრძელებს. ვეტერინარები მართლაც კარგ ფორმაში არიან. ეს რომ ასეა, გასულ ტურში „ლოკომოტივის" ძლევითაც დაამტკიცეს და საეჭვოა, დღეს მცხეთაში ფეხი დაუცდეთ.

თსუ იბრძოლებს. გუნდს ექვსეულში მოხვედრა სურს, „ვიტ ჯორჯიას" კი საჩემპიონო ამბიცია ამოძრავებს და სამი ქულა მისთვის ერთობ მნიშვნელოვანია. ვეტერინარებს საამმატჩოდ მეტოქესთან შედარებით მცირე დანაკლისი აქვს. ვერ ითამაშებს „ლოკომოტივთან" მატჩში დაშავებული მირზა მერლანი, მის ადგილს კარში სერგო ჭურაძე დაიკავებს. „ვიტ ჯორჯიას" რიგებში შესაძლოა გამოჩნდეს ახალწვეული ექსშერიფელი მიხეილ თაყაძე, მან 17 ოქტომბერს სათასო მატჩშიც ითამაშა ს.ა. „იბერიას" წინაალმდეგ. თსუ-ს დანაკლისი კი უფრო დიდია. თენგიზ კაციას გუნდს კვიციანი ვერ შეეშველება, ფაქტობრივად გამორიცხულია ებრალიძის და ვადაჭკორიას თამაშიც. პირველს მუხლი აწუხებს, მეორეს კი კუნთი აქვს გაწყვეტილი.

ტრადიციულად სხვათა მსგავსად „იბერია" ყოველთვის კრძალვით ჩადის ბოლნისში, თუმცა სამტრედიელებისთვის ამ კომპლექსს შარშან საპატიო ქულის აღებაში ხელი არ შეუშლია. ბოლო წლების განმავლობაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა „იბერია" ბოლნისიდან ხელცარიელი არ დაბრუნდა, დღეს კი შარშანდელის გამეორება ერთობ გაუჭირდებათ სოსო ფრუიძის დამოძღვრილებს, იბერიელები წლეულს არნახულად სუსტად გამოიყურებიან.

მოგებას ვინ ჩივის, ერთადერთი ქულით სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაშვებულმა გუნდმა რვა მატჩში მხოლოდ ერთადერთხელ გაიხარა გოლით. „სიონს" კი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საიმედო ნახევარმცველი ნუკრი მინდიაშვილი დაუბრუნდა, გუნდშია აგრეთვე დავით პეტრიაშვილიც და სხვათა შორის საზეიმო განწყობითაც (რამდენიმე დღის წინ ამ ფეხბურთელმა ოჯახი შექმნა), თუმცა ქვემოქართლელებს დანაკლისიც აქვთ, ტრავმამოუშუშებული მურმან გოგოლაძე „ივერიასთან" სათასო მატჩში დაუბრუნდა გუნდს, მაგრამ ხაშურში მან ისევ იტკინა ფეხი და კვლავაც იძულებითი დასვენება მოუწევს. ბოლნისელებს ვერც ნაოპერაციები არჩილ შაკიაშვილი შეეშველებათ, მაგრამ თავადაც ნაავადმყოფარ გუნდის მთავარ მწვრთნელ სპარტაკ არჩვაძეს პრობლემები არც ერთ რგოლში არა აქვს და ალბათ არც გაუჭირდება „იბერიას" დასამარცხებლად ვარგისი ტაქტიკური მონახაზის მოძიება.

4:0, 4:0, 1:0 — აი, ამ ანგარიშებით მარცხდებოდა რუსთავის „გორდა" ბოლო სამი წლის განმავლობაში ეროვნულ ჩემპიონატებში ქუთაისურ „ტორპედოსთან". ის კი არა, შარშანწინ სულაც 1:7-ით შერცხვნენ „ფოლადზე" მასპინძლები, სათასო მატჩში კი სულაც 8:0 დათმეს ქუთაისში. სტატისტიკური მაჩვენებელი ერთის თქმის საფუძველს გვაძლევს — „გორდა" იოლი ლუკმაა „ტორპედოსთვის" და არა გვგონია, რუსთაველებმა ხვალ ქუთაისელთა რვამატჩიანი, წარმატებული სერია გააუფერულონ, თუმცა იასონ ალადაშვილის გუნდი სტატისტის როლში ყოფნას რომ არ აპირებს, ცხადზე ცხადია, რუსთაველებს სამომავლოდ შემადგენლობის გაძლიერების არცთუ ურიგო შანსი აქვთ და იმასაც აცნობიერებენ, სანამ ეს განხორციელდება, თითოეულ ქულას რა ფასი აქვს.

„გორდა" ექვსეულში შეღწევას ლამობს და ამ გუნდის თამაშებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ ამის არცთუ ურიგო შანსი აქვს. იასონ ალადაშვილი ქუთაისში ექს ჟემჩუჟინელ ალეკო გელაძესაც იახლებს. არმაზ ჯელაძის განაცხადში შეყვანა კი ჯერჯერობით არ ხერხდება, ამ ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცელი საზღვაგარეთიდან ჯერაც არ მისულა ფედერაციაში.

დაბოლოს, საკვირაო მატჩი. „ლოკომოტივი" — „კოლხეთი". ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ბალანსი აშკარად კოლხთა სასარგებლოდაა. რკინიგზელებს ეროვნულ ჩემპიონატებში ზღვისპირელებთან დღემდე არ უმარჯვიათ — ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ორ ფრეს გამორჩნენ. გასულ ტურში მარცხნაჭამი ძოძუაშვილის გუნდი მატჩის ფავორიტი კია, მაგრამ სოსო ფილიას ხელში ათამაშებული „კოლხეთი" ერთობ ანგარიშგასაწევი მეტოქეა ნებისმიერი გუნდისთვის და გამონაკლისი არც „ლოკომოტივია". საამმატჩოდ რევაზ ძოძუაშვილი ტრავმირებულ ცეზარ ხუროძეს მოისაკლისებს, ფოთელები კი ჯანზე არიან, ისინი დღეს სრული შემადგენლობით ეწვივნენ თბილისს და, ბუნებრივია, ტრადიციისამებრ სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდნენ. რევაზ ძოძუაშვილის ამოცანა გასაგებია, მისმა გუნდმა როგორღაც ექვსქულიანი ჩამორჩენა უნდა შეამციროს ლიდერ „ტორპედოსთან", ფოთელთა მოტივაციაც აშკარაა — ექვსეულში ვერმოხვედრა კოლხებისთვის კატასტროფა იქნება.

მოკლედ „დინამო" — „მერანის" მატჩის არ იყოს, მაყურებელთა მიზიდვა კვლავაც „ეროვნულ" სტადიონს შეუძლია. მივიდნენ, ადგილი ბევრია, მთავარია, იქ ფეხბურთი დახვდეთ.

**ბაადა ძგანტალიანი**



ქუთაისი. 1999 წლის 16 ოქტომბერი. მატჩის ერთადერთი გოლი რუსთაველთა კარში ტორპედოელმა გიორგი მეგრელაძემ (№10) გაიტანა

ქუთაისი. „ტორპედო". 21 ოქტომბერი. 16 საათი

### ტორპედო — გორდა

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. „ეროვნული". 21 ოქტომბერი. 16 საათი

### დინამო — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ბათუმი. „დინამო". 21 ოქტომბერი. 16 საათი

### ბათუმი — დილა

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

მცხეთა. „არმაზი". 21 ოქტომბერი. 16 საათი

### თსუ — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. ორდჟინიძე (ონი); კ. თბილელი, ო. ხეცაძე; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 21 ოქტომბერი. 16 საათი

### სიონი — იბერია

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ი. შალამბერიძე; მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული". 22 ოქტომბერი. 16 საათი

### ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 7 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 5 - იონანიძე | ტორპედო |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| შაგგულიძე | კოლხეთი |
| გონჩაროვი | ლოკომოტივი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მიშველიძე | გორდა |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 8 | 8 | 0 | 0 | 15:2 | 13 | 24 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 |
| 2 ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 19:5 | 14 | 18 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 6 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 12 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 8 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 8 |
| 4 დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:12 | -2 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 |
| 5 მერანი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 |
| 6 გორდა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:12 | -3 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:8 | -6 | 2 |
| 7 თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | -3 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 8 კოლხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | -2 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 0 |
| 9 დილა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 10 სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | -2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 4 |
| 11 ბათუმი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | -6 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | -8 | 0 |
| 12 იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 1:14 | -13 | 1 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | -8 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰალსტუხ-პიჯაკის პრობლემა ბრაზილიურ ფეხბურთში



ემერსონ ლეაო
70-იანი წლების ბოლოს

**ბრაზილიის** ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ემერსონ ლეაო. იგი წარსულში ეროვნული გუნდის კარს იცავდა და მსოფლიოს ორ პირველობაზეც ითამაშა — 1974 წელს გერმანიაში და 1978-ში არგენტინაში, სადაც ნაკრებს კაპიტნობდა კიდეც. 13 წელია, სხვადასხვა კლუბს წვრთნის და თავის დამოძღვრილებს თურმე ყოველთვის შემტევი ფეხბურთისკენ მოუწოდებს.

ვანდერლეი ლუქსემბურგოს გამოთავისუფლებულ სავარძელში მოკალათდა თუ არა, პირველად სწორედ ეს თქვა:

— ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენს საფეხბურთო წარსულს, ბრაზილია ხომ ოდითგანვე შემტევ ფეხბურთს ქადაგებდა. ახლაც ამ გზით სიარულს ვაპირებ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეები პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეს. ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელი ტექნიკურია, მე კი ვაპირებ, ეს კოზირი გუნდური თამაშის სტილთან შევადუღაბო.

ღვაწლმოსილ ბრაზილიელ ჟურნალისტ ანტონიუ მარია ფალიოს, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის ოქროს ხანას მოსწრებია, უთქვამს, ლეაო ახლა სწორედ რომ შესაფერისი კანდიდატია, ჩვენ მას უცილობლად უნდა ვენდოთო. „ემერსონ ლეაოს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ მისი წარმატებული შედეგები ნათლად მეტყველებს, რომ ნაკრებს კარგად გაწვრთნის" — განაცხადა ფალიომ.

არადა, ლუქსემბურგოს გადადგომის შემდეგ ლეაოს თითქმის არსად ახსენებდნენ. იყო სამი ყველაზე შესაძლო კანდიდატი — გამოცდილი ლუის ფელიპე სკოლარი, რომელმაც „პალმეირასი" ორი წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედთან" საკონტინენტთაშორისო თასზე ათამაშა. იქ მისი გუნდი კი დამარცხდა, მაგრამ მანამდე „დიდი ფელიპეს" შეგირდებმა ბრაზილიის ჩემპიონობა და „ლიბერტადორესის თასის" მოგება იზეიმეს.

მეორე კანდიდატი კარლოს ალბერტო პარეირა გახლდათ, ვინც ბრაზილიის ნაკრები 1994 წელს ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში ოქროს მედლებით დააბრუნა.

და მესამე შესაძლო მწვრთნელი — „ვასკუ და გამას" თავკაცი ოსვალდო დე ოლივეირა.

ამათგან ყველამ უარი განაცხადა. იმავე „დიდმა ფელიპემ" გულახდილად აღიარა, ასეთ დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობას ალბათ ვერ გავუმკლავდებიო.

და აი, გამოძებნეს ლეაო. „ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა იქნებ ძალიან მძიმე ტვირთი იყოს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, თუ საქმეები კარგად აეწყო, პირიქით მოხდეს. ჩემი ოჯახი ძალიან ბედნიერია. ეგაა, ოდნავ ნერვიულობენ" — აღნიშნა ახალმა თავკაცმა.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა რომ მძიმე ტვირთია, ამაზე ვანდერლეი ლუქსემბურგო ჩიოდა. გუშინდელ „სარბიელში" მოყვანილ მის ციტატას გაგახსენებთ: „ნაკრებში რომ დამნიშნეს, ჩემი ჩაცმულობა მოიწონეს. ამბობდნენ, ნახეთ, ლუქსემბურგო სხვებივით სპორტულ პიჟამოში კი არ დადის, კოსტუმი აცვია და ჰალსტუხი უკეთია. ეს სხვა მწვრთნელებისთვისაც მისაბაძი უნდა იყოსო. ახლა კი რა ხდება? ლამის ჩემსავე ჰალსტუხზე ჩამომახრჩონ — ზედმეტად გაპრანჭულიაო".

სხვათა შორის, ჩაცმულობაზე და ჰალსტუხ-პიჯაკის პრობლემაზე თავისი აზრი ახალმა მწვრთნელმაც გამოთქვა: „საერთოდ, პიჯაკს მატჩის დროს არ ვიცმევ. თუნდაც იმიტომ, რომ შესაძლოა დამცხეს. თუმცა საზოგადოდ მასზე უარს როდი ვამბობ. მოკლედ, სიტუაციას გააჩნია".

**ნიკა შუბლაძე**

# გამიზარდეთ ხელფასი!

## რითი ვარ ბატისტუტაზე ნაკლები?



ფრანჩესკო ტოტი

**პრეზიდენტი** ფრანკო სენსი თუ არ დათანხმდება, „რომას" ქომაგებმა შესაძლოა კლუბში თავისი კერპი ფრანჩესკო ტოტი ველარ იხილონ. იტალიის ნაკრების თავდამსხმელი, რომელმაც საქართველოსთანაც ითამაშა და პენალტი დაიმსახურა, გუნდის ხელმძღვანელობისგან ჯამაგირის გაზრდას მოითხოვს. ტოტის „რომასთან" კონტრაქტი 2003 წელს უსრულდება, კლუბს მისი გაშვება არ სურს და საამისოდ ფეხბურთელთან მოლაპარაკებებიც კი წამოიწყო, თუმცა მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა. მიზეზი უკვე მოგახსენეთ.

ცნობილია, რომ რომაულ კლუბში ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი ახლა გაბრიელ ბატისტუტაა. ჰოდა, იტალიელს ძალიანაც არ სიამოვნებს, რომ ახალწვეულ არგენტინელს მასზე მეტ ფულს უხდიან, ამიტომაც მოითხოვს, მეტი თუ არა, იმდენი ჯამაგირი მაინც დამინიშნეთო. აქვე ისიც გავიხსენოთ, რარიგ უყვართ დედაქალაქელებს ტოტი. მათმა კერპმა ხომ მთელი თავისი კარიერა „რომში" გაატარა...

სენსიმ ეს იცის და, ცხადია, ტოტის გუნდიდან გაშვება და ქომაგთა განაწყენება სულაც არ სურს. მით უმეტეს, რომ ფორვარდს წასასვლელი ბევრგან აქვს. რომელი გრანდი იტყოდა უარს მის შეძენაზე? ინტერესს „მილანი" გამოთქვამდა. თავად ფრანჩესკომ კი ამას წინათ გაამხილა, ჩემი საოცნებო კლუბი მადრიდის „რეალია" და „რომასთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ ესპანეთში სიამოვნებით წავიდოდიო.

„არ დავუშვებ იმას, რომ ტოტი სადმე წავიდეს. ჩვენი მხრიდან ეს სისულელე იქნებოდა — განაცხადა ფრანკო სენსიმ და დასძინა — დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკებები შედეგს გამოიტანს და გუნდისთვის ერთობ საჭირო ფეხბურთელს შევინარჩუნებთ.

**ნიკა შუბლაძე**



# ზაჰოვიჩს არ ეშინია

**საბერძნეთის** „ოლიმპიაკოსის" ქომაგები კლუბის ყოფილ ფეხბურთელ ზლატკო ზაჰოვიჩს ემუქრებიან. სლოვენიელი ფეხბურთელი გასულ სეზონში სწორედ ამ ბერძნული გუნდის ღირსებას იცავდა, მაგრამ მთავარ მწვრთნელ ალბერტო ბიგონოსთან კონფლიქტი მოუვიდა და ამ ზაფხულს „ოლიმპიაკოსიდან" ესპანურ „ვალენსიაში" გადაბარგდა. განგებამ ისე ინება, რომ „ვალენსია" და „ოლიმპიაკოსი" ჩემპიონთა ლიგის ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ. მომავალ ოთხშაბათს ესპანელები პირეოსს სტუმრობენ, მასპინძელთა ქომაგებიც ზაჰოვიჩს აფრთხილებენ, გიჯობს, არ ჩამოხვიდეო.

„ვალენსიას" ხელმძღვანელობა ამ ამბავმა სერიოზულად შეაშფოთა. კლუბის თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა 29 წლის ფეხბურთელს საერთოდ შინ დარჩენა შესთავაზა, მაგრამ მან იუარა.

„კუპერმა მკითხა, რას ვფიქრობდი მუქარასთან დაკავშირებით. ვუთხარი, რომ ეს ამბავი არ მაღელვებს და „ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ თამაში მინდა" — ასეთი კომენტარი გააკეთა ზაჰოვიჩმა.

ესპანელები თავს მაინც იზღვევენ და ზაჰოვიჩისთვის რამდენიმე პირადი მცველის დაქირავებას აპირებენ. ფეხბურთელის უსაფრთხოებისთვის საბერძნეთში ესპანეთის საელჩოც იზრუნებს.

## ფეხბურთის რუკასთან



ბელგიის ნაკრების ყოფილმა მცველმა ფილიპ ალბერმა კარიერა დაასრულა. ვეტერანმა ფეხბურთელმა ვერა და ვერ მოიშუშა მუხლის ტრავმა. „თამაშის მიტოვება გადავწყვიტე. გამოჯანმრთელებას დიდხანს ველოდი, მაგრამ მივხვდი, რომ ცდა აღარ ღირს" — განაცხადა ალბერმა, რომელსაც ნატკენ მუხლზე შვიდი ოპერაცია გაუკეთეს. ალბერი კევინ კიგანის გაწვრთნილ „ნიუკასლში" ხუთი სეზონი თამაშობდა, შემდეგ კი ინგლისი დატოვა და „შარლერუაში" ჩაირიცხა. მან ეროვნულ გუნდში 41 მატჩი ჩაატარა, ერთხელ ბელგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს, ხოლო „ანდერლეხტის" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

**„ბულგარულ კლუბებს შესაძლოა ცარიელ სტადიონზე მოუწიოთ თამაში" — იუწყება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია. მიზეზი ფანების ხულიგნური საქციელია. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სოფიაში სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. „უმჯობესია სტადიონებზე მაყურებელთა დასწრება ავკრძალოთ, ვიდრე გუნდებს საშინაო თამაშები სხვაგან ჩავატარებინოთ" — განაცხადა ფედერაციის პრესატაშემ. ბოლო ხანს ბულგარელი გულშემატკივრები ხშირად ხულიგნობენ და კანონს არა მარტო სოფიაში, სხვა ქალაქებშიც არღვევენ.**

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბები — „კრისტალ პალასი" და „ნოტინგემ ფორესტი" ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ დააჯარიმა. მიზეზი ამ გუნდებს შორის აგვისტოში ჩატარებულ მატჩში მომხდარი ინციდენტია, რაც ნოტინგემელი მეკარის, დეივ ბისატის გაძევებას მოჰყვა. შედეგად, „კრისტალ პალასი" 20 ათასს, ხოლო „ნოტინგემი" 15 ათას გირვანქას გადაიხდიან.

**იუგოსლავიის ჩემპიონატში „ცრვენა ზვეზდასა" და „პარტიზანის" შეხვედრაში მომხდარი ჩხუბის გამო კლუბები დაისაჯნენ და მომავალ ორ საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებენ. შეგახსენებთ, რომ ბელგრადული დერბი მესამე წუთზევე შეწყდა. ახლა ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს, გადაითამაშებენ თუ არა კლუბები მატჩს.**

შოტლანდიის ჩემპიონი „რეინჯერსი" უახლოეს ორ დღეში „ესპანიოლისგან", ალბათ, რაულ ტამუდოს იყიდის. ფორვარდი გლაზგოში ჩავიდა, რათა სამედიცინო შემოწმება გაიაროს. ესპანურ სააგენტოებს სატრანსფერო თანხის რაოდენობაც შეუტყვიათ — 15,3 მილიონი დოლარი. კატალონიურ კლუბს ვალები დაუგროვდა და იძულებულია, ფეხბურთელს შეელიოს. ტამუდოს შეძენას „ასტონ ვილაც" ცდილობდა, მაგრამ „რეინჯერსმა" „ესპანიოლს" გაცილებით ხელსაყრელი პირობები შესთავაზა.

**იტალიური „რეჯინა" დაცვას აძლიერებს და საამისოდ სლოვანის „ლიბერეციდან" პერსპექტიული ჩეხი ფეხბურთელი მარიან იასნეკი შეიძინა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად (მარიანი 21 წლისაა), მცველმა თავის გუნდში უკვე 50-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. იგი ძირითადად დაცვის ცენტრში, ან მარცხენა ფრთაზე თამაშობს.**

იტალიელმა ნახევარმცველმა გაბრიელე ამბროზეტიმ „ფიორენტინას" ყურადღება მიიქცია. 27 წლის ფეხბურთელი შარშან „ვიჩენცადან" „ჩელსიში" გადავიდა, თუმცა გაბრიელე თანამემამულე მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის ტაქტიკურ გეგმებში ველარ ხვდება და „სტემფორდ ბრიჯს", ალბათ, მალე დატოვებს.

**ინგლისური „ლივერპულის" ფეხბურთელი ბერნარ დიომედი ტრავმის გამო, ალბათ, ექვს კვირას ვერ ითამაშებს. ფრანგი ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე დაშავდა, მერე თითქოს მომჯობინდა, მაგრამ ახლა ისევ არ გაუმართლა. მისმა თანამემამულე მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ბერნარმა ტრავმა „გლენტორანის" წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო. თითქოს, თამაში მალე უნდა განეახლებინა, მაგრამ ახლა შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს".**

ესპანური „ოვიედოს" მცველი ხაბიერ ესკურსა კლუბის ტაქტიკურ სქემას ველარ ერგება და მწვრთნელის, რადომის ანტიჩის განცხადებით, სხვაგან გადასვლა მოუწევს. თავად 30 წლის ფეხბურთელი ამბობს: „ვგრძნობ, რომ თამაში კიდევ შემიძლია, „ოვიედოში" გატარებული დროით კმაყოფილი ვარ, მაგრამ რაღას გავხდები, ახალი კლუბი უნდა მოვძებნო".

**რუმინული ბუქარესტის „დინამოს" ნახევარმცველი ფლორენტინ პეტრეს ჰეპატიტის ვირუსი შეეყარა. „ექიმებმა დაასკვნეს, რომ ეს C ჰეპატიტია. „კლუბს დაახლოებით ექვსი თვით დავაკლდები" — განაცხადა 24 წლის ფეხბურთელმა, რომელიც რუმინეთის ნაკრების წევრიცაა.**

ბულგარელი მცველი პრედრაგ პაჟინი ქვეყნის ჩემპიონ „ლევსკიდან" თურქულ „ქოჯაელსფორში" გადავიდა და ახალ კლუბთან 18-თვიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. „ქოჯაელში" სათამაშოდ სოფიის „სლავის" ნახევარმცველი ზდრავკო ლაზაროვიც წავიდა. ორივე ფეხბურთელი სადებიუტო მატჩს, ალბათ, ამ უქმეებზე ჩაატარებს. „ქოჯაელი" „ლევსკის" კიდევ ერთ მოთამაშეს, ალექსანდრ ალექსანდროვს ეპატიჟება და შესაძლოა მომავალ კვირაში კონტრაქტი მასთანაც გააფორმოს.

**ბელარუსულმა „მოზირმა" დუბლი შეასრულა — ჩემპიონობა და თასი ბოლო ოთხ წელიწადში უკვე მეორედ მოიგო. ქვეყნის პირველობაზე გუნდმა „ლადა" 5:0 გაანადგურა და მდევრები ველარ ეწევიან, თანაც მეორეადგილოსანმა მინსკის „დინამომ" „ბატე ბორისოვთან" 1:3 წააგო. აღსანიშნავია, რომ „მოზირმა" პირველ ასეთ წარმატებას 1996 წელს მიაღწია.**

ინგლისური „ნიუკასლის" მცველი ლორენ შარვე კარიერას „მანჩესტერ სიტიში" გააგრძელებს. ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ფეხბურთელმა მხოლოდ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. კლუბებმა სატრანსფერო თანხაც შეათანხმეს — 3,5 მილიონი დოლარი. ცნობილია შარვეს ხელფასიც: იგი კვირაში 25 ათას დოლარს მიიღებს. „მეინ როუდზე" კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლეა — ფორვარდი შონ გოტერი მუხლის ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და მომავალი ტურის მატჩში შესაძლოა, ითამაშოს.

**ინგლისურმა „მიდლსბრომ" „ასტონ ვილას" მცველი უგო ეჰიოგუ 8 მილიონ გირვანქად შეიძინა. 26 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შესაძლოა, მან დღეს პრემიერლიგის მორიგ ტურში „ჩარლტონთან" ითამაშოს.**

ფრანგული „პარი სენ ჟერმენის" ნახევარმცველმა ალი ბერნაბიამ შესაძლოა, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ტულუზის" წინააღმდეგ ვერ ითამაშოს. მას უდისციპლინობაში სდებენ ბრალს. მწვრთნელი ფილიპ ბერჟერო პრეზიდენტთან აპირებს ამ საკითხის განხილვას, თუმცა ჯერჯერობით დეტალებს არ ამხელს. პარიზული კლუბი ამჟამად გათამაშების ლიდერია და 11 თამაშში 21 ქულა დააგროვა.

**ინგლისური „დერბი ქაუნთი" მარსელის „ოლიმპიკის" მცველ ლილიან მარტინის შეძენას აპირებს, რადგან დაცვაში დიდი პრობლემები შეექმნა. 29 წლის მარტინს დიდი გამოცდილება აქვს: 1997 წელს მან „მონაკოსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მარსელურ კლუბში წინა სეზონში გადავიდა. ახლა მას აღარ ათამაშებენ, მწვრთნელის ტაქტიკას ველარ ერგებიო.**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოვიდა, დაუსტვინეთ!

**ესპანეთში** მატჩისწინა ისტერიამ პიკს მიაღწია. თუ გგონიათ, რომ „ბარსა“ — „რეალი“ დღეს საღამოს თბილისის დროით 24 საათზე დაიწყება, ცდებით: ის უკვე დიდი ხანია, დაიწყო. მოწინააღმდეგე ბანაკები სიტყვიერ პაექრობაში არიან ჩაბმულნი. კატალონიელები იმუქრებიან, ფიგუს ვურჩევთ შინ დარჩეს, ბარსელონაში ჩამოსვლა მისი ჯანმრთელობისთვის საზიანო იქნებაო. კატალონიური პრესაც ერთი-ორად ძაბავს სიტუაციას, ხოლო ქომაგები თავს იმტვრევენ, როგორი დახვედრა მოუწყონ „საზიზღარ მოღალატეს“. არის იდეა: „კამპ ნოუზე“ მისულმა ყველა გულშემატკივარმა სასტვენი მიიტანოს და როცა ფიგუ გასახდელიდან გამოვა და როცა ბურთს მიიღებს, ძლიერად ჩასტვინოს. მაღაზიები ვერ აუდიან თეთრი ნაჭრებისა და სალებავების გაყიდვას: ბარსელონელი ფანები დაჩქარებული ტემპით ამზადებენ ტრანსპარანტებს, რომელთათვისაც ყველაზე ენამახვილები ათასგვარ შეურაცხმყოფელ ტექსტებს იგონებენ.

მიხაელ ლაუდრუპი და ბერნდ შუსტერი ფიგუს აფრთხილებენ: გამაგრდი, შენ ჯოჯოხეთში მიდიხარ. ვინ ვინ და ლაუდრუპმა და შუსტერმა კარგად იციან, რას ნიშნავს „ბარსელონადან“ „რეალში“ გადაბარგებული კაცისთვის იქ დაბრუნება.

„ბარსელონადან“ წასვლის შემდეგ „კამპ ნოუზე“ პირველად რომ დავბრუნდი, საშინელი კოშმარი იყო — იხსენებს ლაუდრუპი — ის ორი საათი არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. ვერ ვიტყვი, როგორ გაუძლებს ფიგუ ამას, მაგრამ დახვედრას რომ ამაზრზენს მოუწყობენ, ამის გარანტიას ვიძლევი“.

შუსტერი კი უმატებს: „ბარსელონადან“ ადვილად არავინ მიდის. იქაური ფანები ამას არ პატიობენ. „რეალში“ გადასვლის მერე არაერთხელ გავსულვარ „კამპ ნოუზე“ და წლების მერეც ვერ ვახერხებდი მშვიდად თამაშს. ფიგუსი ნამდვილად არ მშურს და არაფრით ვისურვებდი ახლა მის ადგილზე ყოფნას“.

...ბარსელონაში ჩასულ ფიგუს სპეციალური შავმინებიანი მანქანა დაახვედრეს და დაცვაც გამოუყვეს.

## ტურის მატჩი

# ბარსელონა VS რეალი

პრიმერადივიზიონის VI ტური. დღეს. „კამპ ნოუ“ 24:00

*დღეს „მილანი“ — „იუვენტუსია“, მაგრამ ამ გუნდების ქომაგებს ბოდიშს ვუხდით — „კამპ ნოუზე“ უფრო მაგარი ამბები დატრიალდება. დღეს იქ ორი ბრძოლაა: „ბარსელონა“ — „რეალი“ და „ბარსელონა“ — ფიგუ. რაა? ვიღაცის ხმა შემომესმა, რა მოხდა მერე, ასეთი რა თამაში უნდა იყოსო. პატივცემულო, გატყობთ სპორტული სიარულის თაყვანისმცემელი ბრძანდებით, თორემ „ბარსელონა“ — „რეალი“ და ლუიშ ფიგუს კატალონიაში ჩასვლა რასაც ნიშნავს, უეჭველად გეცოდინებოდათ.*

# ზოგი რამ ისტორიიდან

**ბარსელონელები** და მადრიდელები პირველად 101 წლის წინ შეხვდრიან ერთმანეთს, ჯერ კიდევ „რეალის“ დაარსებამდე. ფეხბურთის მემატიანემ იმ მატჩის მხოლოდ ანგარიში შემოინახა — 0:0. ორი მოქიშპე ქალაქის მოქიშპე გუნდს შორის ნაღდი ბრძოლა მოგვიანებით, 1928 წელს ესპანეთის პირველ ჩემპიონატთან ერთად დაიწყო, ქვემოთ კი მხოლოდ ბარსელონაში გამართული მატჩები გავიხსენოთ.

„ბარსელონა“ ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა, „რეალი“ მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა იმ სეზონში მშობლიურ „ლეს კორტზე“ წაგებული ორი მატჩიდან კატალონიელებმა ერთი სწორედ „რეალთან“ დათმეს. „ბარსამ“ ვერც მომდევნო სეზონში შეძლო მეტოქის დამარცხება და შინ სულაც 1:4 წააგო — ასეთი სხვაობით ის „რეალთან“ 1963 წლამდე აღარ დამარცხებულა.

კატალონიელთა პირველი გამარჯვება 1931 წლის 5 აპრილით თარიღდება — ეს იმ დროს იყო, როცა ბარსელონელთა მაისურებს ლურჯი ზოლები ჯერ არ დაჰყვებოდა.

ისტორიამ შემოინახა 1935 წელს გადაღებული მომღიმარი ფრანც პლატკოს ფოტო და არც თუ უსაფუძვლოდ — პლატკოს წინამძღოლობით „ბარსამ“ „რეალი“ გაანადგურა — 5:0. ეს ანგარიში ათი წლის მერეც განმეორდა, ოღონდ მაშინ კატალონიელთა სული და გული ხოსეპ სამიტიერი იყო.

მიუხედავად ასეთი შედეგებისა, მხცოვანი კატალონიელები იმ პერიოდის ყველაზე სანახაობრივ თამაშად 1942 წლის მატჩს მიიჩნევენ. არცაა გასაკვირი, ის თამაში 5:5 დასრულდა.

50-იან წლებში „ბარსელონაში“ ახალი გმირი გამოჩნდა — ლადისლაო კუბალა. გამოჩნდა და მადრიდელთა განადგურება დაიწყო — 7:2, 4:2, 5:1. 50-იან წლებში „რეალმა“ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო ბარსელონაში, ერთიც ფრედ დასრულდა და ეს მაშინ, როცა „რეალი“ ზედიზედ იღებდა ჩემპიონთა თასს.

60-იანებში ყველაფერი უკუღმა შებრუნდა, ახლა უკვე სტუმრები ითვლებოდნენ ფავორიტებად. 3:5 — 1960 წელს და 1:5 1963-ში, სულ კი ოთხჯერ მასპინძლებმა მოიგეს და ოთხჯერ სტუმრებმა, ოღონდ „ბარსამ“ ერთადერთხელ მოახერხა ერთ ბურთზე მეტი სხვაობით გამარჯვება (3:1 — 1962-ში).

70-იან წლებში „კამპ ნოუზე“ გამართული მატჩები მწირგოლიანობით გამოირჩევა. 19 გოლი ათ შეხვედრაში — ესაა და ეს. ამ პერიოდში მთავარი ამბავი მადრიდში მოხდა — „ბარსამ“ 5:0 მოიგო. ეს იოჰან კრუიფის ეპოქა გახლდათ, 1973-74 წლების სეზონში „ბარსელონას“ 24-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა.

ბოლო ოცი წელი „კამპ ნოუზე“ მთლიანად მასპინძლებისაა — მადრიდელთა ბოლო გამარჯვება 1983 წლით თარიღდება. რაც შეეხება საუკეთესო მატჩებს, „ბარსელონა“ — „რეალის“ დღევანდელი მატჩის წინ კატალონიელებმა ინტერაქტიული გამოკითხვა მოაწყვეს, რომელსაც ოცწლეულის საუკეთესო შეხვედრა უნდა გამოევლინა ამ გუნდებს შორის. ადგილები ასე განაწილდა:

1. 1993-94 წლები სეზონი 5:0 — რომარიოს ჰეთ თრიქით. 73.4 პროცენტი
2. 1998-99 წლების სეზონი 3:0 — ლუის ენრიკეს დუბლით. 16.7 პროცენტი
3. 1992-93 წლების სეზონი 2:1 — სტოიჩკოვის ბოლო წუთზე გატანილი გოლით. 7.1 პროცენტი.

გავიმეოროთ, რომ ეს „ბარსელონას“ ქომაგთა მოსაზრებაა.

ისტორია გრძელდება.

# ფიგუ: მშვიდად ვარ

**ხუთშაბათს, ვარჯიშის შემდეგ, "რეალის" საწვრთნელ ბაზაზე პრეს-კონფერენცია მოეწყო. ჟურნალისტთა არმიამ ლუიშ ფიგუ კითხვებით დაბომბა.**



ლუიშ ფიგუ და ძველი ბარსელონური სამოსი

**— ლუიშ, როგორ გრძნობთ თავს?**

— მშვენივრად, სულ არ ვნერვიულობ. ეს შექმნილი ისტერიიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა. მესმის, რომ ჩემმა „რეალში“ გადმოსვლამ აჟიოტაჟი გაამძაფრა, მაგრამ „ბარსელონა“ — „რეალი“ ხომ ისედაც ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო. ამიტომ ჩემს თავს ვეუბნები — დამშვიდდი, შენ არაფერ შუაში ხარ. ეს მშველის.

**— პრესაში გამოქვეყნებულ წერილებზე რას იტყვით?**

— სიმართლე გითხრათ, გაზეთებში ჩემზე დაწერილი სტატიები საგანგებოდ არასდროს მიძებნია. ესპანეთი თავისუფალი ქვეყანაა და ყველას აქვს უფლება, დაწეროს ის, რაც სურს. თუმცა მართლაც დიდი ხმაურია. როცა ჩემზე, როგორც სპორტსმენზე წერენ, ნორმალურია, მაგრამ ხშირად ისეთ რამეებს მომაწერენ, გული მწყდება. რას იზამ, დაე, წერონ.

**— ხუან გასპარმა აუგად მოგიხსენიათ...**

— გასპარს მეექვსე წელია ვიცნობ და მისი ხასიათიც კარგად შევისწავლე. საერთოდ, მას ტყუილი არ უყვარს, მაგრამ როცა სიმართლე მის საზიანოდაა, დუმილს ამჯობინებს. ეს ნახევარი სიმართლე კი რა არის, ვერ გამიგია. დიახ, „ბარსელონადან“ წასვლის შემდეგ მე იქაურთათვის მოღალატედ ვიქეცი, მაგრამ თქვას გასპარმა ის მიზეზები, რამაც ეს ნაბიჯი გადამადგმევინა. არ ამბობს. ხელს არ აძლევს და იმიტომ.

**— ბარსელონელი ფანები ცუდ მიღებას გპირდებიან...**

— ხალხი ფეხბურთის სანახავად ფულს იხდის. მათ სრული უფლება აქვთ, დაგისტვინონ ან ტაში დაგიკრან. ამასთანავე, ქომაგს ვერ მოსთხოვ, მეტოქე გუნდის ფეხბურთელი უყვარდეს, ეს სავსებით ბუნებრივია.

**— ბევრჯერ გითქვამთ, „ბარსელონადან“ წასვლას არ ვნანობო. ახლა, „კამპ ნოუზე“ დაბრუნების წინ, აზრი ხომ არ შეიცვალეთ?**

— არ შემიცვლია. და საერთოდ, ვცდილობ, გადადგმულ ნაბიჯებზე არ ვიფიქრო. რა აზრი აქვს, მაინც ვერაფერს შეცვლი. ისევ ვადასტურებ, „რეალში“ ბედნიერი ვარ, თამაშიც ნელ-ნელა უკეთ და უკეთ გამომდის.

**— შაბათის შეხვედრაზე რას იტყვით?**

— ამაზე მატჩის შემდეგ ვისაუბროთ. წლეულს ხომ უკვე ვითამაშე ლისაბონში. „სპორტინგიც“ ჩემი ყოფილი კლუბია. მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ნებისმიერ მეტოქესთან ვცდილობ, კარგად ვითამაშო. „ბარსელონასთანაც“ ასე იქნება.

**— მთქვათ, „ბარსელონას“ გოლი გაუტანეთ. როგორ აღნიშნავთ?**

— ეს უშუალოდ მატჩის მსვლელობაზე იქნება დამოკიდებული. თუ გუნდი დიდი ანგარიშით აგებს, ერთი გოლის გაქვითვას რა აზრი აქვს? მაგრამ თუ თამაში კარგად გამომდის, რეაქციაც შესაბამისი მაქვს-ხოლმე. შაბათსაც ალბათ ასე მოვიქცევი. განა შეიძლება წინასწარ განსაზღვრა — აი, გავიტან გოლს, გავიქცევი, ხელებს ავწევ, მაისურას გავიხდი... რაღაც სისულელე გამოდის.

**— თანაგუნდელები გამხნევებენ?**

— არა, რაღაც განსაკუთრებული გამხნევება რა საჭიროა. ასე რომ მოიქცნენ, მდგომარეობას უფრო დაძაბავენ. ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ნორმალურ ფარგლებში მხარდაჭერას კი მადრიდში ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვგრძნობ.

**— ამ მომენტისთვის თქვენს სათამაშო ფორმას როგორ შეაფასებდით?**

— ვიმედოვნებ, საფეხბურთო პიკისთვის ჯერ არ მიმიღწევია და მეტის გაკეთება შემიძლია. სხვაგვარად ჩემი კარიერა დაღმასვლას დაიწყებდა.

**— ბარსელონელი ქომაგების გამაყრუებელ სტვენაში შეძლებთ თამაშზე სრულად კონცენტრირებას?**

— რობოტი რომ ვიყო, გეტყოდით, ტრიბუნებს საერთოდ არ მივაქცევ ყურადღებას-მეთქი. ფეხბურთი შოუა, მოთამაშეები და მაყურებლები კი — შოუს განუყრელი ნაწილი. შოუს ნაწილია სტვენაც და მე თუ სრული მობილიზაცია ვერ მოვახერხე, ესეც შოუს ნაწილი იქნება.

**— მგონი, სათამაშოდ კი არა, საომრად მიდიხართ...**

— თუ ასე ფიქრობთ, გეტყვით, რომ ცდებით.

**— რომელიმე ძველ თანაგუნდელთან ხომ არ გისაუბრიათ?**

— ზოგს შეიძლება ეს არ მოსწონდეს და მათაც მოღალატის იარლიყი მიაწებონ, მაგრამ ბიჭებთან მეგობრობა არ გამიწყვეტია.

**— თქვენი პროგნოზი?**

— თუ სურვილზეა საუბარი, გასაგებია, ჩემი პროგნოზი როგორიც იქნება, მაგრამ ობიექტურად რაიმის თქმა შეუძლებელია. რას ნიშნავს „კამპ ნოუზე“ თამაში, მოგეხსენებათ. მთავარია, მეტოქეს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება არ მივცეთ. მჭიდრო პრესინგის გარეშე გაგვიჭირდება.

**— იქნება ეს „საუკუნის მატჩი“?**

— „ბარსელონა“ — „რეალი“ ყოველთვის „საუკუნის მატჩია“.

**გვერდი მოამზადა
გიორგი დარჯანიამ**

# რეალის ფანობაც ემზადება

**დღეს** „კამპ ნოუზე“ მადრიდელი ქომაგებიც იქნებიან. არც ერთ ჭკუათმყოფელ ადამიანს არა აქვს იმედი, რომ მათი ხმა ბარსელონელებისას გადაფარავს, მაგრამ გუნდს ქომაგობა ხომ უნდა? ერთადერთი ვარიანტი რჩებოდა — „რეალი“ მადრიდიდან ისე უნდა გაეცილებინათ, ფეხბურთელებს მხარდაჭერა „კამპ ნოუზე“ გაჰყოლოდათ. ასეც მოიქცნენ.

„რეალის“ საწვრთნელ ბაზა „სიუდად დეპორტივას“ სტუმარი არასდროს აკლდა, მაგრამ ხუთშაბათს ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარ იყო.

ვისენტე დელ ბოსკემ ფეხბურთელები სავარჯიშოდ გაიყვანა და სამ ჯგუფად გაყო: სამშაბათს „ბაიერთან“ უთამაშებლები, „ბაიერთან“ ოფლდაღვრილნი და ფლავიო კონსეისაო და მიჩელ სალგადო, რომლებიც ტრავმებს ახლაღა იშუშებენ. მერე ორმხრივი თამაში გაჩაღდა. აქ კი განსაკუთრებით აზმაურდნენ ქომაგები — მიიღებდა რომელიმე ფეხბურთელი ბურთს და უმალ მის სახელს დასჭექდნენ. ყველაზე დიდი მხარდაჭერა, ცხადია, ფიგუს ჰქონდა. მიზეზი გასაგებია.

ვარჯიშის მერე მინდორზე ფურცლებით და პასტებით შეიარაღებული ბავშვები შეცვივდნენ. ზოგს ფოტოაპარატიც წამოეღო. კარგა ხანს მოუხდათ ფეხბურთელებს დაყოვნება, გასახდელში ბოლო ფიგუ გავიდა...

გავიხსენოთ ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს მომხდარი ამბავიც. 88-ე წუთზე ლევერკუზენელთა საჯარიმოში ვირტუოზულად შეჭრილი ფიგუ იორგ რეებმა წააქცია. დაინიშნა პენალტი. „რეალის“ მეპენალტე ფერნანდო იერო იმ დროისთვის შეცვლილი იყო. იქნებ რაული? ბოლოს და ბოლოს, როდემდე ვერ უნდა გაიტანოს მადრიდელმა ვარსკვლავმა მატჩის მიწურულს? იქნებ ვინმე სხვამ? ფიგუ? კარგად გვახსოვს, წინა სეზონში მან „რაიო ვალეკანოს“ ბოლო წუთზე ვერ გაუტანა და „ბარსა“ ქულას დასჯერდა. არჩევანი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილმა 60 ათასმა გულშემატკივარმა გააკეთა: „ფიგუ, ფიგუ!“ ერთხმად დასჭექეს ტრიბუნებიდან. იმ ორი თვის მანძილზე, რაც ფიგუ რეალელია, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისი სახელი ხმაშეწყობილად პირველად გაისმა.

მადრიდელები ფიგუს კატალონიაში გასამგზავრებლად ამზადებდნენ...

# განწირული იმპერატორი მეფეს არსად გაუშვებს



ფრანც ბეკენბაუერი



რუდი ფიოლერი

*დღეს გერმანულ ფეხბურთს ორი გამორჩეული ფიგურა ჰყავს — იმპერატორი და მეფე. იმპერატორი ანუ „კაიზერ ფრანცი", იგივე ფრანც ბეკენბაუერი, უკვე კარგა ხანია, მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში უდიდესი გავლენით სარგებლობს. აგერ ახლახან გერმანიას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებაც მოაპოვებინა (სწორედ იგი გახლდათ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე). სხვა არაერთი კარგი საქმეც გაუკეთებია. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბეკენბაუერი ამჟამად ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი გახლავთ.*

*მეფე კი სულ ახალი არჩეულია. რუდი ფიოლერმა „სამეფო გვირგვინი" ორიოდ კვირის წინ დაიდგა. მისი თავკაცობით გერმანიის ეროვნულმა გუნდმა 7 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში „უემბლიზე" ინგლისელები დაამარცხა. იმ შეხვედრის შემდეგ რუდი ფიოლერი სამშობლოში მეფედ შერაცხეს.*

*ორი დღის წინ „მეფემ" და „იმპერატორმა" გერმანულ ჟურნალ „კიკერს" ერთობლივი ინტერვიუ მისცეს. რა არის ნაკრების აღმავლობის მიზეზი? უნდა ჰქონდეს თუ არა ეროვნული გუნდის თავკაცს მწვრთნელის ატესტატი? რას აპირებს რუდი ფიოლერი 2001 წლის 1 ივნისიდან? ამ და სხვა კითხვებზე პასუხი თუ გაინტერესებთ, ეს ინტერვიუ წაიკითხეთ.*

**— ოთხი თვის წინ, ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ვინმეს რომ ეწინასწარმეტყველა, გერმანიის ნაკრები მომავალ სამ მატჩს, მათ შორის ინგლისთან „უემბლიზე" მოიგებსო, როგორ აღიქვამდით ამ ნათქვამს?**

*რუდი ფიოლერი:* ძალიან თამამი პროგნოზი იქნებოდა.

*ფრანც ბეკენბაუერი:* ჩვეულებრივად აღვიქვამდი. ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ისე ცუდად გამოვიდა, უარესი რომ აღარ შეიძლება. ეს საშინელება იყო. ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ახალი სეზონიდან გუნდი უკეთ ათამაშდებოდა, რადგან ასეთი ჩავარდნები დიდხანს არ გრძელდება.

*ფიოლერი:* მართალია. ნაკრების ბელგია-ჰოლანდიაში გამოსვლა ზღვარი იყო. ამის შემდეგ პირველი მატჩი ესპანელებთან გვქონდა. ჩინებულად ვითამაშეთ და 4:1 მოვიგეთ. ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფეხბურთელებს რწმენა გაუჩნდათ, ქომაგებს კი იმედი კვლავ ჩაესახათ.

*ბეკენბაუერი:* ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო ის, რომ აღმავლობას ის ნაკრები განიცდის, რომლის ძირითად ბირთვსაც ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე ფეხბურთელები შეადგენენ. გუნდს პროგრესი რომ ექნებოდა, ვგრძნობდი, მაგრამ მეგონა, ამისთვის ბევრი რამის შეცვლა დაგვჭირდებოდა.

**— მაინც რით ხსნით ამ აღმავლობას?**

*ბეკენბაუერი:* რა ბევრი ფიქრი ამას უნდა? მთლიანად გუნდის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ფიოლერის. თუმცა არცთუ უმნიშვნელო წვლილი მის თანაშემწე მიხაელ სკიბესაც მიუძღვის. ისინი ერთმანეთს კარგად ავსებენ.

*ფიოლერი:* ჩვენ უბრალოდ ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. სამივე მატჩისთვის გუნდი კარგად მოვამზადეთ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ სამივე თამაში მოვიგეთ. ცუდი შედეგი რომ გვეჩვენებინა, მაშინაც ასე ვიფიქრებდი. თავიდან ყველა მწვრთნელს მცირე კრედიტი აქვს, რომელიც წარუმატებლობისას ძალიან მალე იხარჯება. ასე მოუვიდა კევინ კიგანს. ჩვენს საქმეში არავინ არაფერს გპატიობს.

**— რატომ ერგებიან ფიოლერი და სკიბე ასე კარგად ერთმანეთს?**

*ბეკენბაუერი:* ისინი ერთმანეთს ავსებენ. სკიბე თეორეტიკოსია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, ფეხბურთის ნამდვილი მასწავლებელი. ფიოლერი კი პრაქტიკოსია. მას, როგორც ფეხბურთელს, ყველაფერი აქვს განცდილი. ეს უპირატესობა მქონდა მეც, როცა 1984 წელს გერმანიის ნაკრები ჩავიბარე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ეს მწვრთნელები ჩინებულად უგებენ ერთმანეთს.

**— ფიოლერი ნაკრებში მისული არ იყო, რომ გულშემატკივრების უდიდეს მხარდაჭერას უკვე გრძნობდა...**

*ფიოლერი:* ამის თაობაზე ხშირად მეკითხებიან, მაგრამ პასუხი თავადაც არ ვიცი.

*ბეკენბაუერი:* რუდი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ქომაგებს არაერთი ბედნიერი წუთი აჩუქა, საზოგადოებასთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. ამიტომაც უყვართ ასე.

**— ფრანც ბეკენბაუერიც ასეთ თანადგომას გრძნობდა თავიდანვე?**

*ბეკენბაუერი:* არა, რადგან მე პირველი მატჩი წავაგე — არგენტინელებთან დავმარცხდით. კრიზისის დასაძლევად ჩემს ნაკრებს უფრო მეტი დრო დასჭირდა, თუმცა მაშინ ჩემზე აუგი არავის დასცდენია, ყველა მოთმინებით შეჰყურებდა ეროვნულ გუნდს. ჯადოქარი კი არ არისო, ამბობდნენ ჩემზე. ასეთმა დამოკიდებულებამ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიგვიყვანა.

**— ორივენი ისე გახდით ნაკრების თავკაცები, სამწვრთნელო განათლება და გამოცდილება არ გქონიათ.**

*ბეკენბაუერი:* რას უწოდებთ განათლებას? მე 20 წელი ვსწავლობდი საუკეთესო გერმანელი მწვრთნელებისგან. პრაქტიკული ცოდნა აქვს რუდისაც. ჰოდა, გეკითხებით, რაღა საჭიროა სკოლაში წასვლა?

**— იმიტომ, რომ მწვრთნელის პროფესია უფრო რთული და მრავალფეროვანია. მას სხვა ცოდნა სჭირდება.**

*ბეკენბაუერი:* არასწორად მიგაჩნიათ.

**— აბა, თქვენ ამბობთ, რომ თითოეული ფეხბურთელი, რომელსაც მაღალ დონეზე უთამაშია, გარკვეული წარმატებებიც ჰქონია და გამოცდილებაც შეუძენია, კარგი მწვრთნელი იქნება და ნაკრების გაძღოლაზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია?**

*ბეკენბაუერი:* სწორედ ასეა. აგერ მათიას ზამერმაც დაამტკიცა ეს „დორტმუნდში". დარწმუნებული ვარ, „კაიზერსლაუტერნში" ანდრეას ბრემეს მისვლა ამ გუნდსაც წინ წასწევს. მართალია, ბრემემ მოკლევადიანი სამწვრთნელო კურსები გაიარა, მაგრამ წარმატება ამიტომ კი არ ექნება, არამედ იმიტომ, რომ მან ფეხბურთელობისას ისწავლა ძალიან ბევრი ისეთი რამ, რაც პროფესიულ ფეხბურთს სჭირდება. ასეთ ცოდნას ვერანაირი სკოლა ვერ მისცემს ადამიანს.

*ფიოლერი:* მთლად ასეც არ არის. იმის მაგალითიც ბევრია, როცა კარგი მოთამაშე ავტომატურად წარმატებული მწვრთნელი ვერ გამხდარა.

**— ორივენი მაშინ გახდით ნაკრების თავკაცები, როცა ამას არავინ ელოდა.**

*ფიოლერი:* ასეა. თავადაც არ ველოდი. 2 ივლისს ლევერკუზენიდან კიოლნში რომ გავემგზავრე, ყველაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ ნაკრების მწვრთნელად თუ დამნიშნავდნენ, ნამდვილად არ მეგონა.

*ბეკენბაუერი:* ფეხბურთელობისას, როცა ჩემს მომავალზე ვფიქრობდი, რას აღარ წარმოვიდგენდი-ხოლმე, ერთ საქმეზე კი უარს ვამბობდი. ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ მწვრთნელი არასოდეს გავხდები — მკაცრად ვეუბნებოდი ჩემს თავს, თუმცა... 1984 წელს ნაკრები ძალით ჩამაბარეს, არც კი მკითხეს. მაშინ, ფაქტობრივად, გამწირეს.

**— გამწირესო, ამბობთ. თქვენი რეპუტაციისა და ავტორიტეტის შელახვას გულისხმობთ?**

*ბეკენბაუერი:* დიახ, მე დიდ რისკზე წავედი და გამიმართლა. შეიძლებოდა, ყველაფერი ცუდად ყოფილიყო. ერთ რამეში დავრწმუნდი — როცა ასეთ საქმეს გთავაზობენ, მომავალზე არ უნდა იფიქრო.

*ფიოლერი:* ჩემთვისაც უდიდესი რისკი გახლდათ ნაკრებში მისვლა, მაგრამ მაშინ ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. ყველა კრიზისიდან გამოსავალს ეძებდა. ამ დროს არ შემეძლო, გავქცეულიყავი და დავმალულიყავი.

**— პირველ მატჩებზე რა განწყობა დაგეუფლათ?**

*ბეკენბაუერი:* წინაღამეს თვალი ვერ მოვხუჭე, ძალიან ვღელავდი. თამაშის წინ გასახდელში დაფაზე შემადგენლობა ხუთჯერ ჩამოვწერე და წავშალე. ოპტიმალური შემადგენლობა ძლივს დავწერე. ძალიან ცუდი გრძნობა იყო.

*ფიოლერი:* მწვრთნელის სკამზე დაჯდომა არ გამჭირვებია, რადგან ეს ჩემთვის უცხო არ იყო. მანამდე ხომ „ლევერკუზენში" მენეჯერად ვმუშაობდი. ამიტომ იმდენად დაბნეული არ ვყოფილვარ, არც ბევრი მინერვიულია. ფრანცის კი მესმის, მან მინდვრიდან პირდაპირ სკამზე გადაინაცვლა.

**— თქვენი სამწვრთნელო ორიენტაცია რომელმა სპეციალისტებმა განსაზღვრეს?**

*ბეკენბაუერი:* ორ მათგანს გამოვყოფ — უდო ლატეკსა და ერნსტ ჰაპელს. ჰაპელი ჩემი ბოლო მასწავლებელი გახლდათ, „ჰამბურგში" ვიყავით ერთად. მან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, ბრწყინვალე მწვრთნელი იყო, პიროვნებაც არანაკლები.

*ფიოლერი:* მე კი ოტო რეჰაგელს ვემადლიერები. ახლაც მიკვირს, ასე რატომ აკრიტიკებენ, იგი ხომ ჩინებული სპეციალისტია. კრისტოფ დაუმიც სამაგალითოა, მისგან ბევრი რამ ვისწავლე.

**— ნაკრებში მუშაობისას ყველაზე დიდი პრობლემა რამ შეგიქმნათ?**

*ბეკენბაუერი:* მედიასთან დამოკიდებულებამ. როცა რომელიმე ჩემს ფეხბურთელს აკრიტიკებდნენ, კბილებით ვიცავდი. ვცოფდებოდი, გუნდზე ვინმე ცუდს რომ ამბობდა. არადა, ტყუილად ვიშლიდი ნერვებს. ეს ფეხბურთია, ხან ცაში აგიყვანენ და ხან მიწაზე დაგანარცხებენ. აი, ფიოლერი ამ მხრივ სწორად იქცევა.

**— ოდესმე სამწვრთნელო წიგნი თუ გჭერიათ ხელში? ვარჯიშის ჩატარების მეთოდები მაინც არ წაგიკითხავთ?**

*ფიოლერი:* ეს გადამწყვეტი სულაც არ არის. გეტყვით, რომ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვსულვარ, 20 წლის განმავლობაში სამ ქვეყანაში მითამაშია და ვარჯიშზე როდის რა არის საჭირო, უკვე კარგად ვიცი. თუმცა, გეთანხმებით, რომ ბევრი რამ შეიცვალა. ადრე ფიზიკურ მომზადებას ასეთი ყურადღება არ ექცეოდა. ისე კი, რამდენიმე წიგნი წამიკითხავს.

*ბეკენბაუერი:* ხანდახან წიგნი მეც ამიღია. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერნსტ ჰაპელის რჩევები გადავათვალიერე. ბევრი რამ გავითვალისწინე.

**— ჰერ ფიოლერ, „უემბლიზე" რომ გიყურებდით, კმაყოფილი და ნასიამოვნები იჯექით სათადარიგოთა სკამზე.**

*ფიოლერი:* სრულიად გასაგებია — როცა იგებ, შენი მუშაობა დიდ სიამოვნებას განიჭებს. თუმცა ამას თამაშის დროს ვერ გრძნობ, გათიშული ხარ, მინდვრის გარეთ ვერაფერს ხედავ და არაფერი გესმის, მაგრამ შინაგან ზეწოლას მაინც განიცდი. მატჩი რომ მორჩა, კმაყოფილება და სიხარული მერე ვიგრძენი.

**— ფიოლერის ხელმძღვანელობით ნაკრები ასეთი წარმატებით თამაშობს. მომავალ ზაფხულს კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, გუნდში მწვრთნელი უნდა შეიცვალოს. ნორმალურია ეს ამბავი?**

*ბეკენბაუერი:* ეს შემთხვევა ჩემს მწვრთნელობას მახსენებს. 1984 წელს ნაკრები ერთი წლით ჩამაბარეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ჰელმუტ ბენტჰაუსს უნდა შევეცვალე, რომელიც იმ დროს „შტუტგარტს" წვრთნიდა. მისი ნაკრებში მისვლის დრო რომ დადგა, გუნდი უკვე აღმავლობას განიცდიდა. ბენტჰაუსიც შემხვდა და პირისპირ მითხრა, ახლა შენი წასვლა უაზრობა იქნება, შუა საკვალიფიკაციო ეტაპზე ნურაფერს შევცვლით, ამან შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს, დარჩი გუნდში კიდევ ერთი წელი, ითამაშეთ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერე კი, თუ საჭიროდ ჩათვლიან, შეგცვლი კიდეცო. მეც დავრჩი. შედეგად, გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ბუნებრივია, კონტრაქტი გამიგრძელეს და ეროვნულ გუნდში ერთი წლით მისული კაცი ექვსი წელი შემორჩი ნაკრებს.

**— შეიძლება, რომ ასეთივე რამ ფიოლერსა და დაუმს შორისაც მოხდეს?**

*ბეკენბაუერი:* არ მინდა, ამ ამბავში ჩავერიო. ჩვენ დღეს კმაყოფილნი ვართ იმით, რომ იდეალური დუეტი ვიპოვეთ. ფიოლერი და სკიბე ნაკრების აყვავებისთვის იღწვიან და მჯერა, ამას შეძლებენ კიდეც.

**— გერმანიის საფეხბურთო კავშირმა რომ ყველაფერი შეცვალოს და 2001 წლის 1 ივნისიდან კვლავ ფიოლერს ჩააბაროს ნაკრები, როგორ მოიქცევით?**

*ფიოლერი:* გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ: მომავალი ზაფხულიდან საქმეს კრისტოფ დაუმს გადავაბარებ.

*ბეკენბაუერი:* ძალიან კარგი იქნება, თუ რუდი გუნდში დარჩება, მთავარ მწვრთნელად თუ არა, სხვა თანამდებობაზე მაინც. დაუმი და ფიოლერი ერთმანეთს კარგად უგებენ, ამიტომ რუდი არ უნდა წავიდეს. იგი გუნდში უნდა დარჩეს, ამისთვის მე ვიბრძოლებ. მით უმეტეს, რუდი ნაკრებს სჭირდება. მისთვის რაიმე ადგილს გამოვნახავთ.

**თარგმნა ვანო ოქროპირიძემ**



# სკიბესთვის სულერთია

**გერმანიის** ეროვნულ გუნდში რუდი ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბემ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდში მხოლოდ 2001 წლის 1 ივნისამდე იმუშავებს. მერე კი, ვინც არ უნდა იყოს მწვრთნელი, გინდ დაუმი და გინდ ფიოლერი, ჩემთვის სულერთია, ჩემს ბედს ვეწევიო.

სკიბე ნაკრებში ივლისში მივიდა. ეროვნული გუნდის ახალდანიშნულმა დროებითმა თავკაცმა რუდი ფიოლერმა თანაშემწედ სწორედ იგი აირჩია. ფიოლერის მსგავსად, გერმანიის საფეხბურთო კავშირთან სკიბემაც მომავალი წლის 1 ივნისამდე გააფორმა ხელშეკრულება.

სამ თვეზე ოდნავ მეტია, რაც ეს დუეტი მუშაობას შეუდგა, მაგრამ ამ დროშიც მოასწრეს თავის გამოჩენა. 4:1 ესპანეთთან, 2:0 საბერძნეთთან და 1:0 ინგლისთან — აი, მათი მონაგარი. გერმანიაშიც რა ხანია, მათთვის კონტრაქტის გაგრძელებაზე ალაპარაკდნენ. ჯერჯერობით ფიოლერი უარზეა — სიტყვა სიტყვაა (კონტრაქტიც კონტრაქტია), 1 ივნისიდან „ლევერკუზენის" თავკაც კრისტოფ დაუმს უნდა დავუთმოო გზაო. რა იქნება მომავალში, არავინ იცის. ძალიან დიდი შანსია, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ნაკრების სათავეში დარჩეს. აი, სკიბემ კი გუშინ საბოლოოდ გამოხატა თავისი აზრი.

„კონტრაქტით ჩემი გუნდში დარჩენა 2001 წლის 1 ივნისამდეა გათვალისწინებული. მერე დაუმი უნდა მოვიდეს. მე ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგი ვარ. არ მინდა, ამ სკანდალებში გავეხვიო, აღარ ვაპირებ ნაკრებში დარჩენას. მე ჩემი პირადი გეგმები მაქვს, რომელშიც ეროვნულ გუნდში მუშაობა ნამდვილად არ შედის" — განუცხადა სკიბემ ჟურნალისტებს.

ისე, სკიბეს ნაკრებში დარჩენის შანსი აქამდეც მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ ფიოლერი დარჩებოდა. დაუმის მოსვლის შემთხვევაში კი იგი გუდა-ნაბადს აიკრავდა, რადგან „ლევერკუზენის" ამჟამინდელი თავკაცი ქვეყნის მთავარ გუნდში მისვლას მარტო არ აპირებს— მას ახლანდელი თანაშემწის როლანდ კოხის მიყვანას სურს და ეს საკითხი საფეხბურთო კავშირთან უკვე შეათანხმა კიდეც.

როგორც ვარაუდობენ, სკიბე თუ წავიდა, უმუშევარი დიდხანს არ დარჩება. იგი ალბათ გერმანიის რომელიმე ასაკის ნაკრებს ჩაიბარებს, უფრო მოსალოდნელია, 18-წლამდელები გაწვრთნას.

„თუ ესეც არ გამოვა, ტრაგედია არ იქნება, სხვა რამეს გავაკეთებ" — გულს იკეთებს სკიბე, რომელზეც იმასაც ამბობენ, იქნებ კვლავ ფიოლერის თანაშემწედ იმუშაოს, ოღონდ „ლევერკუზენშიო".

ბოლოს კი იმას დავამატებთ, რომ 35 წლის მიხაელ სკიბეს მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილებაც აქვს. შარშანდელ სეზონში იგი პირველი ბუნდესლიგის ბინადარ დორტმუნდის „ბორუსიას" წვრთნიდა, თუმცა იქიდან თებერვალში ცუდი შედეგების გამო გაუშვეს.

**ვანო ოქროპირიძე**

# გაზას გზა



**ორი** არაფრისმთქმელი სეზონი „მიდლსბროში“, ნაკრებს გარეთ ყოფნა, ქრონიკული ტრავმები, კომიკური გამოჩენა მოედანზე და ასე შემდეგ — პოლ გესქოინმა თავისი დრო მოჭამა.

ითამაშა, ილოთა, ცოლი გალახა, მინდორზე წიხლები იქნია და ახლა რალაცეებს ცოდვილობს „ევერტონში“, სადაც მისმა ექს-გლაზგოელმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა მიიწვია.

ამ ზაფხულს რომ სმიტმა გაზა იყიდა, ერთი ქოქოლა დააყარეს — ეგ ბებერი, ლამის ინვალიდი და თანაც გიჟი რად გინდოდაო.

ამასობაში კი გესქოინმა ყველა ტრავმა მოიშუშა, თანდათან გუნდის ძირითადშიც დამკვიდრდა და სმითაც მხოლოდ ანტიდეპრესანტებს თუ სვამს, იმასაც იშვიათად — სულიერი ჭრილობები დრომ შეახორცა.

გასულ შაბათს გაზა „ევერტონ“ — „საუთჰემპტონის“ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და პრიზიც გადასცეს. როგორც ამბობენ, იმ ფრედ დამთავრებულ თამაშში მან განსაკუთრებით მოინდომა: მოწინააღმდეგეს ხომ გლენ ჰოდლი წვრთნის. კაცი, რომელმაც ის ნაკრებიდან დაითხოვა.

ინგლისურ მედიას გაზას გამოღვიძება შეუმჩნეველი არ დარჩენია და ის კვლავ გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე.

უოლტერ სმიტი ის კაცია, ვისაც გესქოინისა ყოველთვის სჯეროდა. ახლა „ევერტონს“ ტრავმების ეპიდემია სტანჯავს და გუნდს ძალიან უჭირს, გაზას ფორმაში ყოფნა კი იმ საარსებო მინიმუმის გარანტიაა, ძნელბედობის ჟამს რომ სჭირდება კლუბს. „ის დიდებულია — ამბობს სმიტი — ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ ყველაფერს მოერია და ახლა ფიზიკურად ლამის უნაკლოა. ნიჭისა თქვენც იცით. ნაკრები? კარგით რა?! გესქოინი ორმოცი წლისაც უნდა იყოს ინგლისის ნაკრებში. თუნდაც შეცვლაზე ის საუცხოო იქნება. დღეს ინგლისში კვლავაც არ არის მისნაირი ფეხბურთელი, მაგრამ...“

„ნაკრებში ალბათ ველარასდროს მოვხვდები — ეს გაზას სიტყვებია — ნაკრები შორს არის. აი, ახლა ფორმაში ვარ, მაგრამ არც კი მიფიქრია, რომ დამიძახებდნენ. ის სხვა გზას ადგას. ისე, მწვრთნელს გააჩნია — ზოგი გენდობა, ზოგი არა. იმ დღეს თამაშს ვუყურე და ზოგი ჩვენი მოთამაშე ძალიან მძიმედ ირჯებოდა. ისინი მთელი სეზონი მძიმედ თამაშობენ, მაგრამ მაინც დაუძახეს... თუმცა, რა ჩემი გასარჩევია? თანაც, მეგობრები ვართ“.

თავისი დროის ნაღდად ყველაზე ნიჭიერი და გამორჩეული ინგლისელი ფეხბურთელი ახლა 34 წლისაა. როგორც თავად ამბობს, ბოლო ათ წელიწადს ნორმალური ფეხბურთი თითქმის არ უთამაშია და მხოლოდ რამდენიმე ღირსეული მატჩი თუ ახსოვს. ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს: „იტალიაში ჩემი ხნის ხალხი უკეთეს ფიზიკურ ფორმაშია, ვიდრე პრემიერლიგის ფეხბურთელთა უმრავლესობა — ამბობს ის — მთავარი მონდომებაა“.

მონდომება ცოტა მოგვიანებით კი გაახსენდა გესქოინს, მაგრამ ერთი გაბრწყინების სურვილი მეტად ძლიერი ჩანს.

როგორც თავად ამბობს, ფეხბურთის გარდა ქვეყანაზე ბევრი არაფერი იცის, თუ თევზაობასა და სექსს არ ჩავთვლით, ამიტომ სამომავლოდ მწვრთნელობას აპირებს. „რატომაც არა? ისეთ ხოშიან რამეებს ვასწავლი პატარა ბიჭებს... ვილაცას ხომ უნდა დავუტოვო ჩემი ქონება? — ხითხითებს გაზა — ანდა, რომელიმე პატარა კლუბის მენეჯერად წარმომიდგინეთ. ვთქვათ, „გრიმსბის“. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ცეცხლს დავანთებ იმ ქალაქში? დიახ, მწვრთნელობას ვაპირებ, ოღონდ ჯერ ჭკუა უნდა ვკითხო ჩემთვის ფასეულ ხალხს. ვთქვათ, ტერი ვენეიბლზს და ბრაიან კლაფს“. აი, ასე.

მაგრამ მოთამაშის კარიერა ჯერჯერობით გრძელდება და იმედიანადაც. დღეს გაზა მშობლიურ ჯორდების მხარეში ჩადის — „ნიუკასლი“ „ევერტონს“ მასპინძლობს. ამ ქალაქში ძალიან უყვართ თავიანთი შლეგი ვარსკვლავი. ასე რომ, დახვედრაც საგანგებო იქნება და სტუმრობაც.

**ირაკლი გამყრელიძე**



გაზასთან ვარჯიში თანაგუნდელთათვის ერთი სიამოვნებაა

# ბნელმერსონა



დამთავრდა ესე ამბავი, ბავშვობის სიყვარულისა

**ცნობილ** ინგლისელ ფეხბურთელს პოლ მერსონს ცოლმა 10 წელიწადი უთმინა და როდესაც შეიტყო, რომ მეუღლემ ნიძლავში კიდევ 10 ათასი გირვანქა წააგო, გაცილდა.

მერსონი რომ ნიძლავით ავადმყოფია, მთელმა ინგლისმა იცის. ცხადია ეს ლორისაც კარგად მოეხსენებოდა და ქმრის განსაკურნავად ცდა არ დაუკლია. ამას პოლის ლოთობა და შიგადაშიგ ნარკომანობაც ამძიმებდა, მაგრამ ქალი გულს არ იტეხდა, ქმრისგან ცემა და ღალატიც მოითმინა, მაგრამ ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული?

და 32 წლის ლორიმ თავის ბავშვობის სიყვარულზე (17 წელიწადია ერთმანეთს იცნობდნენ) უარი თქვა:

— დიახ, ჩვენი ოჯახი დაიშალა. კარგა ხანია, ერთად აღარც ვყოფილვართ.

პოლს და ლორის სამი ვაჟი ჰყავთ — ცხრა წლის ჩარლი, შვიდი წლის ბენი და ხუთი წლის შონი.

რაც შეეხება ოჯახის მნგრეველ ნიძლავს, იგი თებერვალში, უემბლიზე „ბენსონ ენდ ჰეჯიზის“ სნუკერის (ბილიარდის მსგავსი თამაშია) ტურნირზე დაიდო და როგორც თავშიც მოგახსენეთ, მერსონნს 10 ათასად დაუჯდა.

კიდევ, ფეხბურთელს დოლებზეც დიდძალი თანხა წაუგია, დამარცხებულია „უემბლიზე“ ინგლის-საფრანგეთის (0:2) ამხანაგური თამაშის შედეგის ვერგამოცნობის გამოც. ერთხელ, ჯამში 38 ათასიც კი დაუგროვდა გადასახდელად, მაგრამ წარსულს ნულა ჩავყვებით. ბნელია.

**ბაბუნა ძედია**



ჯდა მტირალი... პოლ მერსონი დაკარგულ ოჯახს მისტირის

# მგელკაცა ველსიდან

## „ნიუკასლის“ ფეხბურთელს ცოფიანი მოხუცი ქალი უყვარს



**ძალიან** რთულია ფეხბურთელის ცხოვრება — გამუდმებით რეპორტიორები დასდევენ უკან და მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ: გუშინ როი კინი გამოთვრა, გაზამ ცოლს სცემა, ბექემს, პირიქით, ცოლმა სცემა, ლი ბოიერმა ყმაწვილი კაცი მიასიკვდილა და ასე შემდეგ, გაუთავებლად. მაგრამ რა თქნათ, თუ მავანი ფეხბურთელი ღამის კლუბებში არ დაიარება, მშვიდად ცხოვრობს და არც ცოლს ერჩის თუნდაც იმ მიზეზით, რომ მეორე ნახევარი საერთოდ არ ჰყავს? ამ შემთხვევაში მეტი ყურადღებაა საჭირო — მთლად უცოდველი ხომ არც ის იქნება.

დანიელ კორდონე, არგენტინელი, თამაშობდა „ველეს სარსფილდში“ (გუნდში, რომლის კარსაც ხოსე ლუის ჩილავერტი იცავს), ამჟამად ნიუკასლელია. „ველესმა“ ის ერთი წლით ათხოვა ბობი რობსონს.

დანიელ კორდონე ელიტარულ საზოგადოებაში არ ჩნდება, რადგან თმის დავარცხნა და კოპწიად ჩაცმა სძულს და მუდამ ჯინსებში და თმაგაჩეჩილი დაიარება. მასთან სტუმრები იშვიათად მიდიან, რადგან იციან, რომ კორდონეს სახლში არაფრით გაუმასპინძლდებიან, იქ მხოლოდ ბოლო ხმაზე აწეულ გიჟურ მუსიკას თუ მოუსმენენ. კორდონეს საოჯახო ალბომის დათვალიერება გსურთ? მაშინ სთხოვეთ, ტანსაცმელი გაიხადოს — სხეულზე დედის, ბაბუის და ბიძის პორტრეტები აქვს ამოსვირინგებული. უცნაურ ადგილზეც ცხოვრობს — მისი თანაგუნდელები პრესტიჟულ უბნებს ეტანებიან, ეს კი „ნიუკასლის“ საწვრთნელი ბაზის ახლოს განმარტოვებით მდგომ სახლს ამჯობინებს.

„აბა, რა ვქნა — ჩივის კორდონე — მუსიკას ხმამაღლა თუ არ მოვუსმინე, არ შემიძლია. მაგრამ მეზობლები წუხდებოდნენ და ეს ადგილიც ამიტომ ამოვარჩიე“. კორდონეს საყვარელ კომპოზიციებს „ცოფიანი მოხუცი ქალი“ და „გაგიჟებული ვირთხები“ ჰქვია. სათაურებით თუ ვიმსჯელებთ, კორდონეს მეზობლობა არც ჩვენ უნდა ვისურვოთ. „ერთხელ ვარჯიშზე რამდენიმე კომპაქტ-დისკი მივიტანე და გასახდელში ჩავრთე. ბიჭებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ ისეთი სახით შემომხედეს, მოსმენის ხალისი გამიქრა“.

კორდონეს კარიერის ამბავი გაურკვეველია. თავში ვთქვით, რომ მას „ნიუკასლთან“ ერთწლიანი იჯარა აკავშირებს, მაგრამ ბობი რობსონს არგენტინელისთვის უთქვამს, თებერვალში დავსხდეთ და შენს მომავალზე ვისაუბროთო. „ინგლისური ფეხბურთი მომწონს. ის განსხვავდება არგენტინულისგან. ბურთი აქ უფრო სწრაფად მოძრაობს და ჰაერშიც უფრო დიდხანსაა“.

კორდონეს მგელკაცას ეძახიან. მის ტანზე ახლობელთა პორტრეტების გარდა მგლის გამოსახულებასაც მიაგნებთ, რომელიც მთვარეს შეჰყმუის. „თუ „ნიუკასლში“ დამტოვეს, წითელ ხესაც ამოვისვირინგებ, ამ კლუბის სიმბოლოს“ — ამბობს ფეხბურთელი.

კორდონეს ფეხბურთელობის ამბავიც ვთქვათ. ცუდი მოთამაშე არაა, მაგრამ ვარსკვლავობამდეც ბევრი უკლია.

**გიორგი დარჯანია**

# ფრანკ შე... გმირო

**იცოდით**, რომ ფრანგმა ვარსკვლავმა, ლონდონის „ჩელსის“ მცველმა ფრანკ ლებეფმა მძარცველი დაიჭირა? კაცმა რომ თქვას, ამ საქციელით ლებეფი საქართველოში ვერ იტრაბახებდა, მაგრამ მის და ჩვენდა ბედად ის საქართველოში არ ცხოვრობს, ხოლო იქ, სადაც ცხოვრობს, ძარცვა ცუდ საქმედ ითვლება, ხოლო მძარცველის დაჭერა — კარგად.

ერთი სიტყვით, 32 წლის ფეხბურთელმა, ცნობილ მაღაზია „ჰაროდსთან“ რომ მისეირნობდა, დაინახა გაქცეული კაცი და მისკენ თითგაშვერილი, დაშინებული მოახლე, ქურდი დაიჭირეთ, რომ კიოდა. ლებეფმა გაქცეულ კაცს მუშტი გაარტყა, დააგდო, შემდეგ პოლიციაში დარეკა და სანამ წესრიგის მცველები მივიდნენ, 30 წლის მეუღლეს ბეტის დახმარებით ქურდს ადგილიდან ფეხი არ მოაცვლევინა.

გაირკვა, რომ ქურდი ციხიდან გაპარული დევიდ ბრიუსტერი იყო, რომელიც მდიდარი ქალბატონის, მარია მარტინის ფეშენებელური სახლის გაძარცვის შემდეგ მიმალვას ლამობდა.

— რა კარგია გმირობა — განაცხადა ფრანკმა და დასძინა — ერთხელ მეც ხომ უნდა განმეცადა სხვისთვის წითელი ბარათის ჩვენების სიამოვნება.



აი, ეს კაცი ქურდებს ურტყამს

ბრიუსტერის შესახებ კი დამატებით ის ვიცით, რომ კენტის საგრაფოს ციხიდან, „ბლენტაიარ ჰაუსიდან“ აგვისტოში გაიპარა. წესით, იგი კიდევ ცხრა წელიწადი უნდა მჯდარიყო.


იყიდება
ბილიარდის მაგიდა
(1.50×2.80)
კარგ მდგომარეობაში
☎ 95 00 66





დომინიკ ვან რუსტი ასეც და ისეც–

# რა დროს ამისი პენსიაა?

**ქალთა ჩოგბურთის** ერთ-ერთი უმშვენიერესი წარმომადგენელი, ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი ნოემბერში საბოლოოდ გამოეთხოვება დიდ სპორტს. ჩოგბურთელმა ამის შესახებ ჟურნალისტებს ბრიუსელში, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

„წლის დასაწყისში ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ჩოგბურთში რისი მიღწევაც მსურდა, ყველაფერს მივაღწიე, ერთადერთი ოლიმპიადაზე მედლის მოპოვების სურვილიღა დამრჩა. საკუთარი კარიერით უკმაყოფილო არ ვარ, იმაზე გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე თავად ველოდი“ — განაცხადა ვან რუსტმა.

ბელგიელის გადაწყვეტილებამ ძალიან ბევრი გააკვირვა, ის ხომ მხოლოდ 27 წლისაა და ბოლო ხანებში ურიგოდაც არ ასპარეზობდა — თანამემამულე ელს კალენსთან ერთად ერთი თვის წინ სიდნეიში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა წყვილებში, ერთეულთა კლასიფიკაციით კი ახლაც საუკეთესოთა ოცეულშია.

საერთოდ, ვან რუსტმა თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა ქალთა ჩოგბურთისთვის საკმაოდ გვიან, 24 წლის ასაკიდანღა მოახერხა. პროფესიონალებში 1990 წლიდან მოასპარეზე ბელგიელი თავიდან სხვა გვარს, მონამის ატარებდა და ეს ფრანგულად ტკბილხმოვანი გვარი 1995-ში მწვრთნელ ბარტ ვან რუსტთან დაქორწინების შემდეგ შეიცვალა.

გამხდარი, ჩია ბელგიელი თავისი გარეგნობისთვის უჩვეულოდ მძლავრი, ხისტი დარტყმებით გამოირჩეოდა და განსაკუთრებით ბობოლების გამწარება უყვარდა — 1998-ში ფილდერშტადტის ტურნირზე მან მარტინა ჰინგისი და ვინუს უილიამსი დაამარცხა, წლეულს კი ორჯერ მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი გააწბილა. სამაგიეროდ, დომინიკი არცთუ სტაბილურად თამაშობდა — ხშირად აგებდა თავისზე გაცილებით სუსტ მეტოქეებთან და ორმაგი შეცდომებისკენ მეტად მავნე მიდრეკილებაც ჰქონდა.

კარიერის მანძილზე ვან რუსტმა ერთეულებსა და წყვილებში ოთხ-ოთხი ტიტული მოიგო და პირველი ბელგიელი გახდა, ვინც საუკეთესოთა ათეულში შეაღწია (მე-9 ადგილზე). ამის გამო 1998-ში ის თავისი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს.

წლეულს მარტში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ვან რუსტს დედა გარდაეცვალა და ამ ტრაგედიით შეძრულს ორი თვის მანძილზე არსად უასპარეზია. თუმცა, ბელგიელის თქმით, მის გადაწყვეტილებასთან ამას კავშირი არა აქვს.

„დიდი სპორტიდან წასვლა დედის სიკვდილამდე გადავწყვიტე. ეს ყველაზე მძიმე დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მიხარია, რომ მაშინვე არ დავანებე თამაშს თავი, მაშინ ხომ სიდნეიში ვერ ვიასპარეზებდი. იქ მოპოვებული ბრინჯაო ჩემი საუკეთესო მიღწევაა, საუკეთესოთა ათეულში შესვლაზე უკეთესი“ — აღნიშნა დომინიკმა.

მაშ, რაღაა ჯან-ღონით სავსე მოთამაშის გაპენსიონერების მიზეზი? „არა, ამას ჩემი ფეხმძიმობის გამოც არ ვაკეთებ. უბრალოდ, მინდა მეტი დრო გავატარო ოჯახთან, მეუღლესთან, თანაც რა სჯობს მაშინ წასვლას, როდესაც დაღმასვლა ჯერაც არ დაგიწყია“.

WTA ტურთან და ქომაგებთან გამოთხოვებამდე ვან რუსტი კიდევ ორ ტურნირზე იასპარეზებს: ნიუ იორკში, ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე წყვილებში და ფედერაციის თასის ფინალში, ლას ვეგასში 21-25 ნოემბერს.

# ბლექების შავი დღე

**ლინცის ქალთა ღია პირველობა. ავსტრია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 535 ათასი $**

პირველ წრეში ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, ელენა დემენტიევას (7) დამარცხების შემდეგ ზიმბაბველ კარა ბლექს ეგებ ლინცში გაცილებით წინ წაწევის იმედიც ჰქონდა, მაგრამ მის გეგმებში ოჯახური დრამა ჩაერია. ოთხშაბათს იუნიორებში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს შეატყობინეს, რომ სიმსივნით დაავადებული მამამისი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოეთავსებინათ და ისიც სასწრაფოდ გაფრინდა შინ, შორეულ აფრიკაში.

ჩაუსწრო თუ არა ბლექმა მშობელს ჯერ კიდევ ცოცხალს, ძნელი სათქმელია, რადგან საჩოგბურთო კლანის უფროსი წარმომადგენელი ხუთშაბათ დილით ჰარარეში გარდაიცვალა.

კარას მსგავსად, ოღონდ უკვე დაკრძალვას რომ დასწრებოდა, თამაშზე უარი თქვა მისმა უფრომა ძმამ, ბაირონმაც. უიმბლდონის წლევანდელი მეოთხედფინალისტი შანხაიში მიმდინარე ტურნირზე ესპანელ ალექს კალატრავას უნდა შეხვედროდა, მაგრამ მეტოქეს უბრძოლველად გადაულოცა ნახევარფინალის საგზური. ბლექთა შუათანა დედმამიშვილს, წყვილებში თამაშის ოსტატის, უეინის ადგილსამყოფელის შესახებ საერთაშორისო სააგენტოები არაფერს იუწყებიან.

ისე კი, და-ძმები სწორედ მამას (რომლის სახელიც ვერაფრით დავადგინეთ), აფრიკის თეთრკანიან კოლონიზატორთა ერთ-ერთ ბოლო შთამომავალს უნდა უმადლოდნენ საჩოგბურთო ელიტაში მოხვედრას. უფროსმა ბლექმა თავის კუთვნილ, საკმაოდ ვრცელ სამფლობელოში რამდენიმე ბალახისა და თიხნარის კორტი აუგო შვილებს და პატარებს თავად ავარჯიშებდა.

ბლექებიდან ნამდვილ შავკანიანებზე გადავინაცვლოთ. ლინცში ასპარეზობს უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი, კიდევ ერთი საჩოგბურთო დინასტიის წარმომადგენელი ვინუს უილიამსი. სიდნეის ოქროს მედალოსანს ანგარიშზე ამჟამად ზედიზედ გამარჯვებათა 33-მატჩიანი სერია აქვს და წაგებას ჯერჯერობით არც აპირებს.

მერვედფინალში ვინუსმა იაპონელი აი სუგიამას წინააღმდეგ არც ისე კარგად ითამაშა, მაგრამ მეტოქეს მაინც დიდი ოფლისღვრის გარეშე აჯობა — 7:5, 6:2.

„ორი კვირის განმავლობაში არც მივარჯიშია და არც მითამაშია, ოლიმპიადამ საშინლად დამქანცა. ამიტომ გამოვიყურებოდი დღეს ცუდად, მაგრამ თანდათან მოვუმატებ, თანაც აქაური სწრაფი საფარი ძალიან მომწონს“ — აღნიშნა უილიამსმა მატჩის შემდეგ.



ვინუს უილიამსი

**მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ამანდა ჰოპმანსი (ჰოლანდია) 6:1, 6:1; ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:2, 7:5; ქვეტა ჰრდლიჩკოვა (სლოვაკეთი) — ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:4; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:0; ბარბარა შეტი (ავსტრია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:3; ჩანდა რუბინი (5, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 7:5, 6:4.**

**შანხაის ღია პირველობა. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

**მერვედფინალი: მაგნუს ნორმანი (1, შვედეთი) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:2; ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 6:2; მაიკლ ჩანგი (3, აშშ) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:3, 6:4; სჯენგ შალკენი (7, ჰოლანდია) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 1:6, 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



# სტიქიამ ქალბატონს თითი ატკინა

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

**მოკლედ,** 18 ოქტომბრის ქარიშხალმა „ბი-თი გლობალ ჩელენჯის“ იახტები უვნებელი დატოვა. მათგან სტიქიის მძვინვარების საზღვართან ყველაზე ახლოს ლიდერები — „სერკო“ და „ოლიმპიკ გრუპი“ იდგნენ, სხვებს ადრევე გაეხვიათ აღმოსავლეთით და „ნორვიჩ იუნიონი“ ნაპირიკენ შეწეულიყო ეულად. „ოლიმპიკის“ შკიპერი, მენლი ჰოპკინსი თავის მოქმედებას (ქარიშხალს უცებ რომ არ გაერიდა) იმით ხსნის, ქარის კარგად გამოყენება გვინდოდა, გვარიანად დაწინაურების შანსი გვეძლეოდაო, მაგრამ: „როგორც კი ქარის სიჩქარე 30 კვანძი გახდა — გვატყობინებს ჰოპკინსი ვრცელი ატლანტიკის შუაგულიდან — მაშინვე გვერდზე გახვევა გადავწყვიტე. ეკიპაჟის უსაფრთხოება — უპირველეს ყოვლისა.“ წყნარ ზონაში გასვლამდე „ოლიმპიკის“ გოგო-ბიჭებმა ერთხანს ქართანაც იბრძოლეს. არის ზარალი: ერთმა ქალბატონმა თითი დაიშავა, მაგრამ საქმის კეთება შეუძლია, რომელიც ამიერიდან არცთუ სამძიმო, მაგრამ მოსაბეზრებელი იქნება, რადგან მეტეოროლოგები მსუბუქ, ცვლად ქარებს წინასწარმეტყველებენ. ამდენად, მეზღვაურებს აფრების ხშირი ცვლა მოუწევთ.

„ნორვიჩ იუნიონმა“ კი ქარიშხალი აიცილა და განდეგილობის დასრულებას გეგმავს. შკიპერმა იგი ხელახლა აღმოსავლეთით მიმართა, რაც ერთგვარად გზის მოჭრასავით გამოვიდა და 24 საათის განმავლობაში „უიმედო“ აუტსაიდერი „საიმედო“ გახდა. მისი დეფიციტი ლიდერთან 222-დან 161 მილამდე ჩამოვიდა, ხოლო ლიდერი ისევ „სერკოა“, რომელმაც ის უმცირესი მანძილი, რომელიც „ოლიმპიკ გრუპთან“ აშორებდა, 7 მილამდე აიყვანა. პარალელურად, დანარჩენი იახტები გააქტიურდნენ და მოწინავეებს ერთობ მიეწივნენ, თუმცა 19 ოქტომბერი აქტივში ვერ ჩაეთვლება პირველი ეტაპის მომგებ „ქუადსტოუნს“, რომელიც მეოთხე იყო და დღე-ღამეში სამი პოზიცია წააგო.

**II ეტაპი**

ბოსტონი — ბუენოს აირესი
20 ოქტომბრის ვითარება

| | | |
|---|---|---|
| „სერკო“ | 5001 | 0 |
| „ოლიმპიკ გრუპი“ | 5008 | 7 |
| „ელ ჯი ფლატრონი“ | 5011 | 10 |
| „ლოჯიკე“ | 5012 | 11 |
| „აილ ოფ მენი“ | 5017 | 16 |
| „ბი-პი“ | 5022 | 21 |
| „ქუადსტოუნი“ | 5033 | 32 |
| „კომპაქი“ | 5034 | 33 |
| „ტიიმ სპირიტი“ | 5044 | 43 |
| „სპირიტ ოფ ჰონკონგ“ | 5052 | 51 |
| „ნორვიჩ იუნიონი“ | 5162 | 161 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან*

# მიდი-მოდი დამთავრდა

THE TIMES Clipper 2000 RACE VIEWER

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

ოქროსავით დღეების შემდეგ ექსპედიციის თავზე ღრუბლები მოჯარდნენ. მეტეოროლოგები წვიმას ვარაუდობენ, ამიტომ პორტუგალიურ ვილამურამდე რეგატის დარჩენილი მსვლელობა ალბათ დასაწყისზე მოსაწყენად ჩაივლის. იახტების განლაგებაში ცვლილებებია. დასრულდა „პლიმუთისა“ და „ბრისტოლის“ წამიერი მონაცვლეობანი პირველ ადგილზე. „ბრისტოლი“ წინ გაიჭრა და ახლა კორნუოლურ იახტას 18 მილს უგებს. ამასთანავე „პლიმუთს“ მდევრებიც ერთობ მოუახლოვდნენ, მაგალითად „ჯერსი“, რომელმაც 38-მილიანი ჩამორჩენა თითქმის გაანახევრა. „ლონდონიც“ გააქტიურდა. დედაქალაქელებმა აუტსაიდერობის ბორკილი როგორც იქნა, მოიშორეს და იგი ლიდსელებს დაადეს.

**დავით გულუა**

**I ეტაპი**

პორტსმუთი — ვილამურა
20 ოქტომბრის ვითარება

| | | |
|---|---|---|
| „ბრისტოლი“ | 422 | 0 |
| „პლიმუთი“ | 439 | 17 |
| „ჯერსი“ | 462 | 40 |
| „პორტსმუთი“ | 467 | 45 |
| „ლივერპული“ | 472 | 50 |
| „გლაზგო“ | 473 | 51 |
| „ლონდონი“ | 477 | 55 |
| „ლიდსი“ | 491 | 69 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან*




იახტა „ბრისტოლი“ რეგატის თავში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-9 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ბაიერნი-მიუნხენ 1860 | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 005 | ჰერტა-კოტბუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 006 | ჰერტა-კოტბუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.15 | 008 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ფრაიბურგი-შალკე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ჰანზა | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-9 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ფიურტი-ნიურნბერგი (ნეიტრალურზე) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 014 | ჰანოვერი-კიკერსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 015 | ჰანოვერი-კიკერსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | დუისბურგი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 017 | ულმი-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 018 | ოსნაბრიუკი-მაინცი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 019 | ზაარბრიუკენი-ალემანია | 1,75 | 2,9 | 5,0 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | მიონხენგლადბახი-ალენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 021 | მიონხენგლადბახი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-10 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 022 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 023 | ბრედფორდი-იფსვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 024 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ჩელსი-ქოვენთრი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 026 | ლივერპული-ლესტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 027 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-დერბი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 029 | ტოტენჰემი-დერბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 030 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 031 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 032 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-14 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 033 | ბლექბერნი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 034 | ქრიუ-უიმბლდონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 035 | კრ.პალასი-პორტსმუთი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 036 | ჯილინგემი-ბარნსლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 037 | ჰადერსფილდი-პრესტონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 038 | ნორვიჩი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ნოტინგემი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ქუინზ პარკი-ბარნლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 041 | სტოკპორტი-ბოლტონი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 042 | ტრანმერი-ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 3,2 | 3,0 | 2,0 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 044 | უენსდი-ბირმინგემი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-14 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 045 | ბრისტოლი-რედინგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 046 | ბერი-ბორნმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 047 | კოლჩესტერი-კემბრიჯი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 048 | ლუტონი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 049 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-ნოტსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 051 | როტერჰემი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 052 | სტოკი-მილუოლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 053 | სუინდონი-როვერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 054 | უიგანი-პორტ ვეილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 055 | უიგანი-პორტ ვეილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 056 | რექსემი-სუონსი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | უიკომბი-უოლსოლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-14 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 058 | ბარნეტი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 059 | ბლექპული-მაკლსფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 060 | კარდიფი-მენსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 061 | ჩელტენემი-როჩდეილი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 062 | ჩესტერფილდი-ბრაიტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-პლიმუთი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 064 | ჰალი-საუთენდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 065 | კიდერმინსტერი-ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 066 | სკანთორპი-დარლინგტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 067 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 068 | ტორკი-კარლაისლი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 069 | იორკი-ლეიტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-12 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 070 | ტულუზი-პსჟ | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 23.00 | 071 | ბორდო-ლიონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 072 | გენგამი-სტრასბური | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 073 | ლანსი-სედანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 074 | მონაკო-ოსერი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 075 | ნანტი-რენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 076 | სენტ ეტიენი-მეცი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 077 | ტრუა-ბასტია | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 078 | მარსელი-ლილი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-16 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 080 | ბოვუა-აიაჩო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 081 | კაენი-შატორუ | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 082 | კრეტეი-კანი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 083 | გენიონი-ლორიანი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 084 | ნანსი-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 085 | ნიცა-ანჟე | 1,75 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 086 | ნიმი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 087 | ნიორი-ლე მანი | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 23.00 | 088 | ვასკეალი-მონპელიე | 3,2 | 2,7 | 2,3 |

### იტალია. სერია A. მე-3 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 089 | უდინეზე-ინტერი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 090 | მილანი-იუვენტუსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 091 | ბარი-ატალანტა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 092 | ბრეშა-ფიორენტინა | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 18.00 | 093 | ნაპოლი-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 3,0 |
| 18.00 | 094 | რეჯინა-ლეჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 095 | რომა-ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 096 | რომა-ვიჩენცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 097 | ვერონა-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 098 | პერუჯა-პარმა | 3,0 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია B. მე-7 ტური

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 100 | ანკონა-პისტოიეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 101 | კალიარი-მონცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 102 | ჩიტადელა-სამპდორია | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 103 | კროტონე-პიაჩენცა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 104 | ემპოლი-კოზენცა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 105 | ჯენოა-ვენეცია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 106 | რავენა-კიევო | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 107 | ტორინო-ტერნანა | 1,6 | 3,0 | 6,5 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 108 | ტრევიზო-სალერნიტანა | 2,4 | 2,6 | 3,1 |

### იტალია. სერია C1/ა. მე-8 ტური

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 109 | არეცო-რეჯინა | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.30 | 110 | ბრეშელო-ალბინოლეფე | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 18.30 | 111 | ჩეზენა-ალძანო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.30 | 112 | ლეკო-ალესანდრია | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.30 | 113 | ლუმეცანე-კარარეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.30 | 114 | მოდენა-ვარეზე | 1,4 | 3,2 | 7,5 |
| 18.30 | 115 | პიზა-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,5 |
| 18.30 | 116 | სპალ-კომო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 117 | სპეცია-ლივორნო | 2,3 | 2,5 | 3,4 |

### იტალია. სერია C1/ბ. მე-8 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 118 | აკილა-აველინო | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 119 | ლოდიჯანი-ფერმანა | 2,4 | 2,6 | 3,1 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 120 | ასკოლი-მესინა | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 18.00 | 121 | ტორესი-ფ.ანდრია | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.30 | 122 | ატლეტიკო-ვიტერბეზე | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.30 | 123 | ჯულიანოვა-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.30 | 124 | ნოჩერინა-სავოია | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 18.30 | 125 | პალერმო-კატანია | 1,8 | 2,4 | 5,6 |
| 18.30 | 126 | პეზარო-ბენევენტო | 2,3 | 2,5 | 3,4 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-6 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 127 | დეპორტივო-მალიორკა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 128 | დეპორტივო-მალიორკა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 129 | ვალენსია-სარაგოსა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 130 | ვალენსია-სარაგოსა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24.00 | 131 | ბარსელონა-რეალი | 1,9 | 2,9 | 3,8 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 132 | რაიო ვალეკანო-სოსიედადი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 133 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 134 | ოვიედო-სელტა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 135 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 136 | მალაგა-ვილიარეალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 137 | რასინგი-ნუმანსია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 138 | ბილბაო-ლას პალმასი | 1,5 | 3,3 | 7,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-8 ტური

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 139 | ატლეტიკო-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 140 | ტენერიფე-ბეტისი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 141 | უნივერსიდადი-ფეროლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 142 | სევილია-ხეტაფე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 143 | სევილია-ხეტაფე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 15.00 | 144 | ლეგანესი-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 145 | კორდობა-ბადახოსი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 21.00 | 146 | ესტრემადურა-კომპოსტელა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 21.00 | 147 | ეიბარი-ხაენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 148 | მურსია-უელვა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 149 | სალამანკა-ლევანტე | 1,9 | 3,0 | 3,6 |
| 21.00 | 150 | ლეიდა-სპორტინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. I ლიგა. მე-8 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 21.30 | 152 | სპორტინგი-პორტუ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 153 | ფერეირა-ბენფიკა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 19.30 | 154 | ფარენსე-ლეირია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 155 | მარიტიმუ-ამადორა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 156 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 157 | ალვერკა-ავეში | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 158 | ჟილ ვისენტე-სალგეირუში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 01.00 | 159 | ბელენენსეში-ბრაგა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-8 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 160 | იმორტალი-ესპინიუ | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 02.00 | 161 | სანტა კლარა-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 162 | ნასიონალი-რიუ ავე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 163 | ფელგეირაში-შავეში | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 164 | ოვარენსე-მაია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 165 | ლეცა-ნავალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 166 | ვარზიმი-პენაფიელი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.00 | 167 | ფრეამუნდე-მარკუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 168 | აკადემიკა-ლამაში | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-9 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 170 | გრააფსხაპი-ტილბურგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 171 | ტვენტე-სპარტა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 172 | ტვენტე-სპარტა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 173 | ფეიენოორდი-ჰერენვენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 174 | ფეიენოორდი-ჰერენვენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 175 | ალკმაარი-ვიტესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 176 | გრონინგენი-სიტარდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.30 | 177 | უტრეხტი-როზენდალი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-9 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 178 | ტელსტარი-ჰერაკლესი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 179 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 180 | ვენლო-ეინდჰოვენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 181 | იგლსი-ოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 17.30 | 182 | ვოლენდამი-ემენი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 183 | ვეენდამი-ცვოლე | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.00 | 184 | მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 185 | ექსელსიორი-კამბური | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 187 | მუსკრონი-ანდერლეხტი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 23.00 | 188 | ლუვიე-ბევერენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 189 | ბეერსხოტი-ვესტერლო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 190 | გენტი-ლიერსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 191 | ლოკერენი-ანტვერპენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 192 | გენკი-ჰარელბეკე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 193 | გენკი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 194 | მეხელენი-აალსტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 18.00 | 195 | ბრიუგე-სენტ ტრუიდენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 196 | ბრიუგე-სენტ ტრუიდენი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 197 | ჰეკელგემი-ლიეჟი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 198 | გეელი-ინგელმუნსტერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 199 | ტინენი-მონსი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 200 | დესელი-ლომელი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 201 | ტურნჰაუტი-დაინცე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 202 | მოლენბეკი-მაასლანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 203 | სტრომბეკი-ჰეუსდენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 204 | ოსტენდე-სერკლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 205 | დენდერლეუ-რუზელარე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ჩეხეთი. მე-11 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 206 | ჟიჟკოვი-სლავია | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 207 | სპარტა-ლიბერეცი | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 208 | პრჟიბრამი-სინოტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.30 | 209 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 210 | ბანიკი-ბლშანი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.30 | 211 | ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 19.30 | 212 | სიგმა-პლზენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 213 | სიგმა-პლზენი 0;1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.30 | 214 | ბრნო-დრნოვიცე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **პოლონეთი. მე-11 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 215 | რაძიონკოვი-სტომილი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.00 | 216 | გროცლინი-პოლონია | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 217 | გურნიკი-პოგონი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 20.30 | 218 | პლოცკი-ამიცა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 219 | ლეგია-შლიონსკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 220 | ლეგია-შლიონსკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 221 | ვისლა-რუხი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 222 | ვისლა-რუხი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.00 | 223 | ზაგლებე-კატოვიცე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 224 | ვიძევი-ოდრა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **თურქეთი. მე-9 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 226 | იეთფა-ერზურუმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.00 | 227 | გენჩლერბირლიგი-ბურსა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 228 | გენჩლერბირლიგი-ბურსა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 17.00 | 229 | იოზგათი-ტრაბზონი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 17.30 | 230 | ისთანბული-სამსუნი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 231 | დენიზლი-ქოჯაელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 232 | რიზე-ანკარაგიუჯიუ | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 233 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **შოტლანდია. მე-12 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 234 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 235 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 236 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 237 | დანდი-მოზერუელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 238 | კილმარნოკი-სენტ მირენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.35 | 239 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 22.05 | 240 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | | **ავსტრია. მე-15 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 242 | ადმირა-ზალცბურგი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 18.30 | 243 | ბრეგენცი-ლინცერი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 244 | რიდი-შტურმი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.30 | 245 | აუსტრია-ტიროლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-15 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 246 | სენტ გალენი-ციურიხი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.30 | 247 | ივერდონი-ქსამაქსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 22.30 | 248 | ლუგანო-ლოზანა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 22.30 | 249 | სერვეტი-სიონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 250 | არაუ-ლუცერნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 251 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-17 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 252 | კრინსი-ბელინცონა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.30 | 254 | სოლოთურნი-ვილი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.30 | 255 | ვანგენი-კარუჟი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.30 | 256 | ვინტერთური-თუნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 257 | იანგ ბოისი-დელემონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 253 | ლოკარნო-ბადენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **დანია. მე-13 ტური** | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 258 | ორჰუსი-ლიუნგბიუ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 259 | ჰერფიოლგე-ოდენსე | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 260 | სილკებორგი-ჰადერსლევი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 261 | სილკებორგი-ჰადერსლევი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 18.00 | 262 | ვიბორგი-ოლბორგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.05 | 263 | ბრიონდბიუ-აკადემისკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 264 | ბრიონდბიუ-აკადემისკი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 265 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **რუსეთი. 28-ე ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 266 | ალანია-ლოკომოტივი | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| 17.00 | 267 | როსტსელმაში-კრილია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 17.00 | 268 | ჩერნომორეცი-როტორი | 1,4 | 3,5 | 6,5 |
| 17.00 | 269 | სატურნი-ანჟი | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| 17.00 | 270 | დინამო-ნ.ნოვგოროდი | 1,15 | 4,0 | 7,5 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 271 | ტორპედო-ფაკელი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 17.00 | 272 | ურალანი-ცსკა | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| | | **შვედეთი. მე-24 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 273 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 274 | აიკ-ჰალმსტადი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 275 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 276 | სუნდსვალი-ჰეკენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 277 | გაის-ჰამარბი | 2,0 | 3,3 | 2,4 |
| 22.00 | 278 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 279 | ფრიოლუნდა-იორებრო | 3,3 | 3,3 | 1,7 |
| | | **ნორვეგია. 26-ე ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 280 | მოსი-რუსენბორგი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 281 | ბოდიო-გლიმტი-ტრომსიო | 2,5 | 3,3 | 2,0 |
| 17.00 | 282 | ბრანი-მოლდე | 1,75 | 3,2 | 3,5 |
| 17.00 | 283 | ბრინი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,0 | 2,6 |
| 17.00 | 284 | ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი | 3,5 | 3,3 | 1,7 |
| 17.00 | 285 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,0 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 286 | ვოლერენგა-სტარტი | 1,65 | 3,4 | 4,0 |
| | | **უეფას თასი** | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 21.30 | 503 | ირაკლისი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 907 | მონრეალი-კაროლინა | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 908 | ოტავა-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 909 | ფილადელფია-ანაჰაიმი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 910 | ვაშინგტონი-აილენდერსი | 1,45 | 4,0 | 3,5 |
| 24.00 | 911 | კალგარი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 912 | ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 913 | პიტსბურგი-კოლუმბუსი | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 914 | დეტროიტი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 915 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,35 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 916 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 917 | ნეშვილი-სან ხოსე | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 918 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 919 | მინესოტა-ფლორიდა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 920 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 921 | კოლუმბუსი-დეტროიტი | 3,3 | 4,0 | 1,5 |
| 24.00 | 922 | ედმონტონი-ფინიქსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| | | **23 ოქტომბერი.** | | | |
| 24.00 | 923 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ბათუმში მალე კვლავ ამუშავდება
კროკოს ბიურო ახალ მისამართზე:
მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

# ანონსი

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 12.00<br>თსუ — ვითა | 22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 12.00<br>თსუ — ბასკო |
| 21 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.45<br>დინამო — აზოტი | 22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.45<br>სსუ — შევარდენი |
| 21 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15.30<br>სსუ — ბასკო | 22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15.30<br>მაკაბი — აზოტი |
| 21 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17.15<br>შევარდენი — სტუ | 22 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17.15<br>სტუ — ვითა |

# სახლი გარემონტდა, სტუმრებიც მოვიდნენ




წლეულს „აზოტს" „მაკაბი" უცხოტომელებით გაძლიერებული შეებმება

მეათე საკალათბურთო ჩემპიონატის აღრეულმა კალენდარმა და აბლაბუდა დასაწყისმა ბევრს აურია გზა-კვალი. სეზონი, მოგეხსენებათ, ბათუმში შუიდან დაიწყო და ასე თუ ისე სამი მატჩი უკვე შედგა. რაც იყო, იყო, დროა, ბოლო მოვუღოთ მაგაზე ლაპარაკს და ის ვთქვათ, რომ მეათე ეროვნული ოფიციალურად დღეს იწყება, საგანგებოდ „გამოპრანჭულ" ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ამ უქმეებზე ორი სრულფასოვანი ტური გაიმართება, შაბათს, ანუ დღეს პირველი და ხვალაც — მეორე. მაშ ასე, ზღვისპირეთიდან შინაური კალათბურთი დედაქალაქს ეწვია, დღეიდან მეათე ეროვნულს მრავლისმნახველი ვერის ბაღიც შეიკედლებს.

ჩემპიონატში მონაწილე კლუბთა რაოდენობა, მოგეხსენებათ, კენტია — ცხრა. ამიტომ ნებისმიერ ტურში ერთი გუნდი ისვენებს. დღეს ქომაგი „მაკაბის" ვერ იხილავს, ხვალ კი „აზოტთან" ნაჯაჯგურები „დინამო" მოითქვამს სულს. შაბათს გასამართი შეხვედრიდან საგანგებოდ, ალბათ, სწორედ „დინამო" — „აზოტი" უნდა გამოვყოთ. თბილისურ გუნდში მთავარ მწვრთნელად ლევან მოსეშვილი დაბრუნდა, მასთან ერთად „დინამოში" მივიდნენ ისეთი გამოცდილი კალათბურთელები, როგორებიც კახაბერ შენგელია და დავით თორთლაძე არიან. მათ ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭებიც დაუმატეთ და მიხვდებით, რომ შარშანდელთან შედარებით წლეულს გვარიანად სახეცვლილი „დინამო" ნებისმიერ მეტოქესთან, მათ შორის „აზოტთანაც", მოსაგებად გავა მოედანზე. შეძლებს კი მოსეშვილის გუნდი ქვეყნის ზედიზედ სამგზის ვიცე-ჩემპიონის დამარცხებას? ეს, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან „დინამოზე" ახალჩამოყალიბებული ითქმის, მოსეშვილსაც ძალიან ცოტა დრო ჰქონდა გუნდის მოსამზადებლად.

თავის მხრივ რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ გუნდის ძირითადი ბირთვი სრულად შეინარჩუნა. გარდა ამისა, „აზოტმა" „ვითადან" მამუკა ტურაშვილი და ნუგზარ კოკოლიშვილი აიყვანა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ვიცე-ჩემპიონი წლეულსაც ოქროზეა დაგეშილი და შეეცდება მეოთხე ცდაზე მაინც მიაღწიოს მიზანს. „აზოტს" ყველა რგოლში ჰყავს ლიდერი, გუნდის სული და გული კი უდავოდ რამაზ გოგობერიშვილი გახლავთ, რომელზეც, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. „დინამოსთან" მატჩში ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ფარქვეშ უნდა ელოდოს „აზოტი", რუსთავული გუნდის ერთადერთი ცენტრი, მიხეილ ბერუაშვილი, დღეს კახაბერ შენგელიასთან დაიჭერს საქმეს და მათი დავა იქნებ გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. „აზოტს" უკანა ხაზი მეტისმეტად სოლიდური ჰყავს და ამ გუნდის გამარჯვებას უფრო ამიტომაც ვწინასწარმეტყველებთ. რუსთაველთა წისქვილზე წყალს ისიც ასხამს, რომ გუნდი ახალი სეზონისთვის ჩვეული გულმოდგინებით მოამზადა ხმელიძემ და ურეკში ფიზიკურადაც მოალონიერა შეგირდები, რისი საშუალებაც „დინამოს" გამწვრთნელს, ლევან მოსეშვილს სეზონებს შორის პერიოდში არ ჰქონია.

სხვათა შორის, „აზოტს" კვირასაც მძიმე ბრძოლა მოუწევს. „მაკაბისთან", ვფიქრობთ, გაუჭირდება ვიცე-ჩემპიონს, მით უფრო, თუ წინა დღეს „დინამოს" დიდი ჯანი შეალია. „მაკაბი" კარგი გუნდია, რაც ბათუმშიც თვალნათლივ გამოჩნდა. თბილისელებმა ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტ „ბასკოს" თავისსავე კედლებში გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს და საკუთარი ძალისა მეტად რომ ერწმუნათ, იქნებ სენსაციური გამარჯვებისთვისაც გამოეკრათ ხელი. ბათუმელ გულშემატკივარს „მაკაბიმ" გუნდური თამაშით დაამახსოვრა თავი. კალათბურთელები საოცრად შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ, რამაც „ბასკოს" ბევრი პრობლემა გაუჩინა.

„მაკაბის" ყველაზე სუსტი რგოლი უკანა ხაზია, თუ შენგელიას „დინამოში" წასვლა გუნდმა მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გადაიტანა, ტყუპი ბერიშვილების თსუ-ში გადასვლით მაკაბელთა უკანა ხაზი მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამ პოზიციაზე მწვრთნელებს საერთოდ არა აქვთ არჩევანი და გასაკვირი არ იქნება, „ბასკოსთან" მატჩის მსგავსად „აზოტთანაც" მსროლელი გოჩა წოწელია დაასაქმონ გამთამაშებლის ამპლუაში. ფაქტი ერთია, კამერუნელები, ტუჯანითა და დაჩუმით, გაძლიერებული „მაკაბი" „აზოტთან" გამარჯვებას გეგმავს. სხვათა შორის, ბოლო დროს კარგადაც გამოსდით თბილისელებს რუსთაველებთან თამაში. წინა ჩემპიონატში ამ გუნდების ურთიერშეხვედრებში 2:2 დაფიქსირდა. ერთი სიტყვით, ყველა წინაპირობა არსებობს, რომ გულშემატკივარმა დაძაბული თამაში ნახოს. მეტოქეებს წარმატების თითქმის თანაბარი შანსები აქვთ, თუ მაინცდამაინც ჩვენი აზრი გაინტერესებთ, „აზოტისკენ" გადავიხრებით.

მეათე ეროვნულს თსუ ამბიციებით ხვდება. წინა ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსანმა მწვრთნელი გამოიცვალა, შემადგენლობაც გვარიანად გადახალისდა და წლეულს სულ ცოტა ოთხეულს გეგმავს სტუდენტური გუნდი. თსუ-ს რეალური ძალა კვირას გამოჩნდება, ზაზა ზამთარაძის შეგირდები ხვალ ქვეყნის ამჟამინდელ ჩემპიონ „ბასკოს" დაუხვდებიან, რომელიც თავის მხრივ ჩინებულ ხასიათზე ეწვია დედაქალაქს, რაკი აქამდე სამივე საშინაო მატჩი მოიგო. „ბასკო" თბილისში ერთი ამერიკელით ჩამოვიდა, მეორე ოკეანისგაღმელი, ჯუნიორ კონერლი უკანვე გააბრუნეს ბათუმელებმა, რადგან მის თამაშში მოსაწონი ვერაფერი ნახეს. თბილისში გუნდს ვალერი კალაძე შეუერთდება, რომელიც წინა შეხვედრებში ოჯახური პირობების გამო მოისაკლისა „ბასკომ".

რას დაუპირისპირებს თსუ ჩემპიონს, რას შესთავაზებს „ბასკოს" ზამთარაძის გუნდი — ყოველივე ამას კვირას ვნახავთ. მანამდე კი ვთქვათ, რომ წესით და რიგით, ზღვისპირულმა გუნდმა წარმატებული სვლა უნდა განაგრძოს: შარშანდელთან შედარებით, მართალია, მნიშვნელოვნად მოღონიერდა თსუ, მაგრამ კლასით მისი მეტოქე უფრო მაღლა დგას და სასწაული უნდა მოხდეს, შინ ქულადაკარგული რომ გაბრუნდეს.

მეოთხე მატჩი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, „შევარდენი"-სტუ-ა, წინა ჩემპიონატში ამ დაპირისპირებას არ გამოვარჩევდით, მაგრამ ახლა „შევარდენი" საკმაოდ მოძლიერდა და ვფიქრობთ, მაგრად დაუდგება „ჯეოსელის" მფარველობის ქვეშ მყოფ სტუ-ს, რომელიც ყველაფრის მიუხედავად მაინც ფავორიტად მიგვაჩნია. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი ორმა წამყვანმა კალათბურთელმა — ორმოცაძემ და თორთლაძემ დატოვა. სამაგიეროდ, სტუ-მ სოლიდური შევსება მიიღო ხოშტარიასა და დავითულიანის სახით. ასე რომ, სტუდენტები საჩემპიონოდ არიან მომართულნი და „შევარდენთან" ფეხი ალბათ, არ დაუცდებათ.

ამ ეტაპზე ეს ვიკმაროთ, დღეს-ხვალ უკლებლივ ყველა გუნდს ვიხილავთ საქმეში და სალაპარაკოც ბევრი გვექნება. მთავარია, დაიწყო მარათონი, რომელსაც თავისი ლიდერებიც ეყოლება და აუტსაიდერებიც. მერე გაზაფხულიც მოვა და რომელიმე გუნდი საჩემპიონო გვირგვინს დაიდგამს. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიანნაადრევია...

**გიორგი ბიძაშვილი**

## ევროპული ამბები

### საფრანგეთი

# ახალი მწვრთნელი ძველის რეკომენდაციით

## ალენ ვეისი თან ამაყობს და თან ეშინია



ალენ ვეისი

**საფრანგეთის** კალათბურთელთა ნაკრებს უმწვრთნელოდ ყოფნამ დიდხანს არ მოუწია. მას შემდეგ, რაც სიდნეის ოლიმპიადაზე გუნდს ვერცხლის მედლები მოაპოვებინა, ჟან-პიერ დე ვინჩენციმ თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და წასვლა გადაწყვიტა. ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა. თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ დე ვინჩენციმ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ივან მენინის „ლურჯების" მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად თავისივე თანაშემწე ალენ ვეისი წარუდგინა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ვეისი გახდებოდა დე ვინჩენცის მემკვიდრე, მაგრამ ეს ამბავი ოფიციალურადაც უნდა დადასტურებულიყო.

ოთხშაბათს, ნაშუადღევს, მოსალოდნელი რეალობადაც იქცა — საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურმა კომუნიკემ ქვეყანას ამცნო, რომ ამიერიდან ნაკრების ხელმძღვანელობა ალენ ვეისს დაევალა. ივან მენინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვეისის კანდიდატურაზე ყურადღება დე ვინჩენცის რეკომენდაციის შემდეგ შეაჩერა.

„ეს უდიდესი სიხარულია" — პირველად ეს სიტყვები თქვა თავად ახალდანიშნულმა, რომელსაც პირველ დავალებად ნაკრების 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანა დაუსახეს. იმის ხაზგასასმელად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია, ალენ ვეისმა განაცხადა: „მეტად ძნელი სამუშაო გველის, რადგან ყველა გუნდი გაათკეცებული მონდომებით ითამაშებს ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონების წინააღმდეგ". მისი აზრით, ნაკრების გადახალისება საჭირო არ არის, რადგან იგი საკმაოდ ახალგაზრდულია და ის სამი მოთამაშეც, რომლებმაც 30 წელს გადააბიჯეს, მშვენიერ ფორმაში არიან.

ალენ ვეისი მარსელშია დაბადებული. იგი 47 წლისაა. უთამაშია „მარსელში", „სოში" და „პარიზში". მწვრთნელობას იგი 1986 წლიდან მისდევს, როცა „შატუ" ჩაიბარა. ამ პატარა ამბიციების მქონე გუნდში ვეისმა ოთხი წელი დაჰყო და „შატუ" საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხე დივიზიონიდან მესამეში გადაიყვანა. შემდეგ იგი თავის ყოფილ გუნდ „სოს" ჩაუდგა სათავეში, მასაც ოთხი წლის მანძილზე უთავკაცა და ისიც ერთი დივიზიონით აამაღლა — პრო A-ში გადაიყვანა. სწორედ „სოში" გამოზარდა მან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფრანგი კალათბურთელი მუსტაფა სონკო, რომელიც ახლა ფრანგთა ნაკრების გამთამაშებელი და ლიდერია. 1994 წელს ვეისი „მონპელიეში" გადაბარგდა და, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, იქ მხოლოდ ორი წელი გაატარა, რის შემდეგაც „ლე მანს" მოჰკიდა ხელი და ოთხ წელიწადში ეს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერიდან საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. ისე, რიცხვი „4" ვეისისთვის, ალბათ, განსაკუთრებულია, რადგან საყვარელმა მეუღლემ სწორედ ოთხი შვილი აჩუქა.

გარდა იმისა, რომ კლუბებში მოღვაწეობდა, ვეისი ეროვნ[illegible] უნდებისთვისაც ირჯებოდა ხოლ[illegible] 1998 წლის ევროპის ჩემპიონატზე 2[illegible] წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი იყო, 1997 წლიდან მოყოლებული კი ჟან-პიერ დე ვინჩენცის თანაშემწედაც მუშაობდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ფრანგი კალათბურთელებისთვის იგი ისევე ნაცნობი და ახლობელია, როგორც ფრანგი ფეხბურთელებისთვის — როჟე ლემერი, რომელმაც „ლურჯები" ემე ჟაკეს გადადგომის შემდეგ ჩაიბარა.

„ამ თანამდებობაზე დანიშვნა სხვადასხვა გრძნობებს აღმიძრავს. სიამაყეს, რადგან ამიერიდან ოლიმპიური ვერცხლის მომპოვებელი გუნდი უნდა გავწვრთნა და შიშს, რომ შეიძლება სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოვჩნდე" — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „როიტერს" ვეისმა. მარსელელისთვის მთავარი ახლა გაისის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა და იქ მინიმუმ მეხუთე ადგილის დაკავებაა, რაც საფრანგეთს საშუალებას მისცემს, ინდიანაპოლისში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეს. ამ მიზნის მისაღწევად ვეისი ნაკრებში დაბრუნებას უპირებს ჟან-პიერ დე ვინჩენცის მიერ შერისხულ ტარიკ აბდულ ვაჰადს, რომელიც ნბა-ში, „საკრამენტოში" თამაშობს. აბდულ ვაჰადმა ოლიმპიადის წინ განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში რასიზმია გაბატონებული, რამაც თეთრების გარდა ნაკრების შავკანიანი წევრებიც კი გააოგნა. პასუხად დე ვინჩენციმ მას სთხოვა, ნაკრების სახელის შეურაცხყოფისთვის ბოდიში მოეხადა და რადგან აბდულ ვაჰადმა ეს არ გააკეთა, იგი სიდნეიში არ წაიყვანეს.

„მე მას ჯერ არ დაველაპარაკებივარ, მაგრამ ამას უახლოეს დღეებში ვაპირებ. მინდა, რომ ვაჰადი ჩვენთან ერთად იყოს, თუმცა მასაც იგივე მიზნები უნდა ამოძრავებდეს, რაც ჩვენ და გუნდის სახელი უსაფუძვლოდ არ უნდა შებღალოს" — თქვა „საკრამენტოს" ფრანგი კალათბურთელის შესახებ ალენ ვეისმა, რომელსაც ნბა-ში მოთამაშე მეორე ფრანგის, ჟერომ მუაზიოს მიწვევაც ჩაუფიქრებია. ვეისი პირობას დებს, რომ არა მარტო მათ, ახალგაზრდებსაც მისცემს თავის გამოჩენის შესაძლებლობას და ამბობს, გადახალისების საჭიროების არარსებობა კონკურენციას სრულებით არ გამორიცხავს, თითოეულ მოთამაშეს ყოველდღიურად მოუწევს თავისი სიძლიერის დამტკიცებაო.

ფრანგული „ხუთეული" (იქნებ ვეისს „ოთხეული" ერჩივნა) თავისი ახალი მთავარი მწვრთნელის თავკაცობით პირველად 22 ნოემბერს, ანკარაში ითამაშებს თურქეთის წინააღმდეგ, 25 ნოემბერს კი ვილერბანში იტალიას დაუპირისპირდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 18 - 19 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ულქერი 80:69 სპლიტი**

ულქერი: აჩიკი (13), ერდენაი (9), ერდოგანი (7), გოლიოვიჩი (3), გონლუმი (10), ჰენდლოგტენი (15), ლოლისი (10), პერსევო (2), სარიჯა (6), ილდირიმი (5)
სპლიტი: ბადჟიმი (3), გრეგოვი (8), გრგურევიჩი (3), ლენდი (14), პოლიაკი (1), რენჩერი (14), სუბოტიჩი, ვუიჩიჩი (20), ტიჟიჩი (6)

**რაანანა 86:71 სიენა**

რაანანა: არდიტი (2), გრინი (4), იცხაკი (2), კანტორი, მაკარტი (16), სელტერსი (15), საიმონი (13), სტანოევიჩი (20), ვალდმანი (14)
სიენა: ალბერტი (7), კიაჩიგი (12), გორენცი (16), გრეი (17), მეისი (11), პილოტი, როსეტი, სკარონე (8)

**ცსკა 69:57 პანათინაიკოსი**

ცსკა: ალანოვიჩი (4), დომანი (8), ეინიკისი (16), ფეტისოვი (7), კირილენკო (11), კუდელინი (10), ლარუ (8), პეტრენკო (5), სავკოვი
პანათინაიკოსი: ალვერტისი (3), ბოდიროგა (8), ბერკი, ფოცისი (17), ჯენტილე, კალაიძისი (2), კობი (12), მიდლტონი (2), რებრაჩა (4), როჯერსი (9)

**ვილერბანი 74:70 ცეპტერი**

ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი, ფრიგუ (3), ლონგი (24), პაშუტინი (8), პლუვი (16), სკიარა (8), სტივენსი (2)
ცეპტერი: ადომაიტისი (10), ავლიაში (3), ბიგუსი, ციელებაკი, კოსციუკი, მაკნაული (6), მიგლინიეკსი, ტომჩიკი (21), ვოიციკი (16), ზიელინსკი (14)

**ალბა 95:70 ლიეტუვოს რიტასი**

ალბა: ალექსისი (25), იაგლა, კოტუროვიჩი (17), ლუტკე (9), ოზთურქი (4), პაპიჩი (2), პეშიჩი (14), ფელპსი (11), როდლი (10), შულცე (3), ტორვარტი
ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (7), გედრაიტისი (15), გრანტი (6), იარუტისი (5), რ. იავტოკასი (13), მასიაუსკასი (8), შესტოკასი (7), სლეზასი (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ალბა | 1 | 1 | 0 | 95:70 | 2 |
| რაანანა | 1 | 1 | 0 | 86:71 | 2 |
| ცსკა | 1 | 1 | 0 | 69:57 | 2 |
| ულქერი | 1 | 1 | 0 | 80:69 | 2 |
| ვილერბანი | 1 | 1 | 0 | 74:70 | 2 |
| ცეპტერი | 1 | 0 | 1 | 70:74 | 1 |
| სპლიტი | 1 | 0 | 1 | 69:80 | 1 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 1 | 57:69 | 1 |
| სიენა | 1 | 0 | 1 | 71:86 | 1 |
| ლიეტუვოს რიტასი | 1 | 0 | 1 | 70:95 | 1 |

### B ჯგუფი

**ირაკლისი 73:80 კრკა**

ირაკლისი: ხაცივრეტასი (8), დიამანტიდისი (1), ფარმერი (24), კამარიოტისი, კარაგუტისი (2), კარასიოვი (10), ნაკიჩი (18), პაპადოპულოსი (10), პაპაიოაკეიმი, სანტანჯელო
კრკა: ანზულოვიჩი (4), არაპოვიჩი (13), დევისონი (13), დონჩიჩი (10), დ. დრობნიაკი (2), გრუმი (5), პეტროვი (28), შრეკიჩი (5)

**პლანია 76:84 ბაიერი**

პლანია: ბულანდერი (16), დირდენი (12), ფრედრიკსონი (12), ლუნდალი (2), ნიკოლასი (15), პარნი (15), პეტერსონი (4), რონდალი
ბაიერი: ბესტი (28), ევანსი (4), გისეკი (2), გნადი (22), ჰანსენი (13), ჰაჩისონი, კოვაჩევი (2), ლარკიო (11), ლოხმანჩუკი (2)

**ოსტენდე 79:65 ეფესი**

ოსტენდე: ბეგინი (6), ბიგსი (19), დე ბელი, დოილი (1), ჰოლდენი (20), კულამი (3), პრაშკევიჩუსი (21), ვან დენ შპიგელი (9)
ეფესი: ბეშოქი (17), ბიბო, დრობნიაკი (6), მულაომეროვიჩი (11), ოქური (1), პეკერი (1), შჩეპანოვიჩი (10), თუნჩერი (9), თურქჯანი (7), ილმაზი (3)

**სკავოლინი 81:85 მაკაბი**

სკავოლინი: ბუკერი (8), მიდლტონი (12), გიგენა (12), ტუშეკი (11), მაჯოლი (14), ჯონსონი (13), ძანელი (11), პეჩილე, ტრაინა
მაკაბი: მაკდონალდი (9), ბრისკერი (15), პარკერი (12), ჰენფელდი (6), ჰაფმანი (21), შარფი (12), შელეფი, ჩურჩიჩი (10)

**პარტიზანი 75:69 პო ორტეზი**

პარტიზანი: ბოგოევიჩი, ბერიჩი (18), ჩუბრილო (9), ჩანაკი (19), ბულატოვიჩი (12), პეტროვიჩი (4), ილიევსკი (2), მარკოვიჩი (5), ვარდა (6)
პო ორტეზი: კარი (24), მ. პიეტრუსი, დიუბო (9), ესტელერი (15), ლოუსონი (3), ფოტუ (6), დროზდოვი, ფ. პიეტრუსი (9), დიავე, მაზინგი (3)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოსტენდე | 1 | 1 | 0 | 79:65 | 2 |
| ბაიერი | 1 | 1 | 0 | 84:76 | 2 |
| კრკა | 1 | 1 | 0 | 80:73 | 2 |
| პარტიზანი | 1 | 1 | 0 | 75:69 | 2 |
| მაკაბი | 1 | 1 | 0 | 85:81 | 2 |
| სკავოლინი | 1 | 0 | 1 | 81:85 | 1 |
| პო ორტეზი | 1 | 0 | 1 | 69:75 | 1 |
| ირაკლისი | 1 | 0 | 1 | 73:80 | 1 |
| პლანია | 1 | 0 | 1 | 76:84 | 1 |
| ეფესი | 1 | 0 | 1 | 65:79 | 1 |



პარტიზანი — პო ორტეზი. პარტიზანელი ვესელინ პეტროვიჩი ფლორან პიეტრუსს დაეჯახა.

# რა გინდა, სიმონ?!

## ფაჩულიას ლიცენზია დაუგვიანეს

**ქართველი** კალათბურთელის დებიუტი სუპროლიგაში არ შედგა. საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდცენტრი ზაზა ფაჩულია სტამბოლის „ულქერის“ მატჩისწინა შეკრებაზე იყო და თამაშისთვის ემზადებოდა. უკვე სპორტულად გამოწყობილი ზაზა დარბაზში მიმავალი გუნდის ავტობუსში ჯდებოდა, როცა „ულქერის“ გენერალურმა მენეჯერმა უთხრა: სუპროლიგაში სამონაწილეო ლიცენზია ვერ გაგიკეთეთ და დღეს ვერ ითამაშებო. უცნაურია, „ულქერმა“ ფიბა-ში განაცხადი თითქმის ერთი თვის წინ წარადგინა, ფაჩულიაც სიაში იყო. რატომ დაგვიანდა ლიცენზია, ამის შესახებ არც ზაზასთვის უთქვამს ვინმეს და ვერც ჩვენ შევიტყვეთ რამე. სხვა რა გზაა, დაველოდოთ სუპროლიგის მეორე ტურს და იმედიც ვიქონიოთ, რომ „ულქერი“ ყველა ფორმალობას მოაგვარებს და ბერლინის „ალბას“ წინააღმდეგ ფაჩულია ითამაშებს.

„ულქერის“ მეტოქე ხორვატიის „სპლიტი“ იყო, რომლის ამერიკელმა გამთამაშებელმა ტერენს რენჩერმა დიდებულად დაიწყო და სტამბოლელები მდევრებად იქცნენ. პირველი მეოთხედის ბოლოს მძლავრად ათამაშდა „ულქერის“ ამერიკელი ცენტრი ბენჯამინ ჰენდლოგტენი და მისმა ორმა სროლამ მასპინძლები 23:19 დააწინაურა. მეორე მეოთხედში „ულქერის“ მწვრთნელმა მურათ დიდინმა მოედანზე სათადარიგოები შეუშვა, რომელთაც გაამართლეს და თავის გუნდს ტაიმი 8 ქულით მოაგებინეს (38:30).

შესვენების შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებში გაიბრწყინა „ულქერის“ კაპიტანმა ჰარუნ ერდენაიმ. მის მიერ ჩაგდებულმა ბურთებმა ჯერ 12 ქულით დააწინაურა სტამბოლელები (57:45, 29-ე წუთზე), მეოთხე მეოთხედში კი — თექვსმეტით (69:53). საქმე გაკეთებული იყო და ულქერელთა სათადარიგოებმა მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე. კარგად ითამაშა 20 წლის უკანახაზელმა ტუტკუ აჩიკმა, რომელმაც ტრავმირებული ორჰან გიულერი შეცვალა. სამაგიეროდ, არაფერი გამოუვიდა შარშანდელი ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირ მილან გოლიოვიჩს — 26 წუთში ექვსჯერ ესროლა და ერთადერთი სამქულიანი ჩააგდო.

სუპროლიგაში ბევრი ახალი გუნდია, ძველები კი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ. ცსკა-„პანათინაიკოსის“ დაპირისპირება პირველ ტურში უმთავრესად იყო შერაცხული. „პანათინაიკოსი“ შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონია და, ცხადია, ფავორიტად ითვლებოდა. თუმცა, დამთავრდა პირველი მეოთხედი და ათენის გუნდი სუპროლიგის ანტირეკორდის ავტორი გახდა — მეოთხედში მხოლოდ შვიდი ქულა.

„მესმის, რომ ჩემს გუნდში უფრო მაღალი კლასის კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ ხანდახან თვით ვარსკვლავებსაც აქვთ ცუდი დღეები. თანაც, ცსკა-მ არაფერი გაგვაკეთებინა. საბედნიეროდ, ეს პირველი ტურია და შეცდომების გამოსწორების დრო გვაქვს“ — აღნიშნა ნამატჩევს „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა. მართლაც, ათენელებს ცუდი დღე დაადგათ. მათ ვერაფერი გააწყვეს ფარზე და ამ მხრივ საქმეს ვერც ევროპის საუკეთესო ცენტრმა ჟელკო რებრაჩამ უშველა. „პანათინაიკოსი“ ერთადერთხელ მიუახლოვდა მოსკოველ არმიელებს ხუთი ქულით (39:44), ისიც, ძირითადად ანტონის ფოცისის ინდივიდუალისტობის წყალობით. მერე კი ცსკა-მ ანგარიშში სხვაობა ათ ქულამდე გაზარდა და მრისხანე მეტოქე ახლოს აღარ გაიკარა. ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი ტიხონენკო, რომელიც შარშან თავად თამაშობდა ევროლიგაში, აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ხოლო არმიელთა უკანახაზელმა იგორ კუდელინმა თქვა, დღეს ისეთ ჯანზე ვიყავით, თვით „ჩიკაგო ბულზსაც“ დავამარცხებდითო.



პარტიზანი — პო ორტეზი. პარტიზანელი ნიკოლა ბულატოვიჩი (№ 13) და ჯეისონ ლოუსონი

მძლავრი ალიყური იგემა შარშანდელი ევროლიგის მესამე პრიზიორმა და სუპროლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა სტამბოლის „ეფესმა“. იგი ბელგიაში ესტუმრა „ოსტენდეს“ და მატჩის საწყის წუთებში მხოლოდ აკვირდებოდა, როგორ ურიგებდა თანაგუნდელებს პასებს ესტონელი გერტ კულამი. ოსტენდელთა 214-სანტიმეტრიანი ცენტრი ტომას ვან დენ შპიგელი არ შეუშინდა ჰუსეინ ბეშოქს და პრედრაგ დრობნიაკს და თავისიანებს პირველი მეოთხედი 23:12 მოაგებინა.

ვან დენ შპიგელი ორი პერსონალურის მიღების შემდეგ სკამზე დაჯდა, მისი შემცვლელი პიტ დე ბელი კი ახალგაზრდა და გამოუცდელია. ეს იყნოსეს ბეშოქმა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან დაბრუნებულმა მირსად თურქჯანმა და ხუთ წუთში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს, მე-17 წუთზე კი სტამბოლელები პირველად დაწინაურდნენ — 29:28.

მეორე ტაიმში ვან დენ შპიგელმა ბეშოქს მეოთხე პერსონალური აკიდა, რამდენიმე წუთში თანაგუნდელის ბედი გაიზიარა დრობნიაკმა. ეფესელები დაცვაში ფრთხილად ათამაშდნენ, რამაც „ოსტენდეს“ ფარქვეშ გააქტიურების საშუალება მისცა. მატჩის ბედი კი მასპინძელთა ამერიკელმა გამთამაშებელმა ჯონ ჰოლდენმა გადაწყვიტა. მან ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე კი ორჯერ ცარიელ ფართან დატოვა ლიტველი ვირგინიუს პრაშკევიჩუსი. „ეფესმა“ ხუთი წუთი ბურთი ვერ ჩააგდო, „ოსტენდემ“ კი ეს მონაკვეთი 10:0 მოიგო და სუპროლიგაში პირველი მოგებაც მიითვალა.

ბელგრადის „პარტიზანის“ მმართველობაში მისვლისთანავე, კლუბის ვარსკვლავურმა ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი — ვლადე დივაცი, ვიცე-პრეზიდენტები — დრაჟენ დალიპაგიჩი, პრედრაგ დანილოვიჩი, ჟარკო პასკალი) ხელშეკრულება გაწყვიტა გენერალურ სპონსორთან, მავანი მობილური ტელეფონების კომპანიასთან და გუნდის აღორძინება-აყვავების ახალი გეგმა წარმოადგინა. „პო ორტეზთან“ პირველი ტაიმის შემდეგ „პარტიზანს“ არათუ გადარჩენის, არამედ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. გუნდის კაპიტანმა მიროსლავ ბერიჩმა ბურთი ვერ მიილო, სამაგიეროდ ფრანგული გუნდის ესპანელი როჯერ ესტელერი და ამერიკელი კორი კარი ლამის ყოველ შეტევას ზუსტი სროლით ასრულებდნენ. „პო ორტეზმა“ ტაიმი 43:27 მოიგო.

განახლდა მატჩი და ხუთ წუთში ყველაფერი შეიცვალა — „პარტიზანმა“ ეს მონაკვეთი 16:0 მოიგო და ანგარიშიც გაათანაბრა. დაცვაში შესანიშნავად თამაშობდა ვესელინ პეტროვიჩი, ხოლო ბერიჩმა რამდენი ისროლა, იმდენი ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ბელგრადელები პირველად დამთავრებამდე 1,53 წუთით ადრე დაწინაურდნენ, როცა ნიკოლა ბულატოვიჩმა ფარქვეშიდან იყოჩაღა. „პარტიზანმა“ ხელიდან აღარ გაუშვა ინიციატივა, თუმცა ამაში მეტოქეც მიეხმარა: კორი კარმა, რომელიც პირველ ტაიმში შეუდარებელი იყო, ბოლო ოთხ წუთში ხუთი სროლა ააცილა.

შარშანდელი ევროლიგის ფინალისტმა თელ ავივის „მაკაბიმ“ იტალიის ქალაქ პეზაროში მძიმე ბრძოლაში დაამარცხა „სკავოლინი“. თავიდან თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და მაკაბელებმა ტაიმი 47:43 მოიგეს. ასე გრძელდებოდა მეოთხე მეოთხედამდე, სანამ თელავიველები ხუთი ქულით არ დაწინაურდნენ. „სკავოლინი“ უეცრად აფეთქდა და ზედიზედ 13 ქულა გააკეთა. „მაკაბის“ მწვრთნელმა პინი გერშონმა წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგაც მისმა გუნდმა შვიდი უპასუხო ქულა მიითვალა. ებრაელებმა მალე გაათანაბრეს, მას შემდეგ, რაც მარკ ბრისკერმა ზედიზედ სამი საჯარიმო ჩააგდო.

„მაკაბი“ დამთავრებამდე 40 წამით ადრე 81:79 დაწინაურდა — ნათანიელ ჰაფმანმა და არიელ მაკდონალდმა იყოჩაღეს. რადისლავ ჩურჩიჩმა ოთხ ქულამდე გაზარდა ებრაელთა უპირატესობა, მაგრამ დამთავრებამდე 11 წამით ადრე ფაბიო ძანელიმ შეუნარჩუნა „სკავოლინის“ მოგების შანსი. დარჩენილ დროში პეზაროელები ჰაფმანზე დაჯარიმდნენ, ამან კი ორი საჯარიმოთი დააბოლოვა ეს დაძაბული მატჩი.

სალონიკის „ირაკლისი“ ნოვო მესტოს „კრკასთან“ შეხვედრაში ფავორიტად ითვლებოდა და თამაშიც რიხით დაიწყო. ტონი ფარმერი და ფრანკო ნაკიჩი შეუჩერებელნი იყვნენ და მეორე მეოთხედის დასაწყისში მასპინძელთა უპირატესობამ ათ ქულას უწია — 34:24. მერე კი „ირაკლისს“ საშინელი უბედურება დაატყდა თავს, რომელსაც სიმონ პეტროვი ერქვა. „კრკას“ უკანახაზელი წარმოუდგენელი სირთულის ბურთებს აგდებდა, სალონიკელთა გამოცდილმა მწვრთნელმა მაკის დენდრინოსმა კი მისი შესაჩერებელი გზა ვერაფრით გამონახა. ნოვომესტოელებმა 44:42 მოიგეს ტაიმი და მეტოქეს წინ გასვლის საშუალება აღარ მისცეს. „კრკამ“ რვა სამქულიანი ჩააგდო (პეტროვმა — ოთხი), ხოლო გუნდის ვეტერანმა ცენტრმა, ხორვატმა ფრანიო არაპოვიჩმა 10 მოხსნა მიითვალა.

**მერაბ რატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რატომ მოიწყინა ორი მედლის მჭედელმა?
## ჩვენთვის პროტესტს რა აზრი აქვს?!



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ბეგი დარჩიას გასახარიც აქვს და გულდასაწყვეტიც

**ოქტომბრის** იმ სისხამ დილით, როცა ქართველი ოლიმპიელები თბილისში დაბრუნდნენ, აეროპორტის შენობიდან ერთ-ერთი პირველი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი გამოვიდა და ხელებშემართულმა მხიარულად შემოგვძახა, ყველაზე წარმატებული ფედერაციის პრეზიდენტი ვარო. მართალიც იყო — სიდნეიში მოპოვებული ექვსი ბრინჯაოს მედლიდან სამი მოჭიდავეებმა მოიპოვეს. იმ სამიდან ორი „ბერძენ-რომაელთა" მონაგარია. სხვებზე მეტად გახარებულიც მათი მწვრთნელი ბეგი დარჩია უნდა ყოფილიყო, მაგრამ... იგი აშკარად უხასიათოდ ჩანდა და საერთოდ, ყველაზე მოღუშული სახეები იმ დილით მოჭიდავეებს ჰქონდათ.

— დღეს ცოტა ემოციები განელდა, მაგრამ უკმაყოფილების გრძნობა მაინც დარჩა — გვითხრა ბეგი დარჩიამ — მთლიანობაში გუნდის გამოსვლა ოლიმპიადაზე დამაკმაყოფილებელია. თუმც ცალკეულ სპორტსმენებს მეტი მოეთხოვებოდათ. ვგულისხმობ ტარიელ მელელაშვილს და მირიან გიორგაძეს. მელელაშვილს თავისი შანსები რომ გამოეყენებინა, ვერცხლის მედალი მაინც უნდა აეღო.

აკაკი ჩაჩუა ნამდვილად იმსახურებდა ჩემპიონობას. მას შეეძლო და ყველაფერიც გააკეთა საამისოდ, მაგრამ მსაჯები აშკარად მის მეტოქეს, რუს სამურგაშევს მიემხრნენ. ეს ბინძური თამაში იყო, რომელშიც აკაკის ქულები უნამუსოდ მიუთვალეს ჩრდილოელს. ეს რომ არა, ჩაჩუა ჩემპიონი გახდებოდა.

მუხრან ვახტანგაძისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის. მან ბოლო მომენტში, მარტში, ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა ლიცენზია და არც მედლის კანდიდატებში ახსენებდა ვინმე, მაგრამ აქ ერთიც არის — მარტის მერე ეს ბიჭი, როგორც სპორტსმენი, ერთი თავით გაიზარდა. ეს მისი და მწვრთნელების დამსახურებაა. ნაკრებში შექმნილმა ვითარებამაც ხელი შეუწყო. დეპარტამენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო ორ თვეში საუცხოო პირობები გვქონდა. მუხრანმაც ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა და ოლიმპიადაზე წასვლის წინ გუნდში ყველაზე კარგადაც იყო მომზადებული. მისგან მედალს ველოდი და გამიმართლა კიდეც, თუმცა ცოტა თავდაჯერებული რომ ყოფილიყო, იმ თურქსაც — ჰამზა ერლიქაიასაც მოუგებდა. სხვათა შორის, ვახტანგაძემ ის შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე დაამარცხა, თუმც მერე, თურქთა პროტესტის გამო თავიდან აჭიდავეს და ერლიქაიამ გაიმარჯვა.

**— გენადი ჩხაიძის მეხუთე ადგილი ურიგო შედეგი არ არის, თანაც ჯგუფში ისეთ მეტოქეებს აჯობა... მერე რა დაემართა?**

— ჩხაიძეზე სიდნეიში წასვლამდეც მეკითხებოდნენ, რას იზამსო და ყოველთვის ვამბობდი, გააჩნია, თავის პოტენციალს როგორ გამოიყენებს-მეთქი. ჯგუფში საკუთარი ძალა სრულად გამოაჩინა, აი, ამერიკელ ლოუნთან, გოგი კოლუაშვილის აშკარა უპირატესობით დამმარცხებელთან კი თავდაჯერებაც აკლდა და შეცდომაც დაუშვა. არადა, მანამდე ისე კარგად იჭიდავა, დარწმუნებული ვიყავი, იმ შეხვედრაშიც გაიმარჯვებდა. მან ჯგუფში პოლონელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ანჯეი ვრონსკის და თურქ მსოფლიოს ჩემპიონ ჰაქირ ბასარს მოუგო. ვფიქრობ, ვრონსკი რომ ჯგუფიდან გასულიყო, ჩემპიონიც გახდებოდა. გენადიმ კი იოლად დაამარცხა. მას გამოცდილება აღარ აკლია და, რაც მთავარია, დღითი დღე უმატებს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მეხუთე ადგილიც დაუკავებია, მაგრამ ახლა ყველაზე უკეთ იყო მომზადებული. აშკარად მეტს იმსახურებდა და მწყინს, რომ ასე არ მოხდა. გულდაწყვეტილი ვარ მირიან გიორგაძეზეც. კარგად იყო მომზადებული, მაგრამ შესაძლებლობები ვერ გამოავლინა, ხასიათის სიმტკიცე აკლდა. მართალია, მომავალ მესამე პრიზიორთან წააგო, მაგრამ ექვსეულში უნდა შესულიყო.

აქვე თემას ოდნავ გადავუხვევ და მცირეოდენ მიმოხილვას შემოგთავაზებთ. სიდნეიში გამარჯვებულთა შორის ამაოდ დაუწყებთ ძებნას მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს — ყველამ წააგო. ოლიმპიადა სულ სხვა რამეა. იქ ხშირი იყო შეხვედრები, რომლებშიც გაცილებით სუსტმა იმარჯვა — ეს იმიტომ, რომ უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა. დაახლოებით ასე დაემართა ალექსანდრ კარელინსაც. მან უძლიერეს მეტოქეებს ისე მოუგო, ქულა არ დაუკარგავს, ფინალში კი შედარებით სუსტთან, ამერიკელ რულონ გარდნერთან დამარცხდა.

**— ისევ ჩვენს საქმეებს დავუბრუნდეთ. ამ ორი მედლით გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა? ან რამდენად განხორციელდა თქვენი ოლიმპიური გეგმები?**

— პირდაპირ გეტყვით, ორ მედალს ნამდვილად ველოდით. მხოლოდ დაკონკრეტება გვიჭირდა. ვერ ვამბობდით, ვინ გახდებოდა პრიზიორი. ჩვენ, მწვრთნელები, ყველაფერს ვაკეთებდით წარმატების მისაღწევად. საბედნიეროდ, ბოლო მომენტში დეპარტამენტსაც მიეცა თანხები ჩვენს დასაფინანსებლად. სწორედ მაშინ წავედით მოსკოვში პოდუბნის მემორიალზე. მოვაწყვეთ რამდენიმე შეკრებაც... მათ შორის ერთი მინსკში, იქაურ ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც საუკეთესო პირობების გარდა ძლიერ გუნდებთან ერთობლივი ვარჯიშების საშუალება გვქონდა. იმდენად დატვირთული კალენდრით ვემზადებოდით, მეშინოდა კიდეც, ზედმეტი ხომ არ მომდის-მეთქი. ვგრძნობდი, გუნდი კარგად იყო მომზადებული, რასაც სიდნეური შედეგებიც მოწმობს — ამ ორი მედალოსნის გარდა მოწინავე რვა კაცში გენადი ჩხაიძე და ტარიელ მელელაშვილი მოხვდნენ. მათ მეხუთე და მერვე ადგილები დაიკავეს. თუმც, ვიმეორებ, გუნდს მეტი შეეძლო.

**— წელან თქვით, მსაჯებმა ჩაჩუა აშკარად დაჩაგრესო. რომ გაგეპროტესტებინათ ეს შეხვედრა?**

— აზრი არ ჰქონდა. ვიცოდით, მაინც დაჩაგრავდნენ. მსგავსი რამ შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზეც შეგვემთხვა. მაშინ ტარიელ მელელაშვილს წააგებინეს თურქ ოლიმპიურ ჩემპიონ ნაზმი ავლუჯასთან. რომ გავაპროტესტეთ, ხელახალი შეხვედრა კი დანიშნეს, მაგრამ მაინც იგივე მსაჯები მიავლინეს და ავლუჯას ისევ მოაგებინეს. თან იმ ორთაბრძოლაში ტარიელმა ორი ნეკნი დაიზიანა, რის გამოც მერე ველარც მესამე ადგილისთვის იჭიდავა რიგიანად და ისიც წააგო. იმ პროტესტიდან მხოლოდ ამას გამოვრჩით. ახლაც შემეშინდა, ასე არ დაგვემართოს-მეთქი. მით უფრო, რომ ჩაჩუამ მხრის ტრავმა არც ისე დიდი ხნის წინ მოირჩინა. თან ვატყობდი, მსაჯები მანამდეც გვჩაგრავდნენ. რასაც ჩვენ გვიკეთებდნენ, ამას სხვებს, რომელთაც ძლიერი მფარველები ჰყავთ, ვერ გაუბედავდნენ. ალბათ მიხვდებით, პროტესტი რატომაც მივიჩნიე წყლის ნაყვად. მერე იმ მესამე ადგილსაც ხომ მოპოვება უნდოდა. მით უფრო, იქ შვეიცარიელი ბიტ მოზერი, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი გველოდა. ამიტომ არ გავრისკე. არ მეშინია იმის თქმა, რომ ჩაჩუა „ბერძენ-რომაელთა" შორის მსოფლიოში ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეა. ეს დამიდასტურა ისეთმა სახელოვანმა მწვრთნელმაც, როგორიც თვით საპუნოვია. მან აკაკი ბულგარელ არმენ ნაზარიანზე წინაც კი დააყენა, ხოლო ალექსანდრ კარელინმა უდავო ჩემპიონად დაასახელა. დასანანია, ჩემპიონი რომ ვერ გახდა. მან ყველაფერი გააკეთა გასამარჯვებლად, მაგრამ... ეტყობა, ასეთია პატარა ქვეყნის შვილის ბედი.

**— სანუგეშოდ ისღა გრჩებათ, რომ თქვენმა გუნდმა ყველაზე მეტი — ორი მედალი ჩამოიტანა სამშობლოში.**

— სასიხარულო ფაქტია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას სხვათა ჩრდილს არ შეაფარებენ. ეს წარმატება ნაკრებისა და მწვრთნელების მუხლჩაუხრელი, უანგარო შრომის შედეგია, რომელიც სამომავლოდ მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. იმედია, ხელსაც შეგვიწყობენ და მეტს მივაღწევთ. იმედს ისიც მიათკეცებს, რომ შესანიშნავი მომავალი გვეზრდება. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც ვლადიმერ ადეიშვილი ავარჯიშებს, წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა სამი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედლით. წარმატებები მათ არც ადრე აკლდათ. არ გამოვრიცხავ, რომელიმემ მომავალი ოლიმპიადისთვის გუნდშიც დაიმკვიდროს ადგილი. არადა, ახლანდელი ნაკრების ბირთვიც საკმაოდ ახალგაზრდულია. მოკლედ, კონკურენცია არის, რაც იმის წინაპირობაა, რომ ათენის ოლიმპიადისთვის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდი გვეყოლება.

**ირაკლი თავაძე**



# F1

მეჩვიდმეტე ეტაპი — მალაიზიის დიდი პრიზი

## სეპანგი

*კუალა ლუმპური, 22 ოქტომბერი*



**ტრასის სიგრძე** ............ **5.543 კმ**
**რბოლის დისტანცია** ............ **56 წრე — 310.408 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 12 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1 ირვინი (ფერარი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 ჰაკინენი (მაკლარენი); 4 ჰერბერტი (სტიუარტი); 5 ბარიკელო (სტიუარტი); 6 ფრენცენი (ჯორდანი)

**კვალიფიკაცია:** მ. შუმახერი (ფერარი) 1:39.688

**საუკეთესო წრე:** მ. შუმახერი (ფერარი) 1:40.267

# სეპანგი: ცხელი სასწაული



მიხაელ შუმახერმა რბოლის წინ „სეპანგზე" კარტით გაინავარდა

**მალაიზიურ** ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დასკვნითი რაუნდია, სათქმელი ბევრი არაფერია. შარშან გახსნილმა „სეპანგმა" ჯერ ხომ მხოლოდ ერთხელ უმასპინძლა ფორმულას.

სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მაშინ სწორედ კუალა ლუმპურში გამოჩნდა პირველად ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას ნაავარიევი მიხაელ შუმახერი. „ფერარის" ლიდერმა „სეპანგზე" ყველაფერი იღონა საჩემპიონო ბრძოლაში თანაგუნდელ ედი ირვინის მხარდასაჭერად და პრაქტიკულად მოგებული რბოლა დაუთმო. მაგრამ ამხელა მსხვერპლმაც ვერ მოუტანა ირლანდიელს საოცნებო შედეგი. მერე კი ყბადაღებული „10-მილიმეტრიანი" სკანდალი ატყდა: სისხლისფერ ბედაურებს გვერდითი დეფლექტორების ზომებში უმცირესი ვითომ დარღვევის გამო გამარჯვება (თანაც დუბლით) კინაღამ წაართვეს, თუმცა სამართლიანობა ბოლოს მაინც აღდგა და ისტორიული ეტაპის შედეგებიც ძალაში დარჩა.

რაც იყო, იყო. მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ულტრათანამედროვე ავტოდრომმა განურჩევლად ყველა მოხიბლა. „სეპანგი" მაშინვე მონათლეს დამდეგი ათასწლეულის სასწაულად. სხვა ტრასებთან შედარებით ბევრად ფართო მონაკვეთები (ჩვეულებრივზე თითქმის 10 მეტრით განიერი) გაცილებით უსაფრთხოცაა და გასწრების ჩინებულ საშუალებას იძლევა. ორგან, 800-მეტრიანი ორი სწორის ბოლოს, სიჩქარე 300 კილომეტრს აღემატება, თუმცა 15 ნაირგვარი სირთულის მოსახვევი საშუალო მაჩვენებელს საკმაოდ ამცირებს.

პილოტებს დიდ სირთულეს უქმნის ძნელად ასატანი ეკვატორული ჰავა — ცხელი და მეტად ტენიანი. შარშანდელ ხვატს არანაკლებ სიცხეში გაზრდილმა რუბენს ბარიკელომაც კი ვერ გაუძლო, მიკა ჰაკინენზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე მძიმე რბოლა იყოო, აღიარა ფინელმა.

რაც შეეხება ხვალინდელ ასპარეზობას, ვადამდე გაჩემპიონების შემდეგ ემოციადამცხრალ შუმახერს ის თუ გაუღვივებს ბრძოლის სურვილს, რომ კონსტრუქტორთა თასის მოსაპოვებლად „ფერარის" სამი ქულა კიდევ ესაჭიროება, თუმც ესეც მხოლოდ „მაკლარენის" დუბლის შემთხვევაში.

დაბოლოს, მოსალოდნელ უმაღლეს შედეგებზე: თუკი შუმი ხვალაც, ანუ წლეულს მეცხრედ გაიმარჯვებს, 108 ქულა დაუგროვდება და ნაიჯელ მენსელის რეკორდს გაიმეორებს. გარდა ამისა, თუ უსწრაფეს წრესაც გაახერხებს (კარიერაში 42-ედ), ალენ პროსტის შვიდი წლის წინანდელ მიღწევას დაამხობს. ხოლო თუ იმ წრეს ჰაკინენი დაისაკუთრებს, სეზონში მეცხრე გაუხდება, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რაგბი

# კარგი დასაწყისი თამაშის ნახევარია. მხოლოდ

IV ნრე. V ტური
თბილისი. ვარკეთილი
20 ოქტომბერი

**ლოკომოტივი 1 — ასკ**
**31:23 (12:15)**

**ლოკომოტივი 1:** ჯიბლაძე, ხინჩაგაშვილი, მელაძე (ბერიაშვილი), ბურდული, მოგელაძე, გიორგაძე (ვაშაყმაძე), კახიანი, ბ. უდესიანი, კოტრიკაძე, ფ. უდესიანი, ძნელაძე, ალანია, ბუგიანიშვილი, ჯანაშვილი, ასათიანი
5 ლ — მოგელაძე, ბუგიანიშვილი, ბერიაშვილი (2), კახიანი
3გ — ძნელაძე (3)
**ასკ:** ზირაქიშვილი, ბალანჩივაძე, ორდენიძე, დათუნაშვილი, მაისურაძე, ცხადაძე, სვანიძე, უჩავა, სამხარაძე, ხვიჩია, მაღრაძე, კაპანაძე (თევზაძე), პინჩუკოვი, სამსონიძე, ძიძიშვილი
3 ლ — სამსონიძე, მაღრაძე, ბალანჩივაძე
2 ს — უჩავა (2) 1 გ — უჩავა
**მსაჯი:** გ. ჯავახიშვილი
**მეთვალყურე:** გ. კუბლაშვილი

**გუშინდელ** მატჩში არმიულმა კლუბმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, ქულის მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ მატჩის ბოლოს რეალური მომენტი ქარს გაატანა და საბოლოოდ მოედანი უქულოდ დატოვა. ვინც მატჩის წინ შემადგენლობას გადახედავდა, იფიქრებდა, თამაში ცალკარა იქნებაო, რადგან არმიელთა რიგებში ასკ-ს სარეზერვო გუნდიდან გამოძახებული, ჯერაც გამოუცდელი მორაგბეები სჭარბობდნენ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად პირველი ნახევარი მათი გამარჯვებით დასრულდა.

ის იყო, მსაჯმა გია ჯავახიშვილმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა და უმალ სტუმრები დაწინაურდნენ. სამსონიძემ მოედნის ცენტრიდან ლოკომოტიველთა სალელოე მოედნამდე ირბინა და აუღელვებლად გახსნა ანგარიში. უჩავამ გარდასახა. ასეთი დასაწყისის შემდეგ წესით რკინიგზელები უნდა გააქტიურებულიყვნენ, მაგრამ არმიელებმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალეს და ახლა მაღრაძემ, უკვე მეორედ, დაამწუხრა მასპინძლები. ასკ-მ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებდა. აღსანიშნავია უჩავას მიერ მოედნის ცენტრიდან დარტყმული ჯარიმა. ბურთი ჯერ ძელმა აისხლიტა და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა კარში. აი, ამის მერე კი მასპინძლებმა შმაგად შეუტიეს არმიელებს და შედეგმაც არ დააყოვნა. რკინიგზელთა გაჭიანურებული შეტევა მოგელაძემ ლელოთი დააგვირგვინა, რამდენიმე წუთში კი ბუგიანიშვილმა კიდევ უფრო შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ძნელაძემ ზუსტად გარდასახა და ტაიმიც ასე დასრულდა — 12:15.

მეორე ნახევარში თამაშის ტემპმა ოდნავ იმატა და მომენტებიც ორივე კართან შეიქმნა. არმიელებს თანდათან გაუჭირდათ მოწინააღმდეგის იერიშების შეჩერება, რკინიგზელები კი შეტევის ბოლო ფაზაში სცოდავდნენ, იერიშის შედეგიანად დასრულებას ვერ ახერხებდნენ. თითქოს ბოლოს და ბოლოს ლელოც უნდა გაეტანათ, მაგრამ პირიქით კი მოხდა. მასპინძლებს არმიელთა შეტევა გამოეპარათ და ბალანჩივაძემ „ლოკომოტივი 1“-ის სალელოე მოედანი მესამედ დალაშქრა. მერე იყო უჩავას საჯარიმო, მანამდე კი ბალანჩივაძის ლელოს ბერიაშვილმა ასევე ლელოთი უპასუხა და სხვაობა ექვსი ქულა გახდა. შემდეგ რკინიგზელებმა ასკ-ს ისე გონივრულად შეუტიეს, მატჩი მართლა ცალკარას დაემსგავსა. ერთ მონაკვეთში მასპინძლებმა შტურმიც მოუწყვეს არმიელებს და ბერიაშვილმა სტუმრებს ლელო გაუტანა. ძნელაძემ გარდასახა და მატჩში პირველად ერთი ქულით წინ „ლოკომოტივი 1“ გავიდა. ხანდახან სტუმრებიც თავისას ცდილობდნენ და ერთი-ორჯერ მეტისმეტად რომ არ ეჩქარათ, ალბათ ლელოსაც გაიტანდნენ. მატჩის მიწურულს რკინიგზელმა კახიანმა შერკინების დახმარებით თავისი გუნდის მეხუთე ლელო გაიტანა და „ლოკომოტივი 1“-ის უპირატესობა სოლიდური გახადა. ასკ-ს შეეძლო პრემიალური ქულის მოპოვება, მაგრამ რკინიგზელთა სალელოე ხაზთან ახლოს მათ სასარგებლოდ დანიშნული ჯარიმა არ გაათამაშეს და კარში დარტყმა გადაწყვიტეს. უჩავას მიზანმა უმტყუნა და მომენტი გამოუყენებელი დარჩა.

**ბაჩო სვანიძე**

## ჭადრაკი

**მატჩი მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის**
საპრიზო 2 მილიონი $



LONDON
2000
VII პარტია
**კასპაროვი** vs **კრამნიკი**
3 — 4



# არასაჭადრაკო კონფლიქტი

**მეშვიდე პარტია** ყველაზე უფერული გამოდგა, თუმც რა ფერზეა ლაპარაკი, როცა 11 სვლის შემდეგ მეტოქეები მშვიდობის ნიშნად ერთმანეთს ხელს ართმევენ. თეთრები გარი კასპაროვს ჰყავდა, წინა დღის დასვენებული იყო და წესით დაფაზე ერთი ამბავი უნდა აეტეხა, რახან საერთო ანგარიშში აგებს. კასპაროვმა ინგლისური დასაწყისი ირჩია, ანუ, ეს უკვე მეორედ, ესპანური პარტიის ბერლინის სისტემა უარყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ბოლო დებიუტში კრამნიკისგან ნაწვნევმა ალიყურებმა ჭკუა ასწავლა და როგორც იქნა, დაასკვნა, რომ ბერლინის სისტემა შავებით სათამაშო დებიუტია.

ვერც ინგლისურმა მოუტანა ჩემპიონს სასურველი შედეგი. კრამნიკმა რამდენიმე ისეთი სვლა გააკეთა, ცხრიანში შეგდებულ გოლებს ჰგავდა და შავებით ისეთი ჩინებული პოზიცია მიიღო, მას კი არა, უფრო კასპაროვს მართებდა გათანაბრებაზე ფიქრი. ჩემპიონმა მე-11 სვლა გააკეთა და იქვე საზავო წინადადებით მიმართა მეტოქეს. კრამნიკი დათანხმდა. ეს იყო და ეს, ხოლო მსოფლიო პირველობის მთავარმა ვნებებმა ჭადრაკის დაფიდან დროებით დარბაზისკენ გადაინაცვლა — მეექვსე პარტიის მსვლელობისას დიდოსტატმა რეიმონდ კინმა, რომელიც „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ წევრი და მატჩის ორგანიზატორთაგანია, იახლა დაცვის გორილები და თავზე დაადგა თავის საქმეზე მოჩალიჩე ჟურნალისტ ჯონ ჰენდერსონს. კინმა ჟურნალისტისგან დარბაზის დატოვება მოითხოვა, რაც უხმაუროდ აღსრულდა, მაგრამ ხმაური პრესამ ატეხა. ინტერნეტი და გაზეთები აჭრელებულია მასმედიის უკმაყოფილო კომენტარებით და იმ ზოგადი მოსაზრებით, რომ მატჩის მსვლელობისას ორგანიზატორები პრესას ცივილურად არ ეპყრობიან.

ჰენდერსონი საჭადრაკო მასმედიის გამოჩენილი წევრია, ლონდონის საჭადრაკო კლუბის ელექტრონული ჟურნალის, „თუიქის“ თანამშრომელი და დასადგენი არც გამხდარა მიზეზი, რისთვისაც გააძევეს: მან მატჩის ორგანიზატორები ცოტა ადრეც გაკენწლა და მეოთხე პარტიის გარჩევისას საქმე მოუმთავრა. ჰენდერსონი იუწყება, თითქოს „ბრაიანგეიმზი“ კრამნიკის წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრას აპირებდეს. ლაპარაკია კრამნიკის მიერ მატჩის წინ ხელმოწერილი კონტრაქტის დარღვევაზე. ორგანიზატორთა მტკიცებით, კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც პრეტენდენტს მათ გარდა ვინმესთვის პარტიათა კომენტირებას უკრძალავს, ამ დროს კი კრამნიკი „კასპაროვის კლუბში“ (ინტერნეტის საიტია) მგონი, მუდმივად აგზავნის მშვენივრად კომენტირებული პარტიების შინაარსს. ჰენდერსონის კრიტიკა ზოგადად ჭადრაკში იურისპრუდენციის ჩარევის წინააღმდეგ იყო მიმართული. „კარპოვი და პოლგარი სასამართლოში ფიდეს უჩივიან — წერს ჟურნალისტი — შიროვი — საჭადრაკო საბჭოს, ახლა „ბრაიანგეიმზი“ კრამნიკის წინააღმდეგ. ერთ დღეს რომელიმე იურისტი გახდება მსოფლიოს ჩემპიონი და ბოლოც ეს იქნება.“ ტონის სიმძაფრე აშკარაა, ორგანიზატორთა გაღიზიანებაც ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ჟურნალისტი არ უნდა გაეძევებინათ, რადგან ჰენდერსონს ჰქონდა ზემორე სტრიქონების დაწერის უფლება. „თუიქის“ რედაქტორი, მარკ კროუტერი მომხდარს გამოეხმაურა და თავისი ხელქვეითი დაიცვა. ჯერ სულ ეს არის.

**დავით გულუა**





**გერმანული ფირმის** **OTTO**
**OTTO SCHWAB VERSAND**
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
**კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან**

მისამართი: ბღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
გმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de


## ჰოკეი

# მერე იტყვიან...

19 ოქტომბერი

**დეტროიტი — ნეშვილი 1:2**

**0:1 0:0 1:0 0:1**

**0:1 პელტონენი 11'20 (1); 1:1 ფიოდოროვი 59'56 (4); 1:2 რონინგი 61'51 (3)**

ასეც ხდება. ზოგჯერ თითქოსდა ყველაფერი გამოგდის, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაც გიშლის ხელს. ასე დაემართა დეტროიტსაც. მესამე საშინაო მატჩის მომგები გუნდი ახლაც გამარჯვებას გეგმავდა და მიუხედავად იმისა, რომ მის მეტოქეს უჩვეულოდ კარგი სტარტი ჰქონდა, ფავორიტად მიიჩნეოდა. მართლაც, მასპინძლები აშკარად სჯობდნენ სტუმრებს, უფრო მეტს უტევდნენ და ურტყამდნენ, მაგრამ რაღ გინდა — იერიშების დასრულებისას ბედი არ სწყალობდათ, შაიბა ხან ძელს ხვდებოდა, ხან ოდნავ სცდებოდა კარს, ხანაც ნეშვილელთა მეკარე მაიკ დანჰემი დიდებულად თამაშობდა. თითქოს ვილე პელტონენის გოლი ერთადერთი უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ბოლო წამებზე ფორტუნამ შეიბრალა „წითელფრთიანები“ და სერგეი ფიოდოროვის დარტყმული შაიბა რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ძელსა და მეკარეს შორის, მილიმეტრებიან ღრიჭოში გაძვრა. ეს იყო და ეს, ოვერტაიმში ყველაფერი დასრულდა დეტროიტელთათვის — ნეშვილელთა არცთუ მწვავე შეტევა გოლად იქცა. „მერე იტყვიან, შედეგი რჩება, თამაში კი ყველას ავიწყდება“ — მხრები აიჩეჩა „წითელფრთიანთა“ მრავალნაცადმა მწვრთნელმა სკოტი ბოუმენმა.

**ედმონტონი — ტორონტო 1:4**

**0:1 0:2 1:1**

**0:1 სუნდინი 12'46 (2); 0:2 რობერტსი 24'21 (1); 0:3 ტაკერი 37'35 (1); 0:4 სუნდინი 43'01 (3); 1:4 რ. სმიტი 49'21 (4)**

„იმისათვის, რომ სწრაფი ჰოკეი ითამაშო, სულაც არ არის აუცილებელი, სწრაფი ჰოკეისტები გყავდეს. მთავარია, შაიბა სწრაფად ამოძრაო და პოზიციურად სწორად ითამაშო“ — ტორონტოს მწვრთნელმა პეტ ქუინმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ლიგაში ყველაზე სწრაფ გუნდად მიჩნეულ ედმონტონს მწარედ უკბინა. მართლაც, ამჯერად ედმონტონელი „რაკეტები“ უთავბოლოდ დარბოდნენ და 35 წელს გადაცილებული გერი რობერტსისა და სტივ ტომასის შეჩერებას ამაოდ ცდილობდნენ. განსაკუთრებით ზაფხულში კაროლინასგან შესყიდულმა რობერტსმა ივარგა. გუნდის პირველ სამეულში გადაყვანილ ვეტერანს არ გასჭირვებია მათს სუნდინთან (2+1) და ტომასთან შეგუება. ამ ხაზმა პირწმინდად დაჯაბნა მასპინძელთა წამყვანი ტრიო და საბოლოო ანგარიშიც ამან განაპირობა.

**ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 5:2**

**2:0 3:1 0:1**

**1:0 კონოვალჩუკი 3'36 (3); 2:0 ოუთსი 18'05 (1); 2:1 ნემჩინოვი 21'11 (2); 3:1 ოუთსი 27'43 (2); 4:1 ბონდრა 53'56 (5); 5:1 დ. მირონოვი 36'00 (1); 5:2 რაფალსკი 51'52 (1)**

იშვიათი შემთხვევაა — ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდო მატჩის მეორე პერიოდშივე შეცვალეს. მან 11 დარტყმული შაიბიდან მხოლოდ 7 მოიგერია, თუმცა ძნელია, რომელიმე გოლი დააბრალო, რადგან ვაშინგტონის ლიდერები — ადამ ოუთსი (2+2) და პეტერ ბონდრა უზუსტესად ურტყამდნენ.

**ფილადელფია — მონრეალი 3:3**

**1:0 0:2 2:1 0:0**

**1:0 დელმორი 12'21 (1); 1:1 ლინდენი 20'27 (2); 1:2 მარკოვი 28'00 (1); 2:2 დესჟარდენი 48'48 (4); 3:2 ოჟიკი 55'35 (1); 3:3 პეტროვი 56'47 (2)**

მოგებებს მოწყურებულ ფილადელფიას მონრეალმა მეკარე ჯეფ ჰეკეტისა (42 მოგერიება) და რიცხვმრავლობის ბრიგადის ეფექტური თამაშის წყალობით წაართვა ქულა. სტუმრებმა 5 ცდიდან 2 გამოიყენეს, რაშიც ლომის წილი დაიდეს მცველებმა — ახალბედა ანდრეი მარკოვმა (1+1) და პატრის ბრისბუამ.

**ოტავა — პიტსბურგი 3:3**

**2:0 1:0 0:3 0:0**

**1:0 ჰავლატი 9'26 (2); 2:0 არვედსონი 11'30 (3); 3:0 იაშინი 28'36 (3); 3:1 კოვალიოვი 42'26 (2); 3:2 იაგრი 52'31 (6); 3:3 სტრაკა 59'38 (3)**

ოტავამ ახალი საკლუბო რეკორდის დამყარებამდე (ზედიზედ 5 მოგება) სულ 22 წამი ვერ გაძლო. ორი პერიოდის განმავლობაში უფერულად მოთამაშე სტუმრები ისევ და ისევ მათმა ლიდერმა იარომირ იაგრმა იხსნა, რომელმაც თავადაც გაიტანა და დიდებული შეფარული პასით სტრაკაც აზეირა.

**სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 7:1**

**2:0 2:0 3:1**

**1:0 კონროი 6'11 (1); 2:0 დემიტრა 9'42 (3); 3:0 პეხტი 26'22 (4); 4:0 ისტვუდი 36'47 (1); 5:0 იანგი 46'11 (7); 5:1 რაინპრეხტი 48'22 (2); 6:1 ჰანდზუსი 52'06 (1); 7:1 ტარჯონი 56'11 (2)**

ლოს ანჯელესმა მატჩის წინადღეს, როგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას პლეიმეიკერ იოზეფ შტუმპელთან. სლოვაკმა 3-წლიან და 7,5-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ სენტ ლუისთან შეხვედრაში ვერ ითამაშა. „მეფეთა“ დანარჩენ ლიდერებს კი „ბლუზმენები“ იოლად გაუმკლავდნენ და დიდებული გუნდური თამაშის ხარჯზე გაანადგურეს მეტოქე.

**სამველ ლარიბიანი**



25+25– დეტროიტელი დარენ მაკარტი (თეთრ ფორმაში) და ნეშვილელი კარლის სკრასტინში


**იყიდება**

ოროთახიანი ბინა დიდ დიღომში. მეორე მიკრორაიონი, იოანე პეტრიწის ქუჩა კორპუსი №14ᵃ, მეორე სადარბაზო, მესამე სართული.
ტელ: 53-35-14, 10-დან 20 სთ-მდე
იკითხეთ ნადია



# ზეხუღლიგნის ბოლო (?) ჩხუბი


SUN

*რაო? რაო?...*

*რაო და, ახლა, როცა „სარბიელის“ ამ გვერდს ათვალიერებთ, იქნებ მაიკ ტაისონი თავის შემმუსვრელ მუშტებს უკანასკნელად იქნევდეს. პროფესიული კრივის ფარგლებს ვგულისხმობთ, თორემ იმდენი სიკეთე ჩვენ, რამდენი ამიერიდანაც ნევროზიანმა რკინის მაიკმა „უწესო“ კაცებს უთაქოს, და ქალებსაც ხანდახან...*

*ეს მოხდა აწონვიდან ცოტა ხნის შემდეგ: ტაისონი სასწორზე შეაგდეს, მთლიანი მასა ტონის ზუსტად მეათედი დაუდგინეს, მერე კი ძლივს წუთებს გაევლოთ, რომ ESPN-ის ჟურნალისტმა თვალისდახამხამებაში ბარე ათასდოლარიანი მასალა მოიპოვა. მას უთხრა ტაისონმა პირველად: „ხვალ ჩემი ბოლო ბრძოლაა, ამით მოვრჩები“. მცირე საუბრები ზემორე თემაზე ადრეც იყო, მაგრამ ტაისონის ასეთი დაბეჭდილი ნათქვამი ჯერ არავის სმენია. მავანი ახლაც ფიქრობს, გოლოტას თუ მოერია, არაფრის წამსვლელი არ არისო. აბა რა გითხრათ! ყოველ შემთხვევაში, მაიკმა BBC-ს შემდეგი ღრმა სიტყვები უთხრა: „ცხოვრებაში პირველად, მინდა ბედნიერი ვიყო და ვიცხოვრო ისე, როგორც მე მსურს. მინდა, ყველანი თავიდან მომწყდეთ, არავინ და არაფერი მჭირდება, ჩემს ოჯახთან ყოფნის გარდა. შემეშვით“...*

*გული ხომ არ დაგიმძიმდათ?*

# კრეტიენის ხუმრობა

კანადის პრემიერ-მინისტრის, ჟან კრეტიენის მარცხენა სალოკი თითი „ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა“ შინაარსისა არ გახლავთ. ქვეყნის პირველმა პირმა უბრალოდ გაიხუმრა, ტორონტოს მერი, მელ ლასტმანი შეაჩქვიფა, მეორე ვინმე გააცინა და საერთოდ, კანადის მთავრობამ ტორონტოს სპორტულ-საწყლოსნო ბაზათა განსავითარებლად 1,5 მილიარდი დოლარი გამოყო. ტორონტოს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა უნდა.


REUTERS ტორონტოდან


REUTERS

# ფოტოს ავ-კარგი

*წარმოდგენილ სურათს მეტად უხდებიან: ეული ნაძვის ხე მარცხნივ, ჩამავალი მზე და მის ფონზე გოლფის უფლისწული, სახელოვანი ყვანჯოსანი ტაიგერ ვუდსი. ხელმარჯვნივ მდგარი ორი კაცისა და ყვანჯთა ჩანთის შესახებ კი იმას გეტყვით, რომ ფოტოდან მათი ამოჭრა უპრიანი იქნებოდა, პეიზაჟს ამახინჯებენ. აშშ-ში პრეზიდენტის თასი თამაშდება...*

# მერი და ხუანი

*პარაოლიმპიურ თამაშებზე ხუან ანტონიო სამარანჩის არგამოჩენა პრაქტიკულად გამორიცხულია. სოკ-ის პრეზიდენტმა სიდნეის მერის, ფრენკ სარტორისგან ქალაქის გასაღები მიიღო, თავად კი ფოტოზე ნაჩვენები თასი წარუდგინა, რომელიც სპეციალურად პარაოლიმპიადისთვის დაწესდა. მერი და პრეზიდენტი თასის შესახებ მსჯელობენ.*


REUTERS სიდნეიდან

# დოპინგის კონტრაბანდისტი

*ამ კაცს, ხელები სათნოდ რომ შეუტყუპებია, ორი წლის წინ 40 ბოთლი აკრძალული პრეპარატები გადაჰქონდა საფრანგეთიდან ბელგიაში და მაშინ რომ ჩაავლეს, მხოლოდ ახლა გამოუშვეს. ვილი ფოეტია, „ფესტინას“ ველომრბოლთა გუნდის მოხელე, სახით მღვდელი და... ეგ ჩვენი საქმე არ არის.*


REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge